№25 (292) ● 9 ივლისი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი



**სანდრო ბრეგაძე:**

## არსებობს თუ არა „ოცნებაში“ ჩანერგილი ნაცაგენტების 20-კაციანი სია?



**ელისო ჩაფიძე:**

„ერთ-ერთ ტელევიზიაში ძალიან ცხადად იკითხება საზოგადოების შემზადება რაღაც ისეთი რევოლუციური სიტუაციისთვის, როგორიც გახლდათ 2003 წელს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ გამოვა“

## „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, სამ ბილეტი პრადაიოტ“ ანუ ვარსკვლავური სკანდალი ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო

რატომ დაუმალეს საზოგადოებას, რომ ტელეკომპანია „იმედის“ პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გამარჯვებული მარიამ კუბლაშვილი ამავე ტელეკომპანიის მეორე პროექტის „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო?



**შოთა ვადაჭკორია:**

## ევროპელთა დიდი ღალატის ისტორია, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა





## ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

„საერთო გაზეთი“ იწყებს ფრაგმენტების ბეჭდვას ლადო ბედუკაძის მომავალი წიგნიდან

## ლელა კაკულია —



„წინასწარმეტყველი“ თუ დაწყებითი განათლების პოლიტიკური „ექსპერტი“, რომელიც ხან ერთი პოლიტი-კური ჯგუფის ინტერესებს ახმოვანებს, ხან — მეორისას...

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**



ვახტანგ ხარჩილავა

არ მიყვარს ეს ფრაზა — მხარი დავუჭიროთ ხელისუფლებას!

ხელისუფლება იმდენად დიდ ძალაუფლებას ფლობს, ჩვენი მხარდაჭერა რაში უნდა სჭირდებოდეს, თუმცა დღეს ის სიტუაციაა, როცა საზოგადოების მხარდაჭერის და თანადგომის გარეშე ხელისუფლებას გაუძნელდება დასახული მიზნის მიღწევა, ეს მიზანი კი, არც მეტი, არც — ნაკლები, სამართლიანობის აღდგენაა.

ვფიქრობ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის და სადღაც შემოდგომისთვის ის უნდა დასრულდეს, რომ ქვეყანამ წინსვლა და განვითარება შესძლოს.

რაღაც იღბლიანად დაემთხვა ერთმანეთს აქეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, იქით საფრანგეთის ექს-პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის დაკავება, რასაც სულ მალე მილიონების მითვისება-გაფლანგვაში ეჭვმიტანილი თბილისის მერის დაჭერა მოჰყვა.

ჩვენმა მეგობარმა სარკოზიმ კიდევ ერთი მეგობრული დახმარება გაგვიწია და საშუალება მოგვცა, გვეთქვა: — თუ სარკოზის დაჭერა შეიძლება, გიგი უგულავას დაჭერა რატომ არ შეიძლებაო?

ჩემი ვარაუდით, სარკოზისთან დაკავშირებული ეს სამწუხარო ფაქტი მომავალში კიდევ უფრო დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს და ლოგიკურად მიგვიყვანს ერთ დასკვნამდე: თუ ნიკოლა სარკოზის დაჭერა შეიძლებოდა, მიხეილ სააკაშვილი ვინაა ისეთი, რომ ჩადენილ დანაშაულთა გამო მისთვის პასუხის მოთხოვნა არ შეიძლებოდეს?

მსოფლიოს ქვეყნებში ფირალად გაჭრილი სააკაშვილი, მთავარი დამნაშავე და მთავარი შემოქმედია იმ შემაძრწუნებელი უბედურებებისა, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში საქართველოს თავს დაატყდა.

უფრო მეტიც, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა დიდი ნაწილი, რომლებიც დღეს ციხეებში სხედან და ისინიც, რომლებსაც მომავალში ჩასვამენ, სწორედ მიხეილ სააკაშვილმა აქცია დამნაშავეებად და კრიმინალებად.

„ნაცმოძრაობა“ ბანდის პრინციპით იმართებოდა და რასაც ბანდის მეთაური ბრძანებდა, უსიტყვოდ უნდა შესრულებულიყო, დაუმორჩილებლებს და ჯიუტებს კი სასტიკად უსწორდებოდნენ.

დღეს თუ არა ხვალ, ხვალთუ არა ზეგ, აუცილებლად გაიმართება ქართული ნიურნბერგის პროცესი, სადაც უამრავ შემზარავ დანაშაულს აეხდება ფარდა ამ დანაშაულთა მთავარ შემოქმედს და რეჟისორს კი აუცილებლად მოუწევს მართლმსაჯულების წინაშე პასუხის გაცემა.

„ნაცმოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები ახალ ხელისუფლებას შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენებენ და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებენ — თითქოს ყველაფერი ის, რაც მათ მიმართ ხდება, ხელისუფლების პირადი სურვილი და დაინტერესება იყოს და არა ქართველი ხალხის კატეგორიული მოთხოვნა.

არ გაგივათ თქვენ ეს ფანდი, პატივცემულო „ნაციონალებო“, რადგან თქვენი ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმის მამხილებელი ფაქტები, როგორც იტყვიან, სახეზეა.

თქვენ დღესაც შეურაცხყოფას აყენებთ ქართველ ხალხს, დღესაც სულში აფურთხებთ და თვალებში ნაცარს აყრით, როცა ტელეეკრანებიდან ყელმოღერებით გადმომდგარნი ახალ-ახალ დაპირებებს იძლევით და ბოლომდე რომ გაგვახაროთ, სულ მალე ხელისუფლებაში უკან მობრუნებას გვპირდებით.

როგორც ჩანს, ტანკებით და ავტომატებით აპირებთ ამის გაკეთებას, თორემ ქართველი ხალხი თქვენს უკან მობრუნებას ხმას რომ არ მისცემს, ამაში, ალბათ, თქვენც არ გეპარებათ ეჭვი.

თქვენს მიერ ერთხელ უკვე დაპყრობილი ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობას აპირებთ, „ნაციონალო“ ყიზილბაშებო?

ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორია მოსაზრება, რომ დროა, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური სივრციდან გავიდეს.

ყველანაირი იურიდიული და სამართლებრივი მტკიცებულებები არსებობს იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ როგორც სისტემური დანაშაულის მაორგანიზებელი ძალა, დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადდეს და მას




პოლიტიკური საქმიანობის უფლება ჩამოერთვას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქარტველოს ამჟამინდელმა პარლამენტმა თვითონვე დაადგინა ოფიციალურად, რომ „ნაცმოძრაობას“ 200-მდე პოლიტპატიმარი ჰყავდა, თუმცა პარლამენტი იქ გაჩერდა, სადაც მეორე ნაბიჯი უნდა გადაედგა და ამ საგანგაშო ფაქტისთვის პოლიტიკური შეფასება მიეცა, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა ამ დანაშაულის ჩამდენი რეჟიმის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

სამწუხაროდ, პარლამენტმა ეს არ გააკეთა, რაც ბუმერანგივით უკან მოუბრუნდა ამჟამინდელ ხელისუფლებას და მის რეიტინგს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

ახლა ამ შეცდომის გასწორების დრო დადგა, რის იმედსაც გვაძლევს თუნდაც ირაკლი ღარიბაშვილის ის კომენტარი, რომელიც მან გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით გააკეთა.

აბსოლუტურად სწორი ლოგიკაა — თუ ევროკავშირში გვინდა გაწევრიანება, თუ ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას ვცდილობთ, მაშინ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ევროპელები იქცევიან მაშინ, როცა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ხელმრუდობასა თუ კანონის დარღვევაში ედებათ ბრალი.

ევროპაც და საერთაშორისო თანამეგობრობაც ვალში არიან ქართველი ხალხისა და საქართველოს წინაშე, როცა რაღაც ფორმით მხარს უჭერდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის გამბახებლებს.

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, აშშ-ში ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლებას ჩაედინა ის, რაც საქართველოში „ნაცმოძრაობამ“ 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ჩაიდინა.

ძალიან მაინტერესებს, როგორი რეაქცია ექნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობას ასეთი ხელისუფლების მიმართ და რა ზომებს მიიღებდნენ მის წინააღმდეგ?

ქართველი ერი უძველესი კულტურის, უძველესი ცივილიზაციის ერია და არა ველური ტომი, რომელიც გაურკვეველი მორალის და ზნეობის „მისიონერებს“ — სააკშვილებს, ბაქრაძეებს, გოგორიშვილებს, მინაშვილენს, კანდელაკებს, ვაშაძეებს, ნადირაშვილენბს თუ ჯაფარიძეებს უნდა გაენათლებინათ და მოერჯულებინათ.

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს უნდა თქვას, თქვას ძალიან კატეგორიულად, ძალიან პრინციპულად, ძალიან გაბედულად, რომ „ნაცმოძრაობის“ უკან მობრუნების ილუზიები ერთხელ და სამუდამოდ ყველას დაემსხვრეს, როგორც შინ, ასევე გარეთ.

საზოგადოებამ ხელისუფლებას მხარი უნდა დაუჭიროს-მეთქი, ვთქვი ზემოთ. ახლაც იგივეს გავიმეორებ, ოღონდ მცირეოდენი შესწორებით — საზოგადოებამ, ხელისუფლებას კი არა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დაუჭიროს მხარი თავისი მოქალაქეობრივი აქტიურობით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით და იმ პასუხისმგებლობის შეგრძნებით, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აკისრია ქვეყნის წინაშე.



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# ელისო ჩაფიძე: „ერთ-ერთ ტელევიზიაში ძალიან ცხადად იკითხება საზოგადოების შემზადება რაღაც ისეთი რევოლუციური სიტუაციისთვის, როგორიც გახლდათ 2003 წელს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ გამოვა“

***არის თუ არა მედია სრულიად თავისუფალი და ასახავს თუ არა ქვეყანაში არსებულ რეალობას? ამ საკითხზე „საერთო გაზეთი“ ელისო ჩაფიძეს ესაუბრა.***

**— ქალბატონო ელისო, რაც დრო გადის უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება უფსკრული ნაციონალების დაფინანსებულ მედიასა და სხვა დანარჩენ მედიას შორის, ალბათ თქვენც ამჩნევთ ამას, რას იტყვით ამის შესახებ ?**

— რა თქმა უნდა, ვამჩნევ. ის რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქართული მედიის თავისუფლება გაიზარდა არის ცხადზე ცხადი. ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანები, რომლებიც ძალიან იყვნენ დამოკიდებულნი სამთავრობო გადაწყვეტილებებზე და იმ ბრძანებებზე, რომელსაც იღებდნენ და იყო შემთხვევები როდესაც პირდაპირ, თუნდაც გიგი უგულავა ან სხვა ადამიანები გეგმავდნენ სცენარებს და ე.წ. „ვიორსტკებს“ თუ რა უნდა გასულიყო ეთერში, ეს საბედნიეროდ დღეს აღარ ხდება. მაგრამ იმ რეალობიდან გამომდინარე, რასაც მე ვხედავ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ტელეკომპანია და ჟურნალისტი არ მალავს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას და კავშირებს ყოფილ მაღალჩინოსნებთან. ეს კავშირები არ არის ხოლმე ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მეგობრული, არის ოჯახური, ხანაც ფინანსური და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის ცნობილი იყო და ახლა უფრო მეტად ხდება ცნობილი. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს სუბიექტური. მე რომ მკითხოთ ახლა გეტყვით, რომ რამდენიმე ტელეკომპანია აშკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, აკრიტიკებს მაგალითად: „ქართულ ოცნებას“ და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სხვათა შორის, ერთ-ერთ ტელევიზიაში, ძალიან ცხადად იკითხება საზოგადოების შემზადება რაღაც ისეთი რევოლუციური სიტუაციისთვის, როგორიც გახლდათ 2003 წელს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ გამოვა. მედიას აქვს თავისუფლება აკრიტიკოს, მედიას აქვს თავისუფლება, რომ კანონმდებლობით იყოს გარანტირებული მისი უფლებები წყაროსთან დაკავშირებით და ა.შ, მაგრამ საზოგადოება არის დღეს იმდენად გაზრდილი, რომ ეს პიარი გარკვეულ ზემოქმედებას კი ახდენს, მაგრამ ძირითად შემთხვევაში ძალიან სწორად ხვდება, რომ ეს არის მიზანმიმართული დამოკიდებულება. მე ერთხელ ძალიან გამაკრიტიკეს იმის გამო, რომ ვთქვი, ჩვენ არ გვაქვს ჩვენს მიერ კონტროლირებადი ტელეკომპანიები-მეთქი, მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ, დიახ, ნამდვილად არ ვაკონტროლებთ არც ერთ ტელეკომპანიას. „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ძალა არ არის დაინტერესებული იმით, რომ ვინმეს ფული გადაუხადოს ან დააშანტაჟოს და აკეთებინოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. ჩვენ უბრალოდ მედიასაშუალებებისაგან უნდა მოვითხოვოთ ძალიან გასაგებად, ნათლად და პრინციპულად ის, რომ მათ ობიექტურად ასახონ რეალობა, რომელიც არის ამ ქვეყანაში და ფაქტების გაყალბება, როგორც ასეთი, არ გამოვა. ანუ, სიცრუის წახალისების უფლებას ვერავის მივცემთ და სწორედ ამ კუთხით უნდა იმუშავოს ყველა პრესამსახურმა და გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც რეალობას შეესაბამება. მედიის თავისუფლება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ცილისწამების თავისუფლებას, არ ნიშნავს იმის თავისუფლებას, რომ ადამაინებმა წარმოაჩინონ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მუქ ფერებში და ა.შ.

„ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ მგონია, რომ ამ ე.წ. ჟურნალისტებს მარგინალიზაცია ემუქრებათ“.

**— მინიმუმ ოთხი ტელევიზია და გაზეთების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს ნაცებზე იქამდე, რომ უკვე რაღაც სექტასავით იქცევიან, კერძოდ, მოგონილ ფაქტებზე თხოვენ პასუხს არ არსებულ ადამიანებს, აქვთ დევნისა და განდიდების მანია, ყველგან ელანდებათ თავიანთი მტრების აგენტები და ა.შ. ხომ არ თვლით, რომ ეს ძალიან ცუდად მოქმედებს სახელმწიფოზე?**

— ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ მგონია, რომ იმ ადამაინებს, ჟურნალისტებს, რომლებიც ამას აკეთებენ, მარგინალიზაცია ემუქრებათ. დიახ, ადამაინებზე ცუდად მოქმედებს ეს ყველაფერი, ასევე განუწყვეტლივ ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ ეს არის ის თემა, რომელზეც ხელისუფლება ვერ ილაპარაკებს, იმიტომ, რომ შენ, როგორც კი დაიწყებ საუბარს იმაზე, რომ მაგალითად: არ შეიძლება ამ დონის კრიმინალის გაშუქება პირველ ბლოკში სხვანაირად მოაბამენ ამას კუდს და არ შეიძლება. მაგალითად: ძალიან ხშირად ჩვენ ბრიტანელი ჟურნალისტები მაშინაც კი, როდესაც ჟურნალისტი ვიყავი გვსაყვედურობდნენ იმას, რომ ეს არის სისხლიანი ჟურნალისტიკა ანუ პირველ გვერდზე გარდაცვლილი ადამიანის ფოტოების გამოქვეყნება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში არაესთეტიური ან შემზარავია, სამარცხვინოს კი არაფერს ვამბობ, უბრალოდ, როდესაც ამ სურათის დაბეჭვდა ხდება დაჭრილის თუ გარდაცვლილის, არის უბრალოდ შემზარავი, რაც მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ეს, რა თქმა უნდა, მძიმე სოციალურ და სულიერ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე მოქმედებს ძალიან ცუდად. გერმანიას ორი საზოგადოებრივი მაუწყებელი აქვს, მაგრამ თქვენ ვერც ერთ არხზე ვერასდროს ნახავთ, რომ საინფორმაციო გამოშვება იწყებოდეს კრიმინალური ქრონიკით. ვფიქრობ, ეს მოსახლეობის დაზაფვრას და ნეგატიურ განწყობას ემსახურება. ეს ალბათ უნდა ჩაანაცვლოს გარკვეულ წილად ისეთმა ინტერაქტიულმა სიუჟეტებმა, სადაც ადამაინები საკუთარ აზრებს გამოხატავენ, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, რომ გახლდეთ ფსიქოლოგი, პედაგოგი ან ფილოსოფოსი, გაცილებით უფრო თამამად ვილაპარაკებდი ამ თემებთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და დეპუტატი, შედარებით მინიშნებებითა და მოკრძალებულად უნდა ვისაუბრო ამ თემებზე, რათა არ დამწამონ ის, რომ რომელიმე მედია საშუალებაზე ზეწოლას ვახორციელებ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ასეთი დოზით ადამიანებისთვის ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება, გაზვიადება და განზოგადება ისეთი ფაქტებისა, რომელიც ხშირ შემთხვევაში უფრო რეფერალურ შემთხვევებს წარმოადგენს, ძალიან მძიმედ მოქმედებს საზოგადოების ფსიქიკაზე და საბოლოოდ, ძალიან ნეგატიურად აისახება სახელმწიფოზე. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს უნდა დაარეგულიროს საზოგადოებამ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ.

**— ნაცები, როგორც კი მოვიდნენ ხელისუფლებაში მაშინვე დაიქვემდებარეს თითქმის ყველა გაზეთი და ტელევიზია, თქვენ უკვე თითქმის ორი წელია ხელისუფლებაში ხართ და ხშირად ისმის ეკრანებიდან არა მარტო თქვენი ლანძღვა-გინება, არამედ წყევლა-კრულვაც კი... ჟურნალისტები არ ერიდებიან ადამიანების პირად ცხოვრებაზე წერას (არადა პირადი იმისთვისაა პირადი, რომ არავინ იქექოს) ასევე, ზოგს აგენტობას აბრალებენ, ზოგს ქვეყნის ღალატს და ა.შ. ხომ არ დადგა დრო მოწესრიგდეს ეს საკითხი რაიმე ფორმით, ბუნებრივია, დემოკრატიის ჩარჩოებს, რომ არ გასცდეს ისე?**

— იცით, ჩვენ უკვე გავამკაცრეთ კანონმდებლობა ჯერ კიდევ მაისში, სანამ შევწყვეტდით სესიებს. მივიღეთ პირველი მოსმენით კანონპროექტი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შემოგვთავაზეს, სადაც საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საკმაოდ მკაცრად ისჯება. კანონის ძალაში შესვლითანავე ადამიანის პირადი ცხოვრება უნდა იყოს ძალიან მკაფიოდ დაცული. ხელისუფლება პრევენციულად ვერასდროს შეძლებს თუკი მაგალითად სიტყვაზე ვინმეს ექნება ამის სურვილი და გამბედაობა ვთქვათ სოციალურ ქსელში ან რომელიმე აიპი მისამართიდან ატვირთოს დავუშვათ სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია, რომელიც მის ხელში მოხვდება სხვადასხვა ფორმებით, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ერთადერთი რამ დარჩენია — გამოიძიოს ეს ფაქტი, რომ შესაბამისად დასაჯოს ესა თუ ის პირი, თუმცა მე ვფიქრობ, რომ თავისტავად ის, რომ ადამაინის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შედეგად ისინი დაისჯებიან, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

**— მედიის გათავისუფლება, რა თქმა უნდა, მოხდა და მისასალმებელია, მაგრამ ეს მედია ის მედიაა, რომელიც უკანონოდ ჩაიგდეს ხელში ნაცებმა, ახლა მედიის გათავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ნაცებს პირდაპირ მწვანე შუქი აენთოთ თუნდაც თქვენს სალანძღავად, ხომ არ აჯობებდა ჯერ ვინმეს შეგესწავლათ საკითხი ვის ხელშია მედია, და რამდენად კანონიერად არის და კანონიერად ფინანსდება და ამის შემდეგ გაგეთავისუფლებინათ ის?**

— იცით, ეს არის ძალიან მტკივნეული პროცესი, ჩვენ გვაქვს ვალდებულება ვითმინოთ, ჩვენ ვითმენთ ცოტა უფრო მეტს, ვიდრე ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს ჩინოვნიკები. დამიჯერეთ, არც ერთ ქვეყანაში არ არის გარანტია იმისა, იყო ხელისუფლებაში და ძალიან ხშირად, სრულიად დაუმსახურებლად, შენს მიმართ ცალკეული ცილისწამებები არ გაჟღერდეს. რაც შეეხება სამართლებივი თვალსაზრისით, თუკი ამის დრო და ენერგია გაგაჩნია და ბრალდება არის ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, ჩინოსანმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ ეს ბრალდება იყოს გამოძიებული. მე არ ვთვლი, რომ მედიის გათავისუფლებაში არის რაიმე ტრაგიკული. თუ არ იქნება თავისუფლება, ადამიანებს არ მიეცემათ შესაძლებლობა, რომ გაარკვიონ ვინ ვინ არის. და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ძალიან ბევრი შეშინებული ადამიანი, რომელიც ფაქტობრივად ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავდა, დღეს გარკვეულ ფსიქოთერაპიულ პროცეს გადის, გამოსულია ქუჩაში და კახელები, რომ იტყვიან თავ კონტროლს ვერ უწევს, დიდი ნაწილია საზოგადოების ასეთ დღეში, მაგრამ ეს არის ჩვენი საზოგადოება. ასევეა ტელევიზიები განსაკუთრებით წინა ხელისუფლების მერ მოპარული მილიონებით დაფინანსებული ტელევიზიები. რა თქმა უნდა, მათაც აქვთ სურვილი, რომ შეინარჩუნონ ბაზარზე მდგომარეობა და ის პრივილეგიები, რომლებიც მათ გააჩნდათ. ამ ყველაფრის ლუსტრაცია, წინა პლანზე გამოტანა, საზოგადოებისთვის ამის ჩვენება არის საუკეთესო გზა იმისთვის, რომ შემდეგ ნელ-ნელა მოხდეს სელექცია და ადამიანები მიხვდნენ, სად რა ხდება. მე მაინც ვამჯობინებდი მეტ საჯაროობას, გახსნილობას და გულწრფელ საუბარს იმაზე, რაც ხდება რეალურად. ეს არის მტკივნეული პროცესი, მაგრამ ეს არის საჭირო პროცესი. საჭირო პროცესია, როგორც მორალური თვალსაზრისით ადამაინებისთვის, ასევე იმ თვალსაზრისით, რომ ნელ-ნელა ნამდვილად ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მედია.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**



# დასაჭერი კიდევ ბევრია!

***ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არა ერთი და ორი ადამიანისგან ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ფრაზა გაისმის, რაც ერთ მთლიანობაში ასე გამოითქმის „დასაჭერი კიდევ ბევრია!“***

***წერილში შევეცდებით დასაჭერთა გრძელი სიიდან ყველაზე მთავარი ფიგურები გამოვყოთ, რომელთაც, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს მოსახლეობის მასიურ გაუპატიურებაში.***

## გიგა ბოკერია

ხალხი ეჭვშეუვალად თვლის, რომ გიგა ბოკერია საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მრავალი კუთხით არა ერთსა და ორ დანაშაულშია ეჭვმიტანილი. კონკრეტულად, თვლიან, რომ პროკურატურა საფუძვლიანად უნდა ჩაეძიოს ბოკერიას ყოფილი უწყების დოკუმენტაციის შესწავლას და უპირველესად იმით დაინტერესდეს, რატომ ჰქონდა იმხელა დაფინანსება უშიშროების საბჭოს და რა საქმეებს ედო გრიფი „საიდუმლო“.

ბოკერიას გვარს უკავშირდება სასჯელაღსრულების ადგილებში მომხდარი ცალკეული შემთხვევები და კონკრეტულად 2006 წლის ე.წ „ციხის ბუნტის“ დროს პატიმრებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემაც. იმასაც ამბობენ (მამა ბასილი), რომ ციხეში შევარდნილ ერთ-ერთ ნიღბიანში გიგა ბოკერია ამოიცნეს, რომელმაც თვითონ ვერ (არ) მოკლა პატიმარი და თანმხლებს უბრძანა მისი ლიკვიდაცია...



ციხეში ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემის ფართომასშტაბიანი ვარიანტია 2008 წლის აგვისტოს ე.წ „ხუთდღიანი ომის საქმეც“, რომლის გამოძიებისა ღვთის რისხვასავით ეშინია ბოკერიას, რადგან არსებობს უამრავი მოწმე და შესაბამისად უამრავი მტკიცებულება, რომ იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს, გასცემდა ბრძანებებს, რომლებსაც უსიტყვოდ ასრულებდნენ მაღალი რანგის სამხედრო პირები და შედეგად ათობით მებრძოლი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა – ცალკეა ქვეყნის ტერიტორიის კიდევ მეტად შეკვეცა და სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მანამდე ასე თუ ისე გაყინული მდგომარეობის გამუსწორებელ მდგომარეობამდე მიყვანა. დიახ, ხალხი ითხოვს ამ საქმის გამოძიებას, რადგან თვლიან, რომ გამოსაძიებელი არაფერია, ყველაფერი უკვე გამოძიებულია და ბოკერია გარანტირებულ სამუდამო პატიმრობას იმსახურებს.

ამ ფონზე, შეიძლება, ყველასთვის დიდად შთამბეჭდავად არ ჩანდეს, მაგრამ ფაქტებია და ვერსად გაექცევა ვერავინ საქმეს, რომელსაც მართლმადიდებელ საქართველოში პირობითად შეიძლება დაერქვეს „ბოკერია და მეგობრები მართლმადიდებლობის წინააღმდეგ,“ რომლის ასე ვთქვათ, ქვეთავების სხვადასხვა გეგმებია მოცემული, ვთქვათ, „ორი პატრიარქი“, „აღსარება“, ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევა (ტაძრის დანგრევის ბრძანების გამცემი ირაკლი ოქრუაშვილმა დაასახელა, მან ღიად განაცხადა ეთერში, რომ ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევის გადაწყვეტილება გიგა ბოკერიამ მიიღო), გლდანის ეკლესიის დარბევა და სასულიერო პირების დაპატიმრება და ა.შ დღემდე იმეორებს მართლმადიდებელი მრევლი, გიგა ბოკერია იყო პატრიარქს რომ უთხრა, არც შენი სიკვდილია პრობლემაო და საპატრიარქოდან არა ერთხელ არის გამოსული ხმა, რომ მართლაც იყო პატრიარქის მოწამვლის მცდელობები...

ამავე ფონზე ასევე დიდ მნიშვნელობას ვეღარ იძენს საქმე „ბოკერია და მედიათავისუფლება“, მაგრამ ესეც ფაქტებით გაჯერებული საქმეა და ვერავინ უარჰყოფს. მაგალითად, „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ერთ-ერთი დაკავებული და პატიმრობამისჯილი რატი მაისურაძე: – „ეს პროვოკაცია უშუალოდ გიგა ბოკერიამ და „თავისუფლების ინსტიტუტმა“ დაგეგმეს. მალე მივმართავთ შესაბამის უწყებებს, რომ ხელახლა გადახედონ ამ საქმეს. იმ ცრუმოწმე პოლიციელებიდან ბევრი იტყვის ვისგან იღებდა დავალებებს...“

როდესაც გავრცელდა ხმა, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ იდეოლოგი გიგა ბოკერია ბრძანდებოდა და საერთოდ, მის ინტერესებში იყო მაუწყებლობების (ზოგადად, მედიის) კონტროლი, ვანო ჯავახიშვილს რამდენჯერმე მოუხდა თავის შოუში „ხუმრობა“, რომ ბოკერია უწერდა ხუმრობის ტექსტებს, მაგრამ ამაოდ. თუნდაც იმიტომ, რომ ნათია აბრამიამ, იგივე „რუსთავი-2-ის“ ყოფილმა ერთ-ერთმა სახემ არხის სარედაქციო საქმეებში გიგა ბოკერიას ჩარევის შესახებ საქვეყნოდ განაცხადა: – „რევოლუციიდან, ალბათ, ერთი თვის თავზე, მაშინ „კურიერი პოსტ სკრიპტუმის“ ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი ტელეფონით გიგა ბოკერიას თავისი სიუჟეტის ტექსტს უკითხავდა. ერთ-ერთი წამყვანი მივიდა და ყურმილი გამოართვა, გიგა, რატომ გიკითხავს ჟურნალისტი ტექსტსო. ბოკერიამ უპასუხა, რა იყო, რა მოხდაო და დაკიდა, თუმცა, მეორე თუ მესამე დღეს ისევ დარეკა ეთერში გასვლამდე ტექსტში რაღაც დეტალის დასაზუსტებლად და ცვლილების შესატანად... ასეთი და უარესი ბევრი მინახავს ან გამიგია. ჩემს პროფესიაში ყველა დაწერილი და დაუწერელი ნორმა ჩემს თვალწინ ირღვეოდა...

ფაქტები მეტყველებენ – გიგა ბოკერიამ ირაკლი იმნაიშვილის გადაცემა „მზეზე“ პირდაპირ ეთერში დახურა; ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში დროზე ადრე დაასრულა „რუსთავი-2-ზე“ გადაცემის წაყვანა რის მიზეზადაც „ყურში“ ბოკერიას უხეში ჩარევა დასახელდა; თეო ტლაშაძეს პირდაპირ მიახალა ბოკერიამ, თუ „თრიალეთი“ არ შეწყვეტს რეალობის ამსახველი სიუჟეტების გაშვებას, ყველას დაგიჭერთო...

გიგა ბოკერიას (სააკაშვილს თუ ზოგადად „ნაცმოძრაობას, მნიშვნელობა არ აქვს) განსაკუთრებით აღიზიანებდა „იმედი“, იმდენად, რომ პარლამენტის ტრიბუნა გამოიყენა და ღიად შეუტია „იმედს“, რას ჰქვია, სტალინზე ფილმი გაუშვით და სისხლიანი ტირანის ნაცვლად ძლიერ ქართველ პოლიტიკოსად წარმოაჩინეთო; მე კი არა, საქართველოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს აქვს პროტესტი, როგორ იქცევა პატარკაციშვილის ტელევიზიაო – ჯერ კიდევ წინ იყო „იმედის“ დარბევა, თუმცა არცთუ შორს.

როგორც ამბობენ, ნოემბრის აქციების დროს გიგა ბოკერიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და სააკაშვილს მოსთხოვა „იმედში“ სპეცრაზმი გაეგზავნა და არხის მაუწყებლობა აღკვეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერია თავისი გუნდით ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრა. ბოკერიას მხარი უყოყმანოდ დაუჭირეს ახალაიებმა, თარგამაძემ და ლომაიამ. ვანო მერაბიშვილმა ბოკერიას არხის შიგნიდან, ტექნიკური მიზეზით გათიშვის გეგმა გააცნო. ამაზე ბოკერია და რამიშვილი ერთხმად აყვირდნენ და სააკაშვილს უთხრეს, რომ თუ „იმედს“ სასწრაფოდ და ნებისმიერ ფასად არ გათიშავდა, რევოლუციას ვერ აირიდებდა თავიდან და მის ადგილს ბადრი პატარკაციშვილი დაიკავებდა, თავად კი იმავე საკანში ჩასვამდნენ, რომელშიც იმხანად ირაკლი ოქრუაშვილი იჯდა.

კონკრეტულად გიგა ბოკერიას ბიზნესი არ ჩანს, მაგრამ მისი ძალიან ახლობლების ფინანსური აღზევება სახეზეა, ვთქვათ, მისი მამის, ლევან ბოკერიას სამშენებლო საქმიანობა არა ერთხელ ამოტივტივდა „ჟურნალისტური გამოძიების თემად, მაგრამ „რატომღაც“ იქვე ჩაიფეხვა; ასევე, ბოკერიას ცოლის დის სამშენებლო საქმიანობები (კომპანია „არტექსი“), მოგებული ტენდერები და „ვარსკვლავების აკადემიას“ შეწირული ორი ჟურნალისტის გარდაცვალება.

2007 წელს, ზეობის ხანაში გიგა ბოკერია პირდაპირ ჩაერია ფეხბურთის ფედერაციიის მუშაობაშიც და ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე გამარჯვებიდან რამდენიმე წუთში გიორგი ნემსაძემ უარი თქვა მასზე...

დასაშანტაჟებელი ვიდეო-გადაღებების იდეის შემომტანი კონკრეტული პირი უცნობია, მხოლოდ დამკვეთები და შემსრულებლებია ცნობილი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით ქალბატონი თეო ტლაშაძისგან, რომ გიგა ბოკერია არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებზე, საკუთარი გუნდის წევრებზეც ითხოვდა გარკვეული ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ძირითადად პირად ცხოვრებას შეეხებოდა და სიბინძურეს წარმოადგენდა. ყველაფერი ამის შემდეგ, ცხადია, დიდს არაფერს წარმოადგენს ის ამბავი, რომ იწერებოდა ბოკერიას მიერ შეკვეთილი სტატიები, რაშიც, ცხადია, სოლიდური თანხა იყო გადახდილი და ამის შესახებ მისი გუნდის წევრებმაც იცოდნენ...



საინტერესოა, რომ გიგა ბოკერიამ უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნისთანავე, თავდაცვის სამინისტროსთვის მინიჭებული უფლება, განესაზღვრა საგარეო საფრთხეები და ჩამოეყალიბებინა სტრატეგია, უშიშროების საბჭოს, ანუ საკუთარ თავს დაუქვემდებარა. მაშინ ვერავინ ახსნა, რას ნიშნავდა მისი ეს გადაწყვეტილება, თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ე.წ ომი რომ სამოქალაქო პირების დაგეგმარების მიხედვით წარიმართა, არაერთი მოწმე ადასტურებს. კვლავ გაისმა ბოკერიას გვარი, თუმცა რატომღაც არავინ ეკითხება ბოკერიას რა საგარეო საფრთხეები განსაზღვრა, რა სტრატეგია ჩამოაყალიბა და საერთოდ, რა კონცეფცია შეიმუშავა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეებში...

კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა განაცხადა, რომ დაკავების პირველივე ღამეს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბოკერია და ადეიშვილი მას წამების საშინელი მეთოდებით გაუსწორდნენ რათა მიეღოთ მათთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება. „გიგა ბოკერია იყო ის ადამიანი, ვისაც ჰქონდა დასაჭერი ხალხის სია. სიას ადეიშვილთან ერთად განიხილავდნენ და ის გოგო-ბიჭები, კალმახელიძეები და ახალაიები, ამ მზაკვრულ გეგმას პიონერებივით ასრულებდნენ,“ – განაცხადა სულხან მოლაშვილმა.

## გია ბარამიძე

იმ დროს შსს მინისტრმა გია ბარამიძემ პრეზიდენტის ინაუგურაციის ორი თვის თავზე საჩვენებელი სადამსჯელო ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია განახორციელა ე.წ „სვანური დაჯგუფების“ წინაღმდეგ, რომელთა ვინაობაც ოჯახის წევრებით შემოიფარგლა: ასაკოვანი ევგენი აფრასიძე, მისი მეუღლე დოდო სიდიანი, გოჩა და ომეხ აფრასიძეები, შმაგი აფრასიძე მეუღლითა და მცირეწლოვანი შვილებით, რომელთაგან უფროსი 13 წლის იყო, შუათანა 9 წლის, უმცროსი 3 წლის... და შარაზე დაგდებულ, ჩაცხრილულ მიცვა-

ლებულთან, ნეტა, ეხლა ცხელი სვანური კუბდარები გვაჭამაო, ოცნებობდა სამი „ვაჟკაცი“, მოთხოვით, „ტერორისტების“ მეზობლის ქალებს მოთხოვეს და ვინ? — ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში კუბდარის „მთხოვნელი“ გია ბარამიძეა, აი, ამხელა საქმე გავაკეთეთ, ეს ბანდიტები მოგაშორეთ და კუბდარები მაინც გამოგვიცხეთო. პასუხი კი, მიილო, მკვდარი კაცი წინ გიგდიათ და თქვენ კუბდარებს გვთხოვთო? მაგრამ მაინც...

დიდხანს არ დასცალდა ბარამიძეს თანამდებობრივი ძალგულოვნება, ამდენად, მეტად ველარ გაითხვარა სისხლით, მაგრამ რაც დალვარა, იმაზე პასუხი როდის უნდა მოეთხოვოს?

### გივი თარგამაძე

ხალხი ითხოვს ლოთბაზარად ცნობილი გივი თარგამაძის თავსაც, ოღონდ, გაღებული პირით, რადგან მას უამრავი რამ აქვს მოსაყოლი, ვთქვათ, ისეთი ამბები, რაც „შავი ფულის ტრიალს“, ფულის უკანონო ხარჯვას და საერთოდ, ფულს უკავშირდება. გარდა ამისა, საამბობელი აქვს ვისთან ჰქონდა კავშირი და



რატომ, რას უკავშირდებოდა ლოპოტას ხეობაში ინსპირირებული შეხვედრები. სულს ამოგხდითო, ვისაც დაემუქრა, ის ასიათასობით „ნაძირალა“ ადამიანი ითხოვს მის ბევრ ქმედებაზე ადექვატურ ქმედებას მართლმსაჯულებისგან.

საიდან უნდა დაიწყოს კაცმა აქტიური სანიტრის მოძრაობის ათვლა, ხულიგნობიდან, ჟურნალისტობიდან, „თავისუფლების ინსტიტუტიდან“, საქართველოს პარლამენტიდან, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან, „ყვავილოვანი რევოლუციებიდან“ თუ რომელიმე ბიზნესიდან, ვერ გაიგებს — ბატონი რეზო ამაშუკელის თქმისა არ იყოს, ალ კაპონეა, რაღა...

გიორგი (გივი) თარგამაძეს გვარ-სახელი მეტ-ნაკლებად 2002 წელს გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, როდესაც ინცინდენტი მოხდა დიღმის ტრასაზე — გივი თარგამაძის ქორწილიდან მომავალი მექორწილე ირაკლი აბაშიძე დაეჯახა დაცვის თანამშრომლის, დავით დონაძის გაჩერებულ მანქანას. აბაშიძემ ქორწილიდან გამოიხმო „მაშველები“. სიძემ შუშის „ბორჯომის“ ბოთლი კეფაში სდრუზა ისედაც დაზარალებულს და წონასწორობადაკარგულ წაქცეულ დონაძეს გადაუარეს მექორწილეებმა და ზედ მიაყოლეს შვილის დასახმარებლად მივარდნილი მამაც, ნოდარ დონაძე. ამ პერიოდში გივი თარგამაძე ანტიკორუფციულ საბჭოში მსახურობდა, თუმცა, ანტიკორუფციული საბჭოს მდივან კახა უგულავას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის ხულიგნურ საქციელზე.

გივი თარგამაძემ ფხიზელ გუნებაზე მოიფიქრა თუ ნაბახუსევზე, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ თადარიგი აქვს დაკავებული, თუ ვინმე რუსეთში ე.წ ფერადი რევოლუციის მოწყობის მცდელობას უხსენებს, აღშფოთდება, კიდევ ერთხელ აყურყურდება, პირადად პუტინია ჩემით დაინტერესებულიო და კიდევ ერთხელ გამოაცხადებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების „ოცნების“ შტოს ცალკეულ პირებს რუსეთის გავლენის აგენტებად.

მართლმსუჯულება როდის გაიმარჯვებს მასთან ჭიდილში, ვინ იცის, მაგრამ ხალხი არც ყრუა, არც ბრმა, არც მუნჯი, მითუმეტეს, როცა გივი თარგამაძეს მათი სულის ამოხდა არ დასცალდა. სულის ამოხდას გადარჩენილ ხალხს სრულებით არ აინტერესებს ვინ მოთხოვს პასუხს დამნაშავე თარგამაძეს, რუსეთის ხელისუფლება თუ საქართველოსი, თვლის, რომ პასუხგებაშია მისაცემი პირი, რომელიც აქ საქართველოს მოქალაქეებს უპირებდა სულის ამოხდას, იქ — რუსეთისას, რადგან ორივე შემთხვევაში ადამიანების სულის ამოხდაზეა საუბარი.

რომელი „ფიგურა“ გივი თარგამაძეა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მასზე ფიქრში ათენებდეს და ვერაფერს უხერხებდეს, ელემენტარულია, 2012 წლის 13 დეკემბერს რუსეთის ფედერალურმა საგამოძიებო კომიტეტმა განაცხადა ის, რაც დაადგინა — აქვს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ქართველი დეპუტატი გივი თარგამაძე რუს ოპოზიციონერ აქტივისტებთან ერთად მონაწილეობდა მოსკოვში არეულობების მოწყობის ორგანიზებაში. რუსეთის ფედერალური საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა განაცხადა, რომ გამოძიებას აქვს მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გივი თარგამაძე არა მხოლოდ აფინანსებდა რუსულ ოპოზიციას, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს კონკრეტული როლიც ჰქონდა 2012 წლის მაისში, მოსკოვში, ბალოტნაიას მოედანზე მასობრივი არეულობების ორგანიზების საქმეში.

გივი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია, რადგან არავინ ეკითხება, აბა, ერთი, როგორმე გააღე პირი პატივცემულო თარგამაძევ და მოგვითხრეთ, როგორ და რატომ იკვეთებოდა შენი და ჩეჩნების გზები წამდაუწუმ, უკრაინაშიც კიო? აბა, ერთი, როგორმე გააღე პირი და მოგვითხრე, ინტერნეტგამოცემა „ტრიბუნამ“ რომ გამოაქვეყნა შენი და ვანო მერაბიშვილის საუბარი, სადაც იულიას (ტიმოშენკო) ახსენებთ, რა ათას კაცზე იყო საუბარი, რა საქმეს ეხებოდაო? კოტე ყიფიანს რომ ელაპარაკებოდი, რა შემთხვევაში იმუქრებოდი დონეცკის თავზე დახურვითო? ლაშა ვინ იყო, კანონიერი ქურდი ლაშა შუშანაშვილი „დედ ჰასანის“ დაჯგუფების წევრი და გია, „ხმელო“ შენი სათამაშო ბიზნესის „კრიშაო“? უკრაინაში მოქმედ 16 ჩეჩნური დაჯგუფებისგან რაღა ჯანდაბა გინდოდა, მათ გამო რატომ „დაგადო“ კოტემო? ბოლო-ბოლო, ეგვიპტესა და სირიაში ჩვენი ელჩისგან, გოჩა ჯაფარიძისგან რაღა გინდოდა, რატომ ავალებდი ადგილზე ჩეჩნური, ინგუშური და ჩერქეზული ორგნიზაციების აღმოჩენასო? ანდა, რანაირად იყავი შუამავალი ედუარდ კოკოითის ძმასთან, რობერტ კოკოითსა და საქართველოს შორის იარაღის შესყიდვის საქმეშიო? კაცო, გივი, მართლა უკვეთავდი ალექსანდრე მილინკევიჩის მკვლელობასო?...

ბატონი ივანიშვილის თქმისა არ იყოს, როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილი მართლაც ალღოიანი კაცი ყოფილა და იმიტომაც უცემია გივი თარგამაძე, ისე, პროფილაქტიკის მიზნით. შინაგან საქმეთა მინისტრი ჯერ არ იყო მერაბიშვილი, მაგრამ რომ გაიგო, გივი თარგამაძეს აქციის მონაწილეებისთვის სოსისის საყიდლად მიბარებული ფული თვითონ შემოეჭამაო, პირველად იმიტომ სცემა; მეორედ, თარგამაძემ მესტიაში მოინდომა მსუბუქი ყოფაქცევის ქალები და მერაბიშვილმა შეუძახა თურმე, სად გგონია ბიჭო თავი, ბორდელში თუ სვანეთშიო და თარგამაძემ რომ შეუკურთხა, ვანოს ბიჭებმა გაიგდეს ფეხქვეშ და მედუზასავით დაარბილეს; „კაი ტიპად“ გამოდის ვანო გივი თარგამაძესთან მიმართებაში, ფაქტებს ვერ გაექცევა კაცი — თარგამაძის სამშენებლო ბიზნესს („ბლექ სი გრუპი“), რომელიც ფორმალურად მის დეიდაშვილზე, ამირან მამუჩაძეზე იყო გაფორმებული, გასაქანს არ აძლევდა; მერაბიშვილმა ისაუბრა აგვისტოს ომის



დროს რუსებთან გივი თარგამაძის 50 000 დოლარიან გარიგებაზე სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და გაუხადა თავის სამართლებელი საქმე, ირონიულად, დაცინვით ვთქვი, ამ ფულს მივცემ იქით, თუ უნდათ მოხსნან ეგ ძეგლი და წაუღონ თავიანთ მთავარსარდალსო...

„ვარდების“, „ნარინჯისფერი“ და „ტიტების“ რევოლუციების ჩე გევარა, გივი თარგამაძე ბედნიერია, რომ ლიტვამ არ მიართვა რუსეთს მისი თავი; გივი ბედნიერია, რადგან არც მისმა სამშობლომ გადასცა მისი თავი რუსეთს; გივი კიდევ უფრო ბედნიერია იმით, რომ უკრაინა არაფერს ედავება; და საერთოდ, გივი უბედნიერესია, რადგან გუმანით გრძნობს, რომ მისი მშობელი სამშობლოს მთავარი პროკურატურა, ისევე როგორც მის მეგობრებს „ნაცმოძრაობიდან“, არ გაუხსენებს არაფერს და მათთან წილნაყარი თუ „დაბოლებული“ უცხოელი დიდ-დიდი გვამების საფარქვეშ კვლავ თავისუფლად შეეძლება ამქვეყნიური სიამეებით თრობა. რაც შეეხება მათ მიერ გაუბედურებულ ხალხს, რომლებიც სადაც წააწყდებიან და სულის ამოხდომამდე მინაყავენ, სხვებმა ინაღვლონ, თორემ თვითონ დიდად სადარდებელი არ აქვს, რაც გივის მოხვედრია მას შემდეგ, რაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა და მწვანე კუპიურებს გემო გაუგო, ვინ მოთვლის...

„ნაძირალა უმრავლესობის“ მისამართით სულისამომხდელი თარგამაძე ახლა ასე იმუქრება: — „ჰაკიმისტებო და იმ შუშისტებო, ნუ მივარდებით, პასუხს არ გცემთ, მაგრამ გიმახსოვრებთ. არა იმ დროისთვის, როცა დავბრუნდებით, უბრალოდ, შიდა მოხმარებისთვის“...

### მიხეილ სააკაშვილი

უმთავრესი და მართლმსაჯულებისთვის მიუწვდომელი საქართველოს პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი ის პირია, რომლის პასუხგებაში მიცემას ისეთი პერსპექტივა აქვს, როგორც მარსის განაშენიანებას უახლოეს მომავალში, არადა, სააკაშვილი ის უპირველესი დამნაშავეა, რომლის ნების გარეშე არც ერთი სახელმწიფო დონის დანაშაული არ მოხდებოდა; მაქსიმალურად არ დაირღვეოდა საქართველოს მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები; არ იქნებოდა უდანაშაულო თუ პოლიტპატიმრების ზღვარგადასული რაოდენობა; არ იქნებოდნენ გამიზნული გეგმის მიხედვით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები; უდანაშაულო, ქუჩაში დახვრეტილი ადამიანები — მოკლედ რომ ვთქვათ, არ იქნებოდა წახალისებული და ფრთაშესხმული ადამიანთა მასიური ჩაგვრა.

როდესაც სასამართლო არსებობს და მოქმედებს შესაბამისად აშშ-ის და საფრანგეთისა პრეზიდენტებისათვის თუ იტალიის პრემიერისთვის, (აზიაზე აღარაა საუბარი), უცნაურად არ ეხება თემიდა საქართველოს პრეზიდენტყოფილ სააკაშვილს. სააკაშვილს ვიღა ჩივის, როცა ქვეყნის რიგით მოქალაქეს, იმავე სააკაშვილის მიერ დანიშნულ დედაქალაქის მერყოფილს ისე ესარჩლებიან ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლიდან დაწყებული, ევროკავშირის ელჩი იქნება, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თუ პოლონეთისა, ბარონესა თუ რიგითი პლებეი, თითქოს ზეციდან მოვლენილ უფრთო ანგელოზს ვინმე რამეს აბრალებდეს...

„ეს იყო სისტემური დანაშაული და ყველა დამნაშავე აგებს პასუხს!“ — თქვა პრემიერმა და იმედი მიეცა ღირსებაშელახულ საზოგადოებას, მაგრამ რა, პრემიერი ერთს ამბობს და ცდილობს შეპირებული შეასრულოს, გაიხედავ და აყვირდება ე.წ დასავლეთის „ლობისტური ელიტური ადვოკატურა“...

დასაჭერი კიდევ ბევრია — სახეზეა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ისტორიისთვის ორიოდე დღის წინ შეიქმნა და სახეზე არიან მისი სულისჩამდგმელებიც, მათი ნაავკაცარიც, შემსრულებლებიც, აღმასრულებლებიც, აქტივიც — ყველა; აქვე — კანონით განსაზღვრულია რა შემთხვევაში შეიძლება აიკრძალოს პოლიტიკური პარტიის საქმიანობა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სანამ კოტე კუბლაშვილი გაქვავებული ნაკვთებით რობოტივით მეტყველებს გაზეპირებულ ფრაზებს, საკონსტიტუციო სასამართლო დასაჭურისებულის სტატუსქვეშ უმოქმედოა!

**დათო მხეიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# არსებობს თუ არა „ოცნებაში“ ჩანერგილი ნაცაგენტების 20-კაციანი სია?



**„საერთო გაზეთი“ სტუმარია ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე.**

**— ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ აპირებდით გაგესაჯაროებინათ იმ 20 ძირითადი აგენტის სია, რომელიც ნაციონალებმა ჩანერგეს ოცნებაში. ამას ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. იქნებ დეტალურად მოგვიყვეთ, რა მოხდა რეალურად ამ სიასთან დაკავშირებით?**

— სიმართლე ის გახლავთ, რომ მე არავითარი განცხადება არ გამიკეთებია, არც უცხოეთში ვყოფილვარ, ეს იყო კარგად გააზრებული პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ჩემს დისკრედიტაციას. ჯერ ერთი, როცა კაცს ასეთი სია აქვს და გამოქვეყნებისაგან თავს იკავებს ორმაგად საეჭვო ხდება. პირველი იმის გამო საიდან აქვს სია და მეორე იმის გამო, გამოქვეყნებაში რა უშლის ხელს, თუმცა სია ცოტა მოგვიანებით შევაფასოთ. ჩემი ფეისბუკის გვერდი გატეხეს და ამას მოჰყვა ეს გაუგებრობების მთელი წყება. საქმე ის გახლავთ, რომ მე ვითომ ვაკეთებ განცხადებას ამ სიის შესახებ, ამის შემდეგ ერთ-ერთი ჟურნალისტი თითქოს მიკავშირდება და მე ვეუბნები მას, რომ უცხოეთში ვარ და სანამ არ ჩამოვალ, მანამდე თავს კი შევიკავებ, მაგრამ, ჩამოვალ თუა არა, ამ სიას მაშინვე გამოვაქვეყნებ. ამ დროს მე უცხოეთში არ ვყოფილვარ და სრულიად ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ჟურნალისტი თუ მოინდომებდა ამის გადამოწმებას, ძალიან მარტივად გაიგებდა, გადავკვეთე საქართველოს საზღვარი თუ არა. შესაბამისად, ტყულის თქმა რომც დამეპირებინა, ასეთ პრიმიტიულ ტყუილს, რომლის გადამოწმებაც რამდენიმე საათის საქმეა, ნამდვილად არ ვიტყოდი.

**— ვის სჭირდებოდა ამ პროვოკაციის მოწყობა და თქვენი დისკრედიტაცია?**

— ნაციონალების ნარჩენებს... ჯერ ერთი, სტილი მათია. მეორე, ოღონდ ვინმეს, „ოცნების“ ერთგულს ტალახი ესროლონ და ყველაფეერს კადრულობენ. მოკლედ, ამ ადამიანებმა ვერ გაიგეს, რომ დამარცხდნენ და ქართველმა ხალხმა მათ უარი უთხრა ხელისუფლებაში ყოფნაზე. ახლა ცდილობენ, შემოდგომის ბუზებივით, რაც შეიძლება მეტი ხალხი დაკბინონ, გასვარონ, ჭორები შეუთითხნონ და ა.შ. მოკლედ, ესენი არიან ყველაფერზე წამსვლელი ხალხი, რომლებიც ხშირად, ყოველგვარი მიზნის გარეშე ილანძღებიან. ასე რომ, აღარც დაინტერესებულვარ, არც იმით, ვინ გატეხა ჩემი ფეისბუკი, არც იმ ბლოგერით, რომელიც თავს ირთობდა ეგეთი ინფორმაციებით, ერთადერთი, რაც მინდა საზოგადოებამ იცოდეს, სიმართლე. მაგათ დევნას არ მივიჩნევ ღირსეულ საქციელად.

**— გულწრფელად გვითხარით, არსებობს თუ არა ასეთი სია რეალურად თუ ესეც ნაციონალების ფანტაზიის ნაყოფია ?**

— ასეთი სია ბუნებაში არ არსებობს. რომ არსებობდეს, მე პირველი გადავცემდი ამ სიას პრემიერ-მინისტრს. მიმაჩნია, რომ ის თვისებები და ქცევები, რაც ახლა გამოავლინეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, უნდა ისჯებოდეს. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ხალხი ჩანერგილი, რეალურად, ზედა დონეებზე, აღმსრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურებში, ასეთი რამ, ალბათ, ვერ იქნება, ალბათ კი არა, და სერიოზულ საბოტაჟს ან რამე სხვა სერიოზულ დანაშაულს, ალბათ, ადეკვატური პასუხიც დაუყოვნებლივ გაეცემა. ასე რომ განგაშისთვის ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ.

**— არც მოღალატე მინისტრები არსებობენ?**

— არა, რა თქმა უნდა, არ არსებობენ. ისიც არ მესმის, სიტყვა ღალატი როგორ აქვს წარმოდგენილი ამ სისულელების ავტორ ნაციონალებს, ან რას გულისხმობენ ამ ტერმინის ქვეშ. უბრალოდ, მედიაში ლაყბობენ, ავრცელებენ ამ უაზრო ჭორს, დღეს ერთზე იტყვიან მოღალატეაო, ხვალ — მეორეზე, ყოველგვარი საბუთისა და საფუძვლის გარეშე, თვით მოგონილი ფაქტებიც კი არ არსებობს იმისთვის, რომ კოალიციის ღალატი დავწამოთ ვინმეს. აქაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც წეღან გითხარით, უკვე აგენტებთან მიმართებაში. ასეთი მინისტრები რომ არსებობდნენ, მე პირველი მივიდოდი პრემიერ-მინისტრთან და პირველი ვეტყოდი. ჩემი თქმა არც დასჭირდებოდა იმდენად ღირსეული, პატრიოტი და წესიერი კაცია — მთავრობის ასეთი თავჯდომარე საქართველოს არ უნდა ერთმანეთს გადაჰკიდონ, გარდა ამისა, რამდენი ხანია გაიძახიან, სამ თვეში ოცნება დაიშლებაო, აღარ გავიდა ის სამი თვე? თუ დაიშალა და მე ვერ ვამჩნევ?

**— თქვენგან ბევრი კრიტიკული რამ გამიგია რესპუბლიკელების მისამართით, არ გიჭირთ მათთან გუნდური მუშაობა და ყოველდღიური ურთიერთობა?**

— ასეთივე კრიტიკული ვიყავი რესპუბლიკელების მიმართ პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, არც ჩემთვის, არც რესპუბლიკელებისთვის, რომ ერთად ვმდგარიყავით აქციებზე, იგივე მინდა ვთქვა 2007 წლის გამოსვლებთან დაკავშირებით. ერთად ვიბრძოდით ქვეყნისთვის მიუღებელი რეჟიმის წინააღმდეგ.

რესპუბლიკელებს ორ რამეს ვერ დაუკარგავ, ჯერ ერთი დაარსების დღიდან ერთ პრინციპულ პოზიციაზე დგანან, მეორე ის, რომ ეს არის ყველაზე ინტელექტუალური პარტია, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს. შესაბამისად, მათთან ურთიერთობები არა მარტო არ მიჭირს, არამედ ხანდახან სასიამოვნოც კია.



**სანდრო ბრეგაძე: „ასეთი სია ბუნებაში არ არსებობს, რომ არსებობდეს, მე პირველი გადავცემდი ამ სიას პრემიერ-მინისტრს. მიმაჩნია, რომ ის თვისებები და ქცევები, რაც ახლა გამოავლინეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, უნდა ისჯებოდეს.**

არ არის. სასამართლო ცალკე თემაა და შედარებით თავისუფალია. თუ იქნება ვინმე ჩანერგილი, ესენი, ალბათ, ქვედა დონეებზე არიან, თუმცა მმართველობის აპარატის რეფორმის მიმართულება ისე მიდის, ალბათ, მალე ესენიც აღარ იქნებიან. თუმცა დღეს გამოგონილი კომპრომატებითა და შანტაჟით სერიოზულად უშლიან ნერვებს ვილაცებს ნაციონალები. მათ არ აქვთ იმის საშუალება, რომ მთავრობის მუშაობა შეაფერხონ, ან, მით უმეტეს თავის ჭკუაზე გადაიყვანონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალოვანი სტრუქტურები ძალიან კარგად მუშაობენ ღირსებია. ყოველდღე ჩვენთან ერთად მუშაობს და გონიერების დეფიციტი ნამდვილად არ აქვს, ძნელია, რაიმე გამოაპარო, მით უფრო, ღალატი. ალასანიაზეა ბოლო ხანებში მთავარი დარტყმა. ბუნებრივია, მეცინება, როცა ალასანიას მოღალატეობაზე საუბრობენ. ერთი მიზეზიც კი არ არსებობს იმისა, რომ ალასანიამ ღარიბაშვილს უღალატოს. მით უმეტეს, პრემიერ-მინისტრობისადმი რაიმე დაინტერესება ალასანიას არასოდეს გამოუხატავს. ხომ გეუბნებით, დღეს ერთ მინისტრზე იტყვიან რამეს, ხვალ მეორეზე. ჯერ ერთი, მათი აზრით, ეს მინისტრები ამაშია ზუსტად დემოკრატიის ერთ-ერთი თავისებურება, რომ კრიტიკულად განწყობილი ადამიანები ხვალ შეიძლება ერთ პოზიციაზე აღმოჩნდნენ და თანაც არაერთგზის. ევროპაში ეს სრულიად ჩვეულებრივი და გასაგები ამბავია.

**— ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა არა ნაციონალების, არამედ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში. რით ხსნით ამას?**

— ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ წლების წინ ასცდა დემოკრატიის გზას, უარი თქვა დემოკრატიულ განვითარებაზე და ქვეყანაც თან გაიყოლა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იბრალებენ ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მუშაობა ჩვენ დავიწყეთო, ეს არ არის სწორი. თუ უნდოდა ევროპას ნაციონალების მართულ საქართველოსთან ხელის მოწერა, 9 წელიწადი ამისთვის საკმარისზე მეტი დრო იყო, მაგრამ ევროპა ხედავდა, რომ საქართველო სისხლიანი რეჟიმის მიერ იყო მართული და ასეთი დოკუმენტის ხელმოწერა ამ რეჟიმთან ნიშნავდა რეჟიმის ერთგვარ ლეგიტიმაციას. ამიტომ იკავებდნენ თავს. გარდა ამისა, არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა საქართველოში, არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, რომელიც არ გაყალბებულიყო. მხედველობაში მაქვს ისეთი გაყალბება, რომელმაც არჩევნების შედეგებზე იქონია გავლენა. რაც „ოცნებამ“ გაიმარჯვა, მას შემდეგ ჩავატარეთ ორი არჩევნები და ორივე ჩავატარეთ დიდი სიზუსტით. დემოკრატიის და საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესების სრული დაცვით. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი არის ის ფაქტი, რომ ნარმანია დღეს მეორე ტურში იბრძოლებს მერობისთვის, არადა სულ 3 % დააკლდა. როგორმე მოვახერხებდით იმ 3 % მობილიზაციას, ასევე როგორმე მოვახერხებდით იმ 3% დაწერას სხვადასხვა მანიპულაციით, გარდა ამისა, ეს ყველაფერი შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ნაციონალებისთვის დედამიწის ზურგზე არავის მოესმინა ან დაეჯერებინა და ეს არჩევნები ყველას ჩაეთვალა თავისუფალ- დემოკრატიულ და სამართლიან არჩევნებად. მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით, ჯერ ერთი, ასე მოგებული არჩევნები არაფერში არ გვჭირდებოდა, დემოკრატია და სამართლებრიობა უფრო მაღლა დავაყენეთ, ვიდრე არჩევნების მოგება, მეორე, ის, რომ თავად ბატონ დავით ნარმანიას ასეთი ე.წ. გამარჯვება არაფერში სჭირდებოდა და ბოლოს, საქართველოში პირველად იმართება მეორე ტური არჩევნებში, ეს ნიშნავს დემოკრატიას და მე ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში უკვე ორი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა.

**— დაბოლოს, მინდა გკითხოთ, სამინისტროში თქვენი მოღვაწეობის შესახებ, ვისი რეკომენდაციით დაიკავეთ ეს თანამდებობა და როგორ შეეგუეთ ახალ სამსახურს?**

— ჩემი დანიშვნა მოხდა პირადად პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით. სამინისტროში კარგი კოლექტივია და ჯანსაღი სამუშაო ატმოსფეროა, ვფიქრობ, ამ ხალხთან ურთიერთობა არ გამიჭირდება და ყველა ერთად გავაკეთებთ იმ საქმეებს, რომლებიც კანონით გვევალება.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



დასავლეთმა რუსეთი უნდა შეაჩეროს, თორემ გაიღვიძებს გერმანია და ბერლინის კედელი აშენებული დახვდება, ხოლო ნახევარი ევროპა ნამგალ-უროიანი დროშების ქვეშ გაახელს თვალს. ამიტომ, დიდი სიამოვნებით ველოდები რუსეთთან დაკავშირებით ჩემი წინასწარმეტყველების ასრულებას, ხოლო საქართველო ნატო-ს ხაზით აუცილებლად გავა. ეს ციტატაა, მაგრამ აქვე გავიხსენებ, ჯერ კიდევ 1992 წელს ვთქვი, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი და ამას ვერავინ შეაჩერებს. მაშინ ამის გამო ყველა დამცინოდა."

ამ პერიოდში ვერ ვხედავ ქვეყნის აღორძინებას. იქნება უკმაყოფილების ტალღები, იმედების გაცრუება, რომელსაც ხალხი ხმამაღლა გამოთქვამს, მთავრობას ვურჩევ, ფრთხილად მიუდგნენ ამ საკითხებს, ხალხი გამწარებულია. მისთვის ეს დაჭერები არ კმარა. „ნაციონალები" წავიდნენ, ესენიც წავლენ და მოვა ის ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება — მაშინ დადგება ფეხზე საქართველო. მომავალში ველოდები გიორგი ბრწყინვალეს და მეცნიერთა პარტიას... „გიორგი ბრწყინვალეში" ბიძინა ივანიშვილი არ იგულისხმება,

# ლელა კაკულია — „წინასწარმეტყველი" თუ დაწყებითი განათლების პოლიტიკური „ექსპერტი", რომელიც ხან ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ახმოვანებს, ხან — მეორისას...

„— ამხანაგო სტალინ, თქვენთან შეხვედრა უნდათ, ამბობს, მომავალს ვხედავო...

— დახვრიტეთ თაღლითი! მომავლის დანახვა რომ შეძლებოდა, ხომ არ მოვიდოდა..."

რა თქმა უნდა, მსგავსი განწყობა არ უჩნდება ადამიანს, როდესაც ვთქვათ, ლოტკინელი ე.წ ციგანი აედევნება ვაგზლის მოედნის, „დეზერტირების ბაზრის", ან „ელიავას ბაზრობის" მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოლო-ბოლო, ხელს აუქნევს და სამი-ოთხი მეტრის გამოდევნების შემდეგ ისიც თავს გაანებებს, მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, ის ციგნის ქალი სახლში ჩაგისახლდეთ და გამყინავი ხმით და დაულაგებელი მიმიკებით დაბეჯითებით ჩაგძახოთ ხან დილას, ხან შუადღეს და ხან ღამე, რომ 23-ე ან 25-ე საუკუნეში რუსეთის დიდი მთავარი გახდებით, მიუხედავად საცთურისა, როგორი განწყობა დაგეუფლებათ? („რუსეთის დიდი მთავარი" შემთხვევით არ გამხსენებია, თუ საქართველო რუსეთს დაესხმის თავს, დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს და ყმად გაიხდის, მაშასადამე, რუსეთი ისეა შემცირებულ-დაძაბუნებული, რომ მთავრის ტიტულიღაა უმაღლესი.)

„ამ წუთში ხუთი ანგელოზი მიზის, ორი მელაპარაკება, სამი ჩუმადაა. მეუბნებიან, მომავალში სვეტიცხოველსა და ჯვარზე ერთდროულად და თბილისში, სიონში, გადაიხადონ პარაკლისი ქრისტესა და ღვთის სადიდებლად. იკვრება სამკუთხედი და უზარმაზარი ენერგია იხსნება საქართველოს თავზე..." (ლელა კაკულია 29. 04. 2013წ)

აჩვენეთ ეს „წინაწარმეტყველება" ნებისმიერ ჭკუადამჯდარ ადამიანს და სთხოვეთ დასკვნის




გამოტანა, რა კატეგორიის ადამიანი იტყოდა ამ სიტყვებს. ამ პატარა ამონარიდის პირველი წინადადების წაკითხვისთანავე, მაგალითად, საბჭოთა საქართველოში, ფსიქიატრიულ კლინიკაში, სულ მცირე, გამოკვლევებზე იძულებით წაიყვანდნენ პაციენტს, რადგან ჩათვლიდნენ, რომ სახეზეა ფსიქიური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა. უმეცარი აქვე შემომედავება და მკრხელობას დაახეთქებს, საბჭოთა საქართველოში გაბრიელ ბერსაც შეურაცხადად აცხადებდნენო — მისი პრობლემაა, თუ გაბრიელ ბერს, სალოსსა და ნაპატივებ მოქალაქე ლელა კაკულიას შორის განსხვავებას ვერ დაინახავს...

კაკულიას მიერ ამ სიტყვების თქმიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ რატომღაც სამ ტაძარში ერთდროულად არავინ იხდის პარაკლისს „ქრისტესა და უფლის სადიდებლად", მაგრამ ეს იქით იყოს, რადგან აქ, ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობას აწყდება მკითხველ-მსმენელი, ამიტომ თვით კაკულიას უნდა მიმართონ განმარტებისთვის, რა განსხვავებაა ქრისტესა და უფალს შორის და პარაკლისი ორივესთვის ერთდროულად უნდა გადაიხადონ თუ თითოეული მათგანის სახელზე...

სამყაროს მესაიდუმლედ და ამოუცნობ ფენომენად შერაცხული ამბობდა: — „ჯერ კიდევ 2008 წელს ვთქვი, რომ იაპონიაში მიწისძვრასა და ატომური სადგურების აფეთქებას ვხედავდი. როცა ეს ყველაფერი ახდა, იაპონიის კონსული მომადგა, რუკა მოიტანა, დამიდო წინ და მთხოვა, მითხარი, კიდევ სად იქნება მიწისძვრაო... იაპონია ისეთ ზონაშია, რომ იქ მუდმივად არის რყევები, ასევე ამერიკაშიც — გრიგალი, ცუნამი და ათასგვარი მოვლენა, რომლებსაც სახელებიც კი დაარქვეს... (24. 12. 2011 წ)

„ისრაელთან დაკავშირებული ამბებიც ვიწინასწარმეტყველე, როცა დავინახე, რომ ის ადგილი დედამიწაზე, სადაც ეს და მისი მეზობელი ქვეყნები არიან განთავსებულნი, ცეცხლოვან, წითელ ბურთში მოექცნენ. ისრაელს უპირისპირდებიან და ერთადერთი, რაც ამ ქვეყანას დაიცავს, კოსმოსია, მეტი არაფერი."

ორაკულმა კაკულიამ როდის იწინასწარმეტყველა „ისრაელის ამბები", მოსეს მიერ უდაბნოდან ებრაელი ხალხის გამოყვანამდე თუ მას შემდეგ, უცნობია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ისრაელს კოსმოსი კი არა, აშშ-ის ებრაული ლობი რომ არ იცავდეს, „წითელი ცეცხლოვანი ბურთი" კარგა ხნის გამსკდარი იქნებოდა...

საერთოდ, კაკულიას წინასწარმეტყველებებს ერთი მნიშვნელოვანი განმარტება სდევს: „ბევრჯერ მითქვამს, რომ დროს ვერ ვხედავ, რადგან ასეთი ცნება კოსმიურ სივრცეში არ არსებობს". მშვენიერია! სრულებით არ არის საჭირო დრო, ისედაც გასაგებია, რომ იაპონიაში იქნება მიწისძვრა (მსხვერპლით ან უმსხვერპლოდ); აშშ-ში გადაივლის კიდევ ერთი დამანგრეველი გრიგალი (მსხვერპლით ან უმსხვერპლოდ); ავსტრალიაში კალიების გადაფრენა ან მინვდრის თაგვების შემოსევა გაანადგურებს ხორბლის მოსავალს; აფრიკის კონტინენტის სამხრეთში იქნება გვალვა, ხოლო ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ყინვა, თუმცა, შესაძლოა ნაპირთან ცოტა მოლღვეს...

მთავარი ისაა, რომ ორაკული კაკულია კეთილადაა განწყობილი საქართველოს მიმართ, ამდენად, დროის უცოდინარობა გვიშლის მხოლოდ ხელს, თორემ სამაჩაბლოც გვიბრუნდება და აფხაზეთიც. კიდევ უკეთესი! — საინგილოსთვისაც გადაუხედია და ტრაპიზონისთვისაც. ახლა ზღაპარივით ჟღერს და გელიმებათ, მაგრამ არა უშავს, ბევრი რამ მაქვს ნაწინასწარმეტყველევი რომლის ახდენაც თავადაც არ მჯეროდა, მაგრამ ახდა...

ორაკული კაკულიას „ნაწინასწარმეტყველევიდან" ყველაფერს რა ჩამოთვლის, მაგრამ რუსეთის ხსენების გარეშე მისი წინჭვრეტის მადლი დაიკარგება. 2011 წლის აპრილი, „აი, რა დავწერე 2008 წლის 20 აგვისტოს:

რა დანიშნულების ან დატვირთვის იყო ფრაზა „სიამოვნებით ველოდები რუსეთთან დაკავშირებით ჩემი წინასწარმეტყველების ასრულებას", კაცი ვერ ხვდება, მაგრამ პოლიტიკასთან რომ ცოტა მწყრალადაა ქალბატონი ორაკული, სრულებით არ არის დასაძრახი... ახლა ისაა საკითხავი, 1992 წელს, როცა ირაკლი წერეთლის (სიმბოლურად ავიღოთ) გარდა არავინ იცოდა რა იყო „ნატო", ან თვით ირაკლი წერეთელი რატომ გაიძახოდა „ნატო-ს", იმავე „ნატო-ს" კი წარმოდგენა არ ჰქონდა „რაღაც საქართველოზე", აწ პატივგებული კაკულია კი სადღაც მიმალული ახალგაზრდა საბჭოთა გოგონა იყო, რომელ „ნატოზე" წინასწარმეტყველებდა და კოსმიური დრო რომ დედამიწურზე გადმოვიყვანოთ რომელ ეპოქაზე? მას „კოსმიური უდროობის" გამო პასუხი არ აქვს, მაგრამ ჩვენ გავცეთ — ალბათ, იმ დროში, როცა მისივე სიტყვებით: „მე 90-იან წლებშივე ვიწინასწარმეტყველე, რომ რუსეთი აუცილებლად დაარტყამდა საქართველოს, მერე კი ვთქვი ასეთი რამ: რუსულ არმიას საქართველოში ვერ ვხედავ... რუსები თავიანთი ხელით გვიბრუნებენ სამაჩაბლოს და აფხაზეთს და აქედან გარბიან თავიანთი მიწების დასაცავად."

ჯანდაბას, გადმოვიდეთ მყოფადში — „ვინც დღეს სათავეშია, ისინი არ წარმოადგენენ საქართველოს ძლიერ ხერხემალს. ის სულ სხვა ვინმეა. ყველა მიხვდება ვინც იქნება, მე მას ხელი დავადე. ივანიშვილმა რაც უნდა გააკეთოს, მისი მადლიერები არ იქნებიან, სვავებივით დაესევიან. რას ვიზამთ, ეს პოლიტიკაა, სადაც ბრძოლაა წესების გარეშე ..." — აქამდე რაც არის კაკულიას „ნაწინასწარმეტყველევი" თუ ამას წინასწარმეტყველებად თვლით, ღმერთმა კარგად გამყოფოთ და ექიმი არ დაგაჭირვოთ, მაგრამ მთავარი წინ არის!

— „ღარიბაშვილი უნდა გადადგეს!!! ძალიან უჭირს, სულ სხვა რამეებით არის დაკავებული, მაგრამ უჭირს. ხალხის განწყობა მის მიმართ მტრული არ არის, ამას არ ვხედავ. ძალიან ერთგული პიროვნებაა, შინაგანად წესიერი, მაგრამ სახელმწიფოს მართვა მძიმე ტვირთია ყველასთვის...

და ამიტომ ღარიბაშვილი უნდა გადადგეს! — ასკვნის ორაკული კაკულია.

მაპატიონ ყველა დროის ორაკულებმა, მაგრამ კაკულიას ეს ორაკულური „დასკვნა" რატომღაც ძალიან ჰგავს „ნაცების" ნაჩალიჩარს — ლელა, გვიშველე, ამ ხაკიმ ფაშამ იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს და გადადგეს, თორემ ხომ ხედავ, მწყრებივით თითოთითოდ რომ გვიჭერს და გალიაში გვყრის... დავწყდით და დავილიეთ... თუ გვიხსნი და გადაგვარჩენ, პატივისცემა ჩვენზე იყოსო...



სამწუხაროდ, ტყუილად დაშვერით თქვენ, ორაკულო კაკულიავ — რამდენადაც ვიცით, ღარიბაშვილს თქვენნაირი „წინასწარმეტყველების" საერთოდ არ სჯერა.

დაბოლოს: სულო ცოდვილო და ორაკული კაკულია, მისი „წინასწარმეტყველებებით" თუ ვიმსჯელებთ, ორაკულს კი არა დაწყებითი განათლების „ექსპერტს" უფრო ჰგავს, რომელიც ხან ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ახმოვანებს, ხან მეორისას...

**დავით მხეიძე**



კახი კახიშვილი:

# „ნაცმოძრაობა“ ისე მოქმედებს, როგორც 2000–2003 წლებში მოქმედებდა, როცა ძალადობის დემონსტრირებას ახდენდა და ამით აჩვენებდა, რომ კანონზე მაღლა დგას

**გვესაუბრება „არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ დირექტორი, ექსპერტი კახი კახიშვილი:**

**— ბატონო კახი, რატომ გაახსენდა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი უგულავა ხელისუფლებას არჩევნების მეორე ტურამდე ერთი კვირით ადრე?**

— საქმე ისაა, რომ სასამართლომ პროკურატურის არგუმენტები გაიზიარა და ფაქტობრივად, უგულავას, აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა. თუმცა უცნაურია, რომ ორი დღით ადრე მეორე მოსამართლემ, სხვა ბრალთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოიტანა და განაცხადა, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების ფორმალურ აუცილებლობასაც კი ვერ ხედავს, მაშინ როდესაც პროკურატურა აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას გირაოს სახით ითხოვდა. ამიტომ, გადაწყვეტილებები ცოტა ალოგიკურია. რაც შეეხება ყბადაღებულ მორატორიუმს, ვფიქრობ, ამაზე საუბარი მხოლოდ და მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ ხელისუფლება ყველაფერზე თანხმდება. მას ხომ არავინ აიძულებდა ამ გაუგებარ მორატორიუმს დასთანხმებოდა?! მითუმეტეს, რომ მორატორიუმის შესახებ არც პროკურატურის შესახებ კანონში, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არც საარჩევნო კოდექსში, არაფერი წერია. ხელისუფლება ამას რომ არ დასთანხმებოდა, არც მის დარღვევაზე ისაუბრებდა ვინმე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან მორატორიუმზე დათანხმება, დიდი შეცდომა იყო. მეტიც, გაუგებარია როგორ შეიძლება დასთანხმდე იმას, რისი უფლებამოსილებაც თავად არ გაგაჩნია. ანუ, ხელისუფლებას არ გააჩნია უფლებამოსილება პროკურატურას მითითებები მისცეს. დღესაც, ევროკავშირის, სხვადასხვა საერთაშორისო დიპ.მისიის განცხადებებში, უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით, საუბარია არა ბრალის საფუძვლიანობაზე, არა კონკრეტულად რომელიმე აღმკვეთი ღონისძიების სახის არგუმენტებზე, არამედ მორატორიუმის დარღვევაზე. წარმოვიდგინოთ, რომ ვინმეს ღარიბაშვილისთვის სასამართლოზე მორატორიუმის დაწესება მოეთხოვა — ეთქვა, იქნებ კუბლაშვილს უთხრა, ყველა იმ საქმის სასამართლოში განხილვა, რომელშიც პოლიტიკოსები ფიგურირებენ ან შეაჩეროს ან გადადოსო, ეს ხომ გაუგებარი იქნებოდა? ასევე, დაუშვებელი უნდა ყოფილიყო პროკურატურისთვის მითითებები და მორატორიუმის გამოცხადების მოთხოვნა. თუ ვინმე თვლის, რომ საქართველოში სამართალდამცავი სისტემა და პროკურატურა პოლიტიზირებულია, ამის უფრო გაღრმავებას ხელი თავად არ უნდა შეუწყოს. ადამიანები, რომლებიც 5-6 თვის წინ ღარიბაშვილს ეუბნებოდნენ, პროკურატურაზე ბერკეტი რატომ გაქვს, გამოძიებასთან დაკავშირებით ინფორმაცია საიდან გაქვსო, იგივე ადამიანები, გარკვეული დროის შემდეგ, ღარიბაშვილს ეუბნებიან — პროკურატურას უთხარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გადადოსო. ეს ხომ ალოგიკურიცაა და გაუგებარიც. მეტიც, ღარიბაშვილი აცხადებდა, რომ პროკურატურაზე ზეგავლენის არანაირ ბერკეტებს არ ფლობს, საბოლოოდ კი, მორატორიუმის გამოცხადებაზე დასთანხმდა და პროკურატურას კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებებზე თავის შეკავებისკენ მიუთითა, რაც თავისთავად გაუგებარია.

**— რა არის გამოსავალი, უსუსური ხელისუფლების პირობებში სამართლებრივი სახელმწიფო როგორ ავაშენოთ?**

— საქართველოში, მუდმივი მორატორიუმების, გამონაკლისების პირობებში, სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება. ვფიქრობ, მორატორიუმების კი არა, ისეთი ტიპის რეფორმების ჩატარება უნდა მოგვეთხოვა, რომელიც სამართალდამცავ სისტემას, თავიდან ბოლომდე, დეპოლიტიზირებულს გახდიდა. გამოსავალი ესაა და არა გარკვეულ დროში რაღაც ტიპის მორატორიუმების გამოცხადება.

**— თქვენ ამბობთ, რომ მორატორიუმის შესახებ კანონში არაფერი წერია. თუნდაც ეს კანონში ასახულიყო, რას ნიშნავს კრიმინალზე მორატორიუმი?**

— მეც ვსვამ კითხვას — რას ნიშნავს მორატორიუმის გამოცხადება, სამართალში კონკრეტული გამონაკლისი პრეცენდენტების შექმნა? 20 წლის მანძილზე, სწორედ ასეთი პრეცედენტები რომ იყო შექმნილი, ამიტომაც ვერა და ვერ მივაღწიეთ დემოკრატიულ სტანდარტებს. პოლიტიკოსების მხრიდან, მუდმივად, საკუთარი თავისადმი ინდულგენციის მოთხოვნა, სამართლიანი სახელმწიფოს შენებას, ნამდვილად არ შეუწყობს ხელს. დღეს, შეიძლება, ვინმემ იკითხოს — რამდენად ობიექტურია სამართალდამცავი სისტემა? — საკმარისი დრო გვქონდა, რათა მორატორიუმები კი არ გვეცხადებინა, არამედ ხელისუფლებისთვის მყისიერი მოთხოვნა წაგვეყენებინა — სამართალდამცავი სისტემა დეპოლიტიზირებული ყოფილიყო. ისეთი ტიპის რეფორმა უნდა ჩაგვეტარებინა, რომელიც, თავიდან ბოლომდე, მეტნაკლებად, გამორიცხავს მუდმივ გამონაკლისებს როგორც ყოფილი, ისე მოქმედი ხელისუფლების წევრების მიმართ, როცა საკითხი მათი მოქმედებების სამართლებრივ შეფასებას ეხება.



**— სასამართლომ, უგულავას საქმეზე, სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღო. რა ხდება სახელისუფლებო სტრუქტურებში? როდის იყო გადაწყვეტილება კანონიერი?**

— დღესაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ სასამართლო დამოუკიდებელი ინსტიტუციაა, რომელიც, თავიდან მოლომდე, მხოლოდ კანონის მოთხოვნებით ხელმძღვანელობს. ყველამ მშვენივრად ვიცით, ვინ ხელმძღვანელობს სასამართლოს, ანუ იგივე შემადგენლობა, რომელიც 9 წლის მანძილზე პროკურატურასთან არა როგორც ინსტიტუციასთან, მონურ მორჩილებაში იყო იმიტომ, რომ პროკურატურას ხელისუფლება წარმოადგენდა და რეალურად, ამ უკანასკნელის მიმართ იყვნენ მონურ მორჩილებაში. მოსამართლეები, დამოუკიდებლად, გადაწყვეტილების მიღებას, ვერ ბედავდნენ. დღეს, შეუძლებელია, მათ მიმართ, რწმენა გაგიჩნდეს. ამ სისტემას ხელმძღვანელობს პირი, რომელმაც წინა ხელისუფლების პირობებში, სასამართლოს მონურ ქმედებებს, თავადვე შეუწყო ხელი. თავად კუბლაშვილი გახლავთ ერთ-ერთი შემოქმედი, რომელმაც სასამართლო დამარხა და იგი რეალურად, პროკურატურის ქვეგანყოფილებად აქცია. იქნებ, ვინმემ შემახსენოს, 9 წლის მანძილზე მაშინ, როცა მოსახლეობის 80% სასამართლოს მიმართ პროტესტს და უნდობლობას გამოხატავდა, კუბლაშვილმა ერთხელ მაინც თუ განაცხადა, რომ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის მხრიდან ზეწოლა იყო?! დღეს შეიძლება ხელისუფლება იმ დოზით ვერ ერევა სასამართლოს საქმიანობაში, როგორც სააკაშვილის დროს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი და ობიექტურია. ამ სასამართლოზე გავლენა ისევ კოტე კუბლაშვილს აქვს იმ თანამოაზრეებთან ერთად, რომლებიც დღესაც უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არიან და ამ სისტემას მართავენ. ადამიანმა, რომელმაც სასამართლო პროკურატურის და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე თავად დააჩოქა, მისგან დღეს რაიმე ვირწმუნოთ, უბრალოდ აბსურდია.

**— ახლახან დეპოლიტიზირებულ სამართალდამცავ სისტემაზე ისაუბრეთ. როგორ შევქმნათ ასეთი სისტემა, რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ჩემი აზრით, საჭიროა პროკურატურა აღმსარულებელ ხელისუფლებას გამოეყოს. გენერალური პროკურორი ერთი ვადით დაინიშნოს, მაგალითად, ექვსწლიანი ვადით. ორი ვადით არჩევის შესაძლებლობა ყოველთვის იძლევა ალბათობას, რომ თანამდებობის პირმა პოლიტიკური ფლირტი დაიწყოს. პარლამენტის მიერ თანამდებობაზე დამტკიცება, რა თქმა უნდა, უფრო დიდ დამოუკიდებლობის გარანტიას მისცემს პროკურატურას, იგი აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული აღარ იქნება. არის სხვა მექანიზმებიც, რითაც პროკურატურის დამოუკიდებლობის გარანტიების გაღრმავება შეიძლება, რასაც მეცნიერებთან ერთად მუშაობა სჭირდება და არა სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. სპონტანური სასამართლო რეფორმამ, რომელიც ამ ხელისუფლებამ წამოიწყო, იქამდე მიგვიყვანა, რომ იუსტიციის საბჭოში უმრავლესობაში ზუსტად ის მოსამართლეები არიან, რომელთაც საზოგადოება ამა თუ იმ არაკანონიერ გადაწყვეტილებებში ედავებოდა.

ოპონენტების და ყოფილი თანამდებობის პირების დაჭერაში, მიშა სააკაშვილი ჩემპიონი იყო. მაგრამ 9 წლის მანძილზე აზრად არავის მოსვლია ეთქვა, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი დაცული იყო იმიტომ, რომ თავად სააკაშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც მართლმსაჯულების საქმიანობაში უხეშად ერეოდა. ამიტომ, კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება ნიშნავს არა ოპონენტების დაჭერას, არამედ საკუთარი გუნდის წევრების დასჯასაც, თუ ისინი კანონს დაარღვევენ. აი, როდესაც საკუთარი გუნდის წევრების მიმართაც იგივე რეაგირება იქნება, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი მეტნაკლებად დაცულია.

შსს-ში აღმოჩენილ 27 ათას ფარული მოსმენებისა და მიყურადების ფაილზე, რისი გამოყენებითაც შემდგომში ადამიანებზე შანტაჟი და წამება ხდებოდა, პასუხისგებაში მიცემული არავინაა, გამოვლენილი არაა ჯაჭვი, რომლის უკანაც მაღალი თანამდებობის პირები იდგნენ. როდესაც სამეგრელოში აღმოჩენილი საცავებიდან არაადამიანური, სადისტური დანაშაულობები შესახებ გახ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

და ცნობილი, ვინმეს ჰგონია, ეს ერთი მეგის ქარდავას დონეზე გადაწყდა? დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ საქმის კურსში იყვნენ საქართველოს იმდროინდელი გენერალური პროკურორი ადეიშვილი, შსს მინისტრი და უფრო მაღალი თანამდებობის პირებიც. ამ დროს, ჩვენ, რაღაც გაუგებარ ბრალდებებს ვისმენთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ, რამდენი ფული გაფლანგა პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებით, რამდენი მიითვისა, მაგრამ წამებაზე, არადამიანურ მოპყრობაზე პასუხისგებაში არავინაა მიცემული.

**— რაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა?**

— მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლების ხელშეწყობით, არასწორი საკადრო პოლიტიკის შედეგად, სამართალდამცავი სისტემის ხელმძღვანელობაში ისეთი არაკომპეტენტური ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მთელი პროცესი სხვა მიმართულებით წაიყვანეს. ამიტომაც, დღეს, გამოძიება ერთ ადგილზე დგას და ველარ არკვევს საიდან დაიწყოს და რით დაამთავროს. მეტიც, იმ ოდიოზური ფიგურების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით სადისტური მეთოდებით მართავდნენ, ერთი მეორეზე მიყოლებით გამამართლებელი განაჩენები დგება. აქ საუბარი არაა მხოლოდ ბაჩო ახალაიაზე. გახსოვთ, ალბათ, წამებასთან დაკავშირებით, ბორჯომის პოლიციის უფროსის საქმე, რომელიც სამივე ინსტანციაში გამამართლებელი განაჩენით დასრულდა. ქსნის დაწესებულების დირექტორისა და მისი მოადგილის საქმე წამების მუხლით, ასევე გამამართლებელი განაჩენით დასრულდა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რეალურად, ან არაკომპეტენტურობას აქვს ადგილი, ან ასე სპეციალურად კეთდებოდა, რათა აღნიშნული საქმეები პროკურატურაში არ დებულიყო და ხალხს არ ეთქვა გამოძიება რატომ არ მიმდინარეობსო.

უთქვამს, რომ მათი ამოცანა ამ ძალის გადარჩენაა ერთადერთი ოპონენტის რანგში. ოცნებას ეგონა, რომ მუდმივად დისკრედიტირებული ოპონენტის პირობებში, ისინი ყოველთვის ძლიერები იქნებოდნენ. მაგრამ მან ვერ გათვალა ის, რომ „ნაცმოძრაობა" ის ძალა არაა, რომელიც გაძლიერების შემდეგ თავდახრილი დაჯდება ოცნებასთან თუნდაც, პოლიტიკურ დებატებში. ამიტომ, დღეს ოცნება მიხვდა — ის, ვინც გადაარჩინა ყველაზე მეტად უქმნის პრობლემას და უკვე საუბრობს, რომ ეს შეცდომა იყო. მაგრამ თავად „ქართულმა ოცნებამ" გააკეთა ის, რომ ყველა პოლიტიკური პარტიისთვის კარები დახურა და პოლიტიკურ ტრიბუნაზე მხოლოდ „ნაციონალები" დატოვა. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა უნდა ექნა ოცნებასო? — რა და თუნდაც, ყველა საკითხის გადაწყვეტაში იმ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა, რომლებიც ხალხში მეტ-ნაკლებად პოპულარობით სარგებლობდნენ, „ნაცმოძრაობა" აღარ გამოჩნდებოდა, როგორც ერთადერთი პოლიტიკური ოპოზიციური ძალა, რომელიც დასავლეთისგან გაფრთხილებას მოითხოვს, რათა თავისუფალ სიტყვას, ხელისუფლების მხრიდან, პრობლემა არ შეექმნეს.

**— წელან კითხვა დასვით, რა უნდა ექნა ოცნებასო. თუნდაც, პარლამენტს ხომ არ უნდა მოეხდინა რეჟიმის შეფასება და ასე იქნებ თავიდან აგვეცილებინა სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებული კრიზისი?**

— რა თქმა უნდა. „ნაცმოძრაობას" დღესაც, სტაბილურად 330 ათასზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. პროკურატურას თავიდანვე რომ გამოეკვეთა და საზოგადოებისთვის ის საზარელი მეთოდები ეჩვენებინა, რითაც „ნაციონალები" ქვეყანას მართავდნენ, პროცესი სასამართლოში გადაეტანა, გამოვლენილიყო „ნაცმოძრაობის" სისტემური დანაშაულობების ფაქტები, მაშინ ეს პარტია



„ნაციონალებს" ორი სტანდარტი ახასიათებთ — ძალადობა მიუღებელია, როცა ეს მათ წარმომადგენელს ეხება, ძალადობა მიღებულია, როცა ოპონენტს უსწორდებიან. დღეს „ნაცმოძრაობა" ისე მოქმედებს, როგორც 2000-იდან 2003 წლამდე, როცა ძალადობის დემონსტრირებას ახდენდა და ამით ამბობდა, რომ კანონზე მაღლა დგას და რასაც უნდა იმას გააკეთებს. ეს გუნდი სახელმწიფო ინსტიტუციების და თანამდებობის პირების დისკრედიტაციას ახდენდა. ისინი ახლაც, ნელ-ნელა, იმის პროპაგანდირებას დაიწყებენ, რომ ხელისუფლება და მთელი სისტემა აბსოლუტურად ჩამოშლილია. ასე იქცეოდნენ შევარდნაძის დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელისუფლებაში წამყვან სახეებს წარმოადგენდნენ. ანუ, იმას აკრიტიკებდნენ, რისი შემქმნელებიც თავად იყვნენ. ვნახოთ, გამოუვა თუ არა ეს გეგმა „ნაცმოძრაობას" „ქართულ ოცნებასთან" მიმართებაში.

**— ბატონო კახი, განვითარებული მოვლენების მერე, გახშირდა საუბარი იმაზე, რომ დესტრუქციული ძალა — „ნაცმოძრაობა" პოლიტიკიდან უნდა წავიდეს და რომ მათი გაოპოზიციონერება უზნეობა იყო...**

— მათი გაოპოზიციონერება და ნომერ პირველი ოპონენტის რანგში აყვანა, ეს „ქართული ოცნების" პროექტია. მასმედიის საშუალებით, ოცნების არაერთ ლიდერს

ძალიან ბევრ ამომრჩეველს თავად დაკარგავდა. დღეს მისი ამომრჩეველი ამბობს — თქვენ კი საუბრობდით, რომ მონსტრები იყვნენ, მაგრამ აბა ერთი საქმე დადეთო. ასეთი ტიპის საქმეებს ოცნება ვერ დებს. რა თქმა უნდა, მის ამომრჩეველს მეტი მოტივაცია აქვს „ნაცმოძრაობას" მხარი დაუჭიროს იმიტომ, რომ აცხადებენ რომ ეს მითია, ასე რომ არ ყოფილიყო, ზოგ-ზოგიერთები ვაშლის გათლაზე არ მოიხდიდნენ სასჯელს.

ასე, სამართლიან სახელმწიფოს, ვერ ავაშენებთ. საჭიროა ყველა საქმის, რომელიც თაროზე დევს, რეალურად გამოძიება. მიუხედავად იმისა, ეს საქმეები „ნაცმოძრაობას" ეხება თუ „ქართული ოცნების" მოქმედ პირებს. დღეს, თუ ვინმე მეტყვის „ქართული ოცნების" არცერთ წევრში, მათ შორის, თანამდებობის პირების ქმედებებში, დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებაო, ეს არასერიოზული იქნება. მათ მიმართ, სამწუხაროდ, სამართალდამცავებისგან კითხვები არ ისმის. დანაშაულის ნიშნების დანახვა მხოლოდ ოპონენტის საქმიანობაში, ობიექტურობას არ ნიშნავს. ეს დასავლეთმაც კარგად იცის. ადრე თუ გვიან, ეს, ამ ხელისუფლების გონორს, სამართლიანობასთან დაკავშირებით, დაასუსტებს.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

# რეპლიკა

სიმართლე გითხრათ, ამ წერილის დაწერა ორმა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელმა გარემოებამ მიკარნახა. შეიძლება ერთი და იგივე თემაზე მუდმივი საუბარი მკითხველისთვის მოსაწყენი იყოს, მით უმეტეს, თუ თემა ერთი შეხედვით, უმრავლესობისთვის კარგად არის ცნობილია და ზოგიერთი ჩვენგანი ბანალურადაც თვლის. თუმცა საკითხი, რომელიც ჩვენს გამოძალვას, ცოტა მოზრდილებმა, 5-6 გოგო იყო, ისე „გამოაცხვეს" საქმე, ასაკოვანი ადამიანები წამოყარეს და მათ დაიკავეს დასაჯდომი ადგილები. თან ხორხოცებდნენ, დაგვცინოდნენ. ვინ გაბედავდა შენიშვნის მიცემას, ყველამ კარგად ვიცით, მსგავსი დიალოგი რით შეიძლება დასრულდეს, ამიტომ დაღლილი ხალხი თავს არიდებს მათთან კონტაქტს.




ქვეყანას, სამშობლოს ეხება, ვერანაირი „ბანალობა" ვერ შეგვაჩერებს. დიახ, იძულებულები ვართ დავუბრუნდეთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „განუკითხაობა და „გაციგნებული რუსთაველის პროსპექტი".

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი გაზეთის გამოსვლის წინა დღეს, ერთ-ერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემა დაიწყო საქართველოს მოსახლეობის (ჩემი პირადი აზრით) შეურაცხყოფით — თურმე აქაურები უცხოელებს, განსაკუთრებით შავკანიანებს ვავიწროვებთ. თანამედროვე ენაზე რასისტობას გვაბრალებენ! არც მეტი, არც — ნაკლები! ქართველები თურმე რასისტები ვყოფილვართ! ეს ხდება ქვეყამაში, სადაც ყოფილი საბჭოეთის პერიოდში, იქ შემავალ რესპუბლიკებში ყველაზე მეტი უცხოტომელი აქ, საქართველოში, კერძოდ, თბილისში ცხოვრობდა. ანეკდოტიც იყო ასეთი:„ დევიზი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით, იმას არ ნიშნავს, ყველა თბილისში ჩამოვიდესო". ახლა იგივე არ ხდება? ჩვენს კოლეგებს, რომლებიც ახალგაზრდები არიან და შეიძლება არ იციან, ვეტყვით, რომ კომუნისტების დროს, პირველსავე ვიზიტებისას შავკანიანებმა ისეთი იმიჯი დაიმკვიდრეს, რომ მათ თბილისში, თუნდაც საქართველოში ჩამოსვლას საკავშირო ოფიციალური უწყებები „არ ურჩევდნენ" და არც უშვებდნენ.

ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც იგივე მეორდება. პირადად შევესწარი, თუ როგორ შეურაცხყოფდა ერთ-ერთი შავკანიანი (არა ტურისტი) ქართველ ადამიანს! თუმცა ამისთვის რატომღაც ყურადღება არავის მიუქცევია. სამაგიეროდ, აქაურს ხიზანისთვის ცუდად რომ შეეხედა, „ნაცმოძრაობის" პატრული ისე გააშავებდა, ვერანაირი მტკვარი და რიონი ველარ გაათეთრებდა. ცოდვა გამხელილი სჯობია და მსგავსი სიტუაციიდან პირადად მე ერთხელ ძლივს „გამოვძვერი", ქართველს ვესაუბრებოდი-მეთქი, ამის თქმა ძლივს მოვახერხე, თორემ კიდევ ერთხელ „დამათვალიერებდნენ და შემასწავლიდნენ" სასჯელაღსრულების ადგილებს.

მეორე შემთხვევა, რომელმაც კვლავ დამაბრუნა თითქოს „გაცვეთილ" თემასთან, მეტროში მოხდა. საღამოს, სახლში მიმავალს მეტროში ისეთი სიტუაცია დამხვდა, რომელსაც ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი შეიძლება მომხდარიყო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. ერთ-ერთ სადგურში შემოცვივდნენ ბოშები. ახალგაზრდები იყვნენ, მათი მაქსიმალური ასაკი, ალბათ, 16 წელი იყო. პატარები, 3-4 ბავშვი აქტიურად შეუდგა ფულის

შესაძლოა, ვიღაც შემოგვედაოს, მსგავსი ყოველდღიური მოვლენააო. სული ცოდვილო და, თავდაპირველად მეც ასე ვიფიქრე. ჩემდა სამწუხაროდ, იმ ბოშებთან ერთად მომიხდა სადგურში ჩამოსვლა. თავიანთი „აქტივობა" მათ სადგურშიც არ შეუნელებიათ. გაკვირვებული ვუყურებდი, ამ დროს ნაცნობმა პოლიციელებმა შემაჩერეს: „კაცო, ჟურნალისტი ხარ, იქნებ გვიშველო რამე!"

სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, პოლიციელი დახმარებას ჩემგან ითხოვს?! თანაც ვისგან, ხალხო, ბოშებისგან! პარადოქსია, ხომ? ვგონებ, კანონმდებლობაში. იძულებული გავხდი, პოლიციელებისთვის მეკითხა, რას გულისხმობდნენ. მათი თქმით, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ხელი მოკიდა ბოშა ბავშვს, ის კი ფეხზე შემოეხვია, ვიღაცამ მობილურით გადაუღო ფოტო თუ ვიდეო, რომელიც გახდა იმ პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის საბაბი!

ამბის მოსმენის შემდეგ დავითრგუნე. ხალხს, ვისაც ვთხოვთ ჩვენი სიმშვიდის დაცვას, საიმედობას, ქუჩაში ყოფნისას, დღე თუ ღამე, თავად დაუცველი გვყოლია! ამის გარდა, მოდით, ჩავატაროთ ცდა — პირადად მე დავიწყებ ფულის იგივენაირად მოთხოვნას, როგორც ბოშები და ვნახოთ, რამდენ წუთში დამიჭერენ! ბოშებს აქვთ ამის უფლება და რატომ? კარგით, ბატონებო, ვიცავთ უცხოტომელების უფლებებს, მაგრამ როგორ? ჩემი, ჩემი თანამოქალაქეების ხარჯზე? თუ ეს გახლავთ ევროპა და დემოკრატია ნამდვილად არ მინდა ასეთი. ჩემს ქვეყანაში ჯერ ჩემი თანამოქალაქის უფლება უნდა იყოს დაცული. დიახ, იგივე ნამდვილი სტუმრის, ტურისტისაც. აბა, თუ ვინმეს ახსოვს აქ ჩამოსულისთვის ვინმეს ეწყენინებინოს, ასეთი ფაქტები მხოლოდ ერთეულები იყო, რომლებიც მართლა ისჯებოდა.

საქართველოს სტუმართმოყვარეობა საყოველთაოდ არის ცნობილი. თუმცა სტუმარს სტუმრობა უნდა ეტყობოდეს, თავს არ გვახვევდეს თავის ამბიციებს. დღეს ჩვენთან რა ხდება, ვერ გაგვიგია. ვიღაც გადამთიელები, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან გამოყარეს, იმათ უფლებებს ვიცავთ. ამ დროს აქაურები, სამართალდამცველებიც კი დაუცველები ვართ. უცხოტომელებს ვუგორებთ წითელ კვერცხებს, ჩვენ კი ვაინტერესებთ, ვინმეს? ვგონებ, არასწორია, ბატონებო, როდესაც ვიღაც შემოხეტებულს სასოებით შევყურებთ, ჩვენი მოქალაქეები კი დაუცველები არიან.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

# ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები



ლადო ბედუკაძე

**ავტორისაგან:**

**დიდი ხანია მაწვალებს ფიქრი, რომ ის, რაც წლების განმავლობაში ქართულ ციხეებში ვნახე, ქაღალდზე გამოვიტანო და ადამიანებს ვუამბო იმ ჯოჯოხეთის შესახებ, რაც იქ მოხვედრილმა ადამიანებმა გადიატანეს.**

**მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვიყავი პატიმარი, მაინც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მეც ამ პატიმრებთან ერთად ვიხდიდი სასჯელს და როცა გარეთ, „სვაბოდაზე“ გამოვედი, იმდენი ღალატი, ფარისევლობა და მუხანათობა დამხვდა, დავიბენი და ცხოვრება გამიძნელდა...**

**ამბები, რომლებსაც აქ მოგითხრობთ, არ არის მხოლოდ ჩემი თავგადასავალი, ის ქვეყნის საერთო თავგადასავლის ნაწილია.**

**ათასი ცილისწამება, ბრალდება, ჭორი და სიცრუე ამადევნეს არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა. ამდენად, თავს ვალდებულად ვთვლი, დოკუმენტურად, შეულამაზებლად მოგითხროთ ყველაფერი, რაც იქ ვნახე და რაც თავს გადამხდა.**

ტელეფონის ხმამ გამაღვიძა. 6 საათია. გათენებულა. დღესაც მხუთავი თბილისური სიცხე იქნება, ალბათ. ავდექი, მოვწესრიგდი. სამსახურში დაგვიანება არ მიყვარს. გლდანამდე გასვლას საათზე მეტი უნდა.

მერვე საპყრობილის ოპერატიული მორიგე ვარ. ცვლაში ორმოცამდე თანამშრომელი მყავს. თანაშემწე უჩემოდაც გაანაწილებს, მაგრამ რომ დავაგვიანო, მერე სხვას დაგვიანებისათვის ვერ მოვთხოვ.

სამ ტრანსპორტს ვიცვლი სამსახურამდე, მარშუტკა მეტრომდე, მეტრო და კვლავ მარშუტკა.

როგორც იქნა მივედი. ცხრა საათი დაიწყო უკვე. ცხრის ნახევარზე მოწყობაა ე.წ. „რაზვოდი“ „შლუზში“.

მე და თანაშემწე მწყობრის წინ ვდგავართ. მწყობრის, ანუ სამსახურის რიგითთა შემადგენლობას აქ „კონტროლიორებს“ უწოდებენ. პატიმრები — „კლუჩნიკებს“.

განაწილებისას ზედმეტი საუბარი და ახსნა-განმარტება „ჩემებს“ არ სჭირდებათ, თუმცა ყოველდღე თითქმის ერთსა და იმავეს ვუმეორებ: მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების წესები, ზემდგომი სარეჟიმო სამსახურის ოფიცრის ნებართვის გარეშე არ გააღონ საკნის კარები, კორპუსებზე გამოჩენისას დირექტორს ან მათ მოადგილეებს მოახსენონ არსებული ვითარება და რაიმე სახის შესაძლო გართულების შემთხვევაში, აუცილებლად ჩამაყენონ საქმის კურსში სამორიგეოს შიდა ტელეფონით ან რაციით. მთავარი პირობა, არავითარ შემთხვევაში, ფიზიკური ზემოქმედება არ მოახდინონ პატიმრებზე. არ გამოიწვიონ ისინი. ხშირად ნიუტონის კანონებზე ვესაუბრები: ყოველგვარი ჩემი ქმედება იწვევს ტოლს და საწინააღმდეგო უკუქმედებას, ხან ბუმერანგის პრინციპს ვახსენებ, ვაფრთხილებ: სულ ასე არ იქნება და წარმავალია ყველაფერი, მოვა დრო ყველას ყველაფერი მოგვეკითხება. სასამართლოზე გამსვლელ პატიმართა მონახულებამდე სამორიგეო ოთახის გვერდით განლაგებულ ე.წ. „ზედა ფუქსებს“ ვათვალიერებ. ძველი ოპერატიული მორიგე პირადად მაბარებს ყველას და მიხსნის, ვინ ვინაა, რატომ და რისთვის არიან ამ სპეცსაკნებში მოთავსებულნი.

„ფუქსი“ მცირე, დაახლოებით ორი კვადრატული მეტრის ღია ტიპის საკანია რკინის გისოსებიანი კარით, უსკამოდ, უმაგიდოდ, საპირფარეშოს გარეშე, უწყლოდ. ადგილზე უწევთ აქ კვება პატიმრებს. იკვებებიან ისე, როგორც კორპუსებზე, საკნებში მყოფი პატიმრები. ღამლამობით ცივ ბეტონზე თავქვეშ ბალიშის მაგივრად პლასტმასის ჯამებს იდებენ. საპირფარეშოში გასაყვანად კი თითქმის დირექტორის თანხმობის აღება უწევთ. აქ, ძირითადად, დირექტორის ბრძანებით განთავსებული ხალხია. პოლიტიკურად დაუმორჩილებელი და „გამოსასწორებელი“ პატიმრები.

„ფუქსში“ ოთხი პატიმარია. ორი „პოლიტიკურად აღსაზრდელი“, ერთი მოკრიმინალო ელემენტი და ერთიც, რომელსაც გარყვნილ ქმედებას „ედავებიან“. ციხეში მუდამ ასეა. „ედავებიან“, „აბრალებენ“, „უგონებენ“, მაგრამ ყველას ანგელოზად მიაჩნია თავი. ასეთ პასუხებს მიჩვეული ვარ. საქმის ბოლო გარკვევამდეა. აქ „საქმის გარკვევა“ პარასკეობით, განაწილებისას „სპეციალური კომისიის“ მიერ ხდება.

დღესაც პარასკევია. მძიმე დღე. დამრეცი კიბეებით ქვემოთ, კარანტინში ვეშვები. სასამართლოზე გამსვლელი საკნები გადატენილია. მძიმე, ერთგვარი ტონალობის ჩუმი ზუზუნი გამოდის მხოლოდ საკნებიდან. თორმეტ კვადრატულ მეტრ საკანში ორმოცი მსჯავრდებული მაინცაა ერთად. წესია, ერთ საქმეში გამავალი ან დაპირისპირებული მსჯავრდებულები უნდა განცალკევდნენ ერთმანეთისაგან. თუმცა, ერთადაც რომ იყვნენ, ვინ რას იკადრებს. საოცარი შიში მეფობს.

სასამართლო პროცესზე გასაყვანად პატიმრებს ორი საბადრაგო მანქანა და ერთი ავტობუსი, როგორც პატიმრები უწოდებენ, „ლიმუზინი“ ემსახურებათ. ბადრაგის თანამშრომლებმა მითხრეს, „ლიმუზინი“ საგადასახადოს საჩუქარია, კონფისკირებული ავტობუსი, რომელიც სპეციალურად გადააკეთეს ამ საქმისთვისო.

ჩემზეა დამოკიდებული, ვინ რომელი ტრანსპორტით იმგზავრებს სასამართლომდე. საბადრაგო მანქანების მოსვლამდე დროა. მაინც ყველა საკანს დავივლი ხოლმე.

— ქურდებს სიცოცხლე, — ვესალმები ხმამაღლა. ისუსებიან, ფიქრობენ, ალბათ, მიზეზს ვეძებ მათ საცემრად. არც არაფერს აშავებენ, თუმცა მიჩვეულები არიან ე.წ. „პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ პროცედურებს“.

ვინც მიცნობს და იცის ჩემი ხუმრობის შესახებ, იღიმებიან. ცოტა გათამამებულები: ბარო, ლადო, ან აქაური წესის თანახმად, გამარჯობათ, ბატონო ოფიცეროთი მესალმებიან.

— ექიმი ხომ არ გინდათ ვინმეს ბიჭებო, „ინსულინის“ ნემსი ხომ არ გავიწყდებათ? რაიმეს თქმა ხომ არ გინდათ, არ მოგერიდოთ. ფაეტონით ვისაც გინდათ წასვლა (ავტობუსს ვგულისხმობ), რომ ამოგიკითხავთ, მითხარით. მხოლოდ ავადმყოფები, ოღონდ, — ვეუბნები.

ერთხმად იხდიან მადლობას.

— გაიხარე. — ამბობენ. ერთი-ორმა შეიძლება ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკოს: აი, კაცი, ღმერთმა გაგიმარჯოსო.

მეღიმება ხოლმე.

ბოლოს სისტემის ყოფილ თანამშრომელთა საკანში შევდივარ. ათი-თხუთმეტი ადამიანი ყოველთვისაა. კარებს ვაღებ. ჩხაკუნზე თითქმის ერთ რიგად მოწყობილან.

— გამარჯობათ, ბატონო ოფიცრებო, — მესალმებიან. ყველას ხელს ვართმევ. მათ ჯანმრთელობას მოვიკითხავ.

— აბა, რას მეტყვით, როდემდე უნდა გინახოთ სახელმწიფომ, რა გენაღვლებათ, დღეში სამჯერადი კვება გაქვთ, დენი უფასო, წყალი უფასო, დაცვა — ბატალიონი, თქვენ სახლში წამსვლელები არ ხართ, სასტუმროში ხართ, რა!

ვის არ ნახავ აქ: ყოფილი პარლამენტარი, პროკურორი, მოსამართლე, გენერალი, ჩინოსანი თუ უჩინო..

ულვაშებიანი კაცია ერთი. შევიკალი ხელში. ცალკე გამომყავს, შორიდან ვანახებ თანამოსაკნეებს: აბა, შეხედე ერთი, ვინმეს ულვაში აქვს აქ? რატომ არღვევთ შინაგანაწესს, მოქალაქევ? მეორედ არ დაგინახო, იცოდე... — ვხუმრობ, როგორც შემიძლია. წასვლისას „ვწყევლი“ კიდეც: თქვენ არ დაბრუნდით უკან, თქვენ წადით მოუსავლეთში...

ჩუმად იცინიან, ხმამღლა ვერ ბედავენ მაინც. ერთი ასეთი ხუმრობისას პატარა, ჩია ტანის კაცი მეტად გახალისდა. ქართველს არ ჰგავს, თუმცა ქართულად გამართულად ლაპარაკობს:

— მე, იცით, ვინა ვარ? — თან საჩვენებელ თითს მაღლა სწევს.

ყველა გაისუსა.

— ეს ციხე მე ავაშენე! — მეუბნება სიამაყით და ხელის წრიული მოძრაობით. თურქი ბიზნესმენია, გვარად აქსუ.

აქა-იქ ფხუკუნის და სიცილის ხმა ისმის. ცალკე გამყავს.

— კაცო, — ვეუბნები, — ეს საქართველოა, შენ კი ააშენე, მაგრამ იცი, აქ ციხის ამშენებელს რამდენს აგინებენ? რომ გკითხავენ, რაზე ზიხარო თქვი, რომ წითელი „მოსკვიჩის“ სარკეები მოტეხე და მოიპარე. დამიჯერა, კარგიო. მერე ხშირად მხვდებოდა სასამართლო პროცესებზე გასვლისას, ალბათ, მიხვდა, რომ გავეხუმრე და გამარჯობასავით ხმამაღლა მეუბნებოდა: მე წითელი „მოსკვიჩის“ სარკეები მოვიპარე!

საკნიდან ორმოცდაათამდე პატიმარი მყავს ერთად გამოყვანილი და საბადრაგო მანქანაში თავის გასვლის რიგს ელიან. წესით, ხელები ზურგზე, სახით კედლისკენ უნდა იდგნენ, მაგრამ ყველამ იცის, ასეთი წესები სულ არ მაინტერესებს. კედლის ყურებას ჩემი ყურება არ გირჩევნიათ-მეთქი და სახით ჩემსკენ ვატრიალებ ხოლმე ყოველთვის.




საბადრაგო სამსახურის მანქანები ერთიმეორის მიყოლებით შემოდიან დაწესებულების ტერიტორიაზე. ე.წ. „ვარონკებში“ ოცი პატიმრის ნაცვლად ოცდათხუთმეტი, ხანდახან ორმოცი პატიმარიც ჩატეულა.

საკნის ბარათების მიხედვით ვკითხულობ პატიმართა გვარებს და ვამგზავრებ სასამართლო დარბაზებისკენ. ჩემი თანაშემწე, პარალელურად, კარანტინში ეულად დარჩენილ მორიგეს — ქობალიას ეხმარება. ათასი ჯურის და ეროვნების პატიმარს ასახლებენ აქ. საერთაშორისო ენაა მაინც-თქო მეგრული და სულ ქობალიას „ვსჯი“, ისიც მიჩვეულია უკვე. წელიწადია აქ მორიგეობს. დასჯაა, აბა, რა, სავსეა კარანტინი. რვა საკანში ამჯერად 210 პატიმარია. 260 ყოფილა და 290-იც. ერთი სისტემის თანამშრომელთათვის განკუთვნილ საკანში სამი პატიმარია მხოლოდ. ამათ „გაუმართლათ“!

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არადა, „კარნატინი“ მხოლოდ 48 ადგილზეა გათვლილი. ზაფხული და სიცხე რომ არ იყოს, კიდევ იტყოდა კაცი, არა უშავსო. საკნის კარებს რომ გააღებ, ოხშივარის ტალღას წინ არ უნდა დაუდგე. წაგაქცევს ჩაგუბებული ბუღი, სიმჟავის სუნი... კარანტინის პლასტმასის ფერი რკინის კარები სულ მთლად სველია. წვეთები სდის რკინას. საკნის შუაში გუბე დგას. ოფლის გუბე. საკნის წყლით გაგრილება არ შეიძლება, მყისიერად ორთქლდება და საკანს ანესტიანებს. ეს უარესია. მცირე, ნახევრად გაღებული სარკმლიდან კი 20-25 ადამიანისთვის სამყოფი ჟანგბადიც ვერ აღწევს.

მორიგეობისას, ძირითადად, სამხედრო ფორმა მაცვია. წარმოიდგინეთ, სქელი სამხედრო ნაჭერიც კი იჟღინთება, სველდება. პატიმრები საკნებში, ძირითადად, მხოლოდ აკეცილი შარვლის ამარა დადიან.

დღის განმავლობაში სამჯერ, ოთხჯერ მაინც მირეკავს ქობალია: ექიმი ჩქარა, პატიმარი წაიქცა, უგონოდაა. გული მისდით უჰაერობისგან, თუ ვინმეს სასუნთქი გზების დაავადება აწუხებს — საშინელებაა. კორპუსზე ადგილები არაა, 3672-ადგილიან საპყრობილეში 3808 პატიმარია. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და პერიოდულად, ე. წ. კარმუშკებს, რკინის კარზე საკვების მიწოდებისათვის გამიზნულ მცირე ფანჯარას ვატოვებინებ ღიად.

— ნებისმიერი თქვენგანის საქციელის გამო, შესაძლოა, უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს. ჩემი მხრივ, პირობას გაძლევთ, თუ სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ექნება, ჩემს მორიგეობისას უმიზეზოდ, დასჯის მიზნით საკნის კარები არ გაიღება. გარდა ერთი გამონაკლისისა, არ ვარ პასუხისმგებელი რეჟიმის სამსახურის და მათი უფროსის ნებისმიერ ქმედებაზე, — ვეუბნები მათ.

რეჟიმის უფროსი ოლეგი მოსვლის დღიდან ჯიბრში მიდგას. თავისებური ტიპია. უნდა, რომ ყველა თავს უხრიდეს, მის ნებასურვილს უსიტყვოდ ასრულებდეს. უფროსობა სურს. სამორიგეო სამსახური უშუალოდ დირექტორს ექვემდებარება-მეთქი, ვუთხარი ერთხელ. ეწყინა, იუკადრისა და ახლა მიზეზს ეძებს, რომ რამენაირად დირექტორმა გამათავისუფლოს. მისი გვარის და სახელის ხსენება თანამშრომლებში, ისევე, როგორც პატიმრებში, შიშს იწვევს. თვალს რომ მოჰკრავენ, ჩურჩულებენ: ოლეგა მოდის... ოლეგა მოდის... ამ დღეებში გამინაწყენდა, ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ კონტროლიორებს როგორ უკრძალავ პატიმრების გინებას, ვის მხარეს ხარო?

— როცა მე ვიქნები, ჩემი ხელქვეითი ვერავინ ზედმეტს ვერ გაბედავს, ვერც შეიგინებს და არც არავის მივცემ უფლებას, თავზე გადამახტეს. თუ რაიმეს დავაშავებ, დავარღვევ, უფლებამოსილებას გადავამეტებ, ნებისმიერს შეუძლია დირექტორთან მიჩივლოს-მეთქი, — ვეუბნები მე.

12 საათიდან უკვე ახალ დაკავებულ პატიმართა შემოსახლება დაიწყება დროებითი მოთავსების იზოლატორების ან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ. დღის განმავლობაში 30, 40, 60-მდეც ავსულვართ. გააჩნია 48 საათის წინ როგორ „ინადირეს“ ძალოვანებმა. დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან მოჰყავთ ძირითადად, ლიხს აქეთ, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან. თბილისში სულ ორია დროებითი მოთავსების იზოლატორი, თუმცა ძირითადი მასა მაინც №2 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან. მუხლების მიხედვით 273, 260-ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა ჭარბობს, ქურდობა 177, 210 — ფინასური პოლიციის მუშა მუხლი. პროცენტულად კრიმინალი 3800 პატიმრის მიერ ჩადენილი ქმედებებიდან, ალბათ, 900-მდე თუ იქნება. მკვლელობას, ქურდობას, დაჭრას ვგულისხმობ.

პატიმართან ერთად მისი დაკავების და დაწესებულებაში შემოსახლებისთვის აუცილებელ საბუთებს ვღებულობ. ვახტის მორიგე, ზედმეტსახელად „გიჟუა“ იმთავითვე გაფრთხილებული მყავს: დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთები: ქამარი, სანთებელა, ხელის ბარგი არავის შემოატანინოს, უფროსის ბრძანებაა, გარდა აუცილებელი მედიკამენტებისა, ისიც, ექიმის ნებართვით. ექიმი დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე აქვეა, ოთახში.

გამართული დაკავების ოქმის ორიგინალი, მოსამართლის შესაბამისი ბეჭედდასმული ბრძანება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ორი ფოტოსურათი — ესაა პატიმრის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია. თუმცა არ არსებობს დღე, რომ, მინიმუმ, ორი პოლიციის ეკიპაჟი უკან არ გავატრიალო. არა, მათი ბრალი არაფერია. მოსამართლეებს შაბლონურ აღკვეთის ბრძანებაში სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა პატიმრების გვარები უწერიათ, ან სულ არ უწერიათ, ან ბეჭედის დასმა დავიწყებიათ...

პატიმართა დიდ ნაწილი უკვე „დატრენინგებულია.“ ბევრი მათგანი უკვე მეორედაა, მესამედაც



კი. პირველად დაკავებულებმა სამი დღე დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაატარეს, სალაპარაკოს მეტი რა აქვთ. აქაურობას სახელი ისე აქვს გავარდნილი, ერთი წუთის შემოსახლებულები უკვე კანკალს იწყებენ: — „გვცემენ, დაგვამტვრევენ“, არც ზოგიერთი პატრული აკლებს: „მიგიყვან იქ და ნახავ, რაც დაგემართება“. ჰოდა, არც მიკვირს, ელიან, როდის დაიწყება მათი ტანჯვა. დიდი ნაწილი მაინც მიცინის, ზოგი პირჯვარს იწერს, ზოგი აქედანვე მითანხმდება, კარანტინის რომელ საკანში გავამწესო, დაშლაზე დავეხმარო, კითხულობს, „ის“ ადრინდელი თანამშრომელი კიდევ თუ მუშაობს და ა.შ.



ერთი თავიდან ბოლომდე იკრიჭება. მეც მეცინება მის გულწრფელ ღიმილზე.

—რა გაცინებს? — ვეკითხები.

— “კაპეზეზე” მითხრეს, თუ სამხედროფორმიანი დაგხვდა, ჩათვალე, გადარჩიო. გესიამოვნება კაცს, მაგრამ ცუდია, რომ ყველაფერი შენზე არ არის დამოკიდებული. ძნელია, რომ ვერ ეხმარები, ძნელია, რომ ხანდახან დახმარების ნაცვლად იმედს უმტყუნებ და ხშირად შენ თავად ხდები ამ დანაშაულის მონაწილე, თუნდაც იქ ყოფნით. ბევრჯერ უთქვამთ ე.წ. „დაშლაზე“ ადამიანებს:

— გადამარჩინე, ლადო უფროსო, ბატონო ლადო, მიშველე. — ცახცახებენ, კანკალებენ. არადა, ვერაფრით ვერ შველი. კარგი, ერთი გადაარჩინე, თქვი, რომ შენი ნაცნობია, მეზობელია, ბავშობის ძმაკაცია და ასე შემდეგ, მაგრამ 30? 40? 100? როგორ უნდა უშველო?

რეჟიმის ან უსაფრთხოების დამსჯელი რაზმის წევრი თუ „შემთხვევით შეესწრო“, ან უკვე ელოდა ნადავლს, იცოცხლე... ცემის პირველი ეტაპი შესაძლოა, სამორიგეო ნაწილში მომუშავე, ჩემი დამხმარე ორი გოგონას თვალწინ დაიწყოს და კარანტინში, მინიმუმ, ორკვირიანი ყოფნის ყოველდღიურ რეჟიმში გაგრძელდეს. თანამშრომლები ერთმანეთს არ ენდობიან და მუდმივ კომპრომენტირებულ და ტესტირების რეჟიმის მოლოდინში არიან.

იმატა შემოსახლებათა რიცხვმა, საპყრობილის გარე ეზო საპატრულო მანქანებით გაივსო. პოლიციელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. რიგრიგობით ვღებულობ, ხანდახან ისეა, რომ ბრალდებულთა საკნის ბარათის შევსებასაც ვერ ასწრებს თანაშემწე გოგონა. მარტო მე და „ბასტი“ ვართ. ბასტი, როგორც იტყვიან, მეტრი ოცია ნახტომშიო, ისეთია, მაგრამ ცოცხალი ბიჭია, უჩვეულოდ დიდყურა და კარგი გულის.

საღამოს 6 საათზე სასამართლო პროცესებზე ნამყოფი მსჯავრდებულების შემოყვანა დაიწყება. საგიჟეთია ნამდვილი. გარეთ ვერ ვიხედები ოთახიდან. „ერთგული მსახურები“ ზედა „ფუქსებთან“ „ახალი ნადავლის გემოს გასასინჯად“ ჩამოსულან. არ არსებობს, ვინმე არ გვესტუმროს „დამსჯელი რაზმიდან“. ახლად მიღებული პატიმრის საშინელი წივილ-კივილის ხმა ისმის. ყრუ ბაგაბუგს ბრახუნის ხმა ცვლის. კედლები ზანზარებს. ალბათ, რაღაცას მიანარცხეს. თანაშემწე გოგონა კარების დაკეტვას მთხოვს. ჩემთვისაა ძნელი კაცის ტირილის, ხვეწნა-მუდარის ხმის გაგონება, ქალისთვის მით უმეტეს.

ჩემს წინ მდგარ ახლადმიღებულ პატიმარს შიშისგან საკუთარი გვარიც დაავიწყდა.

— ბა,ბა,ბა.... — ლუღლუღებს.

— დიდი გაძლება მოგცეს ლადოჯან, — მეუბნება პატიმრის შემომსახლებელი პოლიციელი.

— რა ვქნა ძმაო, რა გავაკეთო, ვიცი საშინელებაა, ეს კიდევ არაფერია, დღეა მაინც და ასე თუ ისე, ერიდებიან „უცხო თვალს“. შენ ღამით იკითხე. წავიდე? დავანებო თავი? ამით ვერაფერს ვერ შევცვლი. სხვა, უფრო ერთგულ და ენერგიულ ლადოს იპოვიან. არ გაუჭირდებათ. თან იცით, სისტემა რა ჭაობია?! აქედან თუ არ გაგაგდეს, შენით ვერ წახვალ. დავიარე კიდეც რამოდენიმე უწყება, თუმცა, სადაც სასჯელაღსრულებას იგებენ, ცერად გიყურებენ. ღიად ვამბობ ყველგან: მეზიზღება აქაურობა, თუმცა რაღაც ძალა მიჭერს და მაკავებს, შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ასეა საჭირო.

ტელეფონი რეკავს. დირექტორის ხმა ხმამაღლა მოპალარაკედან ისმის. ყურმილის აღება „გრეხია“.

სწრაფი ტონით მეუბნება:

- კორპუსზე ადგილების რაოდენობა და პატიმრები მოამზადე, შვიდ საათზე „დაშლას“ ვიწყებთ, ბიჭები გააფრთხილე.“

კარანტინის დაშლა, ანუ კარანტინიდან ახლადშემოსახლებული პატიმრების მათ საცხოვრებელ კორპუსებზე განაწილების სპეციალური რიტუალი, წითელი პარასკევი, როგორც პატიმრები უწოდებენ.

კარანტინის მორიგესთან ერთად ყველა საკანს სათითაოდ ვაღებთ. ისევ ოხშივარი, მძიმე ჰაერი, ოფლის გუბეები. ფაქტობრივად, ხტებიან საწოლის მეორე იარუსებიდან საშინელი ხმებით გაბრუებული და შეშინებული პატიმრები. ჩაკეტილ სივრცეში, ყვირილი კი არა, ჩურჩულიც კი ექოსავით აღწევს ბოლო საკნამდე. როგორც წესი, ხელებით ზურგს უკან სახით ფანჯრისკენ დგებიან.

— შემოტრიალდით. განაწილება იწყება. უფროსი ჩამოვა. ესაა თქვენი საკნის ბარათი. აქ თქვენი მონაცემები წერია. ბარათები არ დაჭმუჭნოთ. თუმცა ბარათები სიმწრისგან მაინც ყოველთვის დაკუჭულია... არცაა გასაკვირი...!

— გვცემენ, ბატონო ლადო? — გაფართოებული თვალებით მეკითხება ამ ჯოჯოხეთში პირველად მოხვედრილი, 19-20 წლის ბიჭი — მუსიკა. ასე ჰქვია. მუსას მოფერებითი ფორმაა. სახელი უკითხავთ უფროს ბიჭებს. ამანაც, მუსიკა მქვიაო. რას გველადავები, შენი ასე და ისეო და ცემა დაუწყიათ.

განაწილება კარცერგამოვლილებით დაიწყეს. საშინელი სანახავია, როგორ ტირის, ბღავის ახალგაზრა ადამიანი, თუნდაც მოხუცი. ადამიანებში სიბრალულის გრძნობა სადღაც გაქრალა. მეც მეშინია ზოგიერთის არაადამიანური ჟინით ანთებული თვალების. მაძრწუნებს, როგორ გამეტებით, მთელი ძალით ურტყამენ ხელებს, მუშტებს სახეში, ყურებში. ურტყამენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოჰყვებათ. კიბის ქვეშ პალსტმასის გადანაჭრელი მილები შენიშნეს. გათბობა გააუქმეს ორ საკანში და მუშების დანატოვარია. ამ მილებს მთელი ძალით ურტყამენ წაქცეულ ადამიანებს თავში, ბეჭებში,ზურგში.

— იტირე, ხმამაღლა იტირე, შენი დედაც! — არტყამენ ყველა ყველა მხრიდან. სიამოვნებთ, როცა პირველივე დარტყმისას ადამიანი შიშის გამო ტირილს იწყებს. ესენი იცინიან, საზიზღრად იცინიან, ხარხარებენ ჯოჯოხეთის სატანებივით.

— ზემოთ აიყვანეთ, მიხედეთ! — იძლევა ბრძანებას უსაფრთხოების შეფი ნაცემ, შეშინებულ პატიმარზე. შიში დაინახა მასში და მორჩა, მისია. პოტენციური აგენტია უკვე.

დაჩოქილს კიბეებზე თმებით მიათრევენ და მერე ზემოდან უარესი საზარელი ხმები ჩამოდის. მაგიდების, სკამების მტვრევის, ბაგაბუგის, კვნესის, ხმამღალი ღრიალის.

— რასაც გეტყვი — დაწერ, თორემ დედას მ....თ, გაგაქათმებთ...!

ვერ გეტყვით, ყველა წერს-მეთქი. 90 % წერს. შიშით, კანკალით. ბევრს ვერ გაუაზრებია, რას აკეთებს, შოკშია.

ის 10%-ია ცოდვა!

მათთვის ცალკე საკანია. ცემის მესამე რაუნდი იწყება. ამას უკვე ცემა აღარ ჰქვია. „გასაზიზღრებას“ ეძახიან. პირდაპირი მნიშვნელობით — თავზე დაშარდვით, პირში ჩანერწყვებით, ცოცხით „ქურდად მონათვლით“.

საკანში ხუთი „არდამწერი“ ახალგაზრდა ბიჭი მთლად შიშველი იატაკზე წევს. ტანზე ყველაფერი შემოუხევიათ. წვანან კი არა, ყრიან. საშინელი, საზარელი შესახედია. ბეჭები, სახე დასიხლიანებულ-დასიებული არიან ალაგ-ალაგ.

— ექიმი, ექიმი. მოკვდა, მგონი, ეს დედა მო...ი, ხომ გითხარი, „დიხანიაში“ ნუ ურტყამ-მეთქი, წერე ახლა ამაზე ოქმები.

ოქმების წერა ეზარებათ, ადამიანის სიცოცხლე ჩალად არ უღირთ.

**(გაგრძელება იქნება)**



# „შევარდნაძისტების“ და „ნაცების“ დღემდე ერთად „ძოვენ“?!

ამ წერილს რომ ვწერ, ბაჩო ახალაიას 9-თვიანი პატიმრობა შეფარდებული აქვს, ვანო მერაბიშვილი 4-წლიანში ზის, გიგი უგულავა დაკავებულია, კოტე გაბაშვილიც, და თუ ვალერი გელბახიანს დავუჯერებთ, მისი ინტერვიუს მიხედვით, მალე ბოკერია და თარგამაძე დგას დღის წესრიგში, ცოტა მოგვიანებით კი, გიორგი ბარამიძეც.

ამ დღეებში ჰოლანდიაში საქართველოს სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი გიორგი დგებუაძე — „მასტერაც“ დააკავეს.

„მასტერას“ ყველა იცნობს, მაგრამ მაინც გეტყვით, იმის გარდა, რომ გიორგი დგებუაძე გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს, მისი სახელი დაკავშირებულია უგზოუკვლოდ გაუჩინარებული დავით ცინდელიანის, პაატა ქარდავას და როინ შავაძის სასტიკი მკვლელობების საქმეშიც.

როგორც ამბობენ, გიორგი დგებუაძე სააკაშვილს და მის „გუნდს“ თავიანთ წრეში სისასტიკისა და დაუნრობლობის გამო აურჩევიათ.

არაოფიციალური ცნობებით, „მასტერა“ აკონტროლებდა ქუჩის კრიმინალურ ავტორიტეტებს და „კანონიერ ქურდებს, რომლებიც ე. წ. ფარული „ვერბოვკით“ იყვნენ დაკავშირებულნი ნაციონალურ ხელისუფლებასთან.

თუმცა დგებუაძის აღზევებას მაინც „ახალაიების ეპოქას“ უკავშირებენ. ის ბაჩო და დათა ახალაიების მარჯვენა ხელად ითვლებოდა. წლების განმავლობაში იყო „კუდის“ (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) ხელმძღვანელი და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის შეფი. იგი გახლდათ აქტიური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა.


DGEBUADZE, GIORGI
WANTED BY THE JUDICIAL AUTHORITIES OF GEORGIA
IDENTITY PARTICULARS

| | |
|---|---|
| Present family name : | DGEBUADZE |
| Forname : | GIORGI |
| Sex : | Male |
| Date of birth : | 17/06/1968 (44 years old) |
| Place of birth : | Georgia |
| Language spoken : | Georgian |
| Nationality : | Georgia |

მისი უახლოესი მეგობარი სასჯელაღსრულების სისტემაში ალექსანდრე მუხაძე „ქილერა“ გლდანის მე-8 საპყრობილეს ხელმძღვანელობდა მაშინ, როცა პატიმრების არაადამიანური წამება იქ ჩვეულებრივი ამბავი იყო და კვირაში 5-7 პატიმარი გამოშიგნული გაჰყავდათ იქიდან.

„მასტერას“ „საგმირო“ საქმეები იმითაც არის საინტერესო, რომ ნაციონალურ ხელისუფლებაში მყოფ უმაღლეს პირთაგან ის არის ერთ-ერთი მათგანი, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც შსს-ში მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების ძალოვან სტრუქტურებში გადანაწილდნენ. როგორც ამბობენ, იგი აქტიურად ყოფილა ჩართული 90-იანი წლების სამოქალაქო ომში თბილისში.

„მასტერას“ წარსულის გახსენება იმისთვისაც დაგვჭირდა, რომ ასევე ახლახან დაპატიმრებული კოტე გაბაშვილიც შევარდნაძის მთავრობის მხარდაჭერაში იყო თავის დროზე შემჩნეული და იარაღით ხელში იბრძოდა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე იყო, სხვათა შორის, გიორგი ბარამიძეც.

ბევრჯერ დავწერე ადრეც, წლების წინაც და ახლაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ: გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარი სამხედრო-შეიარაღებული გადატრიალების მონაწილეები უნდა დასჯილიყვნენ და აქედან უნდა დაწყებულიყო ნორმალური ქვეყნის მშენებლობა საქართველოში... იმ ომის და სხვა ომების ინიციატორები დღესაც აქ, ჩვენს გვერდით არიან...

ჰიტლერის მარჯვენა ხელი, ადამიანებზე ექსპერიმენტების ინიციატორი, კაცი, რომელიც ადამიანის კანისგან სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს ამზადებდა, გაექცა მართლმსაჯულებას და ათეული წლების შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა ზღვაში ბანაობის დროს...

ასეა, თაღლითების ნაწილი მართლმსაჯულებას შეიძლება გაექცეს, მაგრამ, პრინციპში, ეს მაინც არ არის მათთვის გამოსავალი...

დღეს „ქართულ ოცნებას“ ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ იქ ბევრი ნაციონალია შემძვრალი და მედროვის ხალათით „ემსახურება“ ახალ ხელისუფლებას.

მთელი 9 წლის განმავლობაში შევარდნაძის მმართველობას ლანძღავდა და აგინებდა „ნაცმოძრაობა“, რომლის ძირითადი ბირთვი შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ. როგორც წესი, რევოლუციის დროს ყველაზე მეტს ის ყვიროდა, ვინც ედუარდ შევარდნაძის უბეში იყო გამოზრდილი. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, ედუარდ შევარდნაძე, ამდენი შეცდომის და დანაშაულის ჩამდენი კაცი რომ არ გაასამართლეს.

შევარდნაძის გაუსამართლობით, პასუხის მოუთხოვლობით სააკაშვილის ხელისუფლებამ და იმ ხელისუფლებაში მოკალათებულმა დამნაშავეებმა და მედროვეებმა შექმნეს იმის განცდა და წინაპირობა, რომ თუ ახალი ხელისუფლება დააშავებდა, ისიც არ დაისჯებოდა...

ასეა თუ ისე, დღეს თბილისის ყოფილი მერი და „ნაცმოძრაობის“ ახლანდელი პოლიტიკური ლიდერი გიორგი უგულავა დაკავებულია. მას წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა, მისი ბრალდება, სავარაუდოდ, 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, ეს ის გიგი უგულავაა, ყმაწვილობისას ზვიად გამსახურდიას გვერდით მიტინგზე გადაღებული ფოტოთი რომ იწონებდა თავს და მერე სააკაშვილის გვერდით რომ ყელყელაობდა... ხან პატრიარქს რომ უქნევდა თითს და თბილისელების ჯიბიდან ამოცლილი ფულით ორგიებს და სექსფართებს რომ აწყობდა მეუღლესთან და ნაცელიტის სხვა „სვეცკებთან“ ერთად.

ამ დღეებში ქმრის დაკავებას ფეისბუკით გამოეხმაურა გიგი უგულავას თანამეცხედრე ლელა კილაძე. მან სასამართლო დარბაზში გიგისთან ერთად გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა წარწერით: „დუ ♥“. ყველაზე საინტერესო კი მაინც ყოფილი მერისა და მისი მეუღლის მეგობრების კომენტარები და გამოხმაურებები იყო.

სამწუხაროდ, პირველი კომენტარი ჩემი მოგვარის იყო.

„გოგოლა კალანდაძე: „ჩემები“...

სოფო ნიჟარაძე: ♥♥♥.

ნანუკა ჟორჟოლიანი: „ჩემი ყველაზე კეთილი მეგობარი!“

სოფო შევარდნაძე: ♥♥.

კახი მამულაშვილი (მამულიჩა)“ დუდიიი.“

თუკი სოფო შევარდნაძე თავის სიმპათიებს და სიყვარულს ლელა კილაძის ფეისბუკის ვოლზე უგულავას, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის მიმართ გულებით გამოხატავს, რაც გვაფიქრებინებს, ან აწ გარდაცვლილი მოხუცი ბაბუა არ ჰყვარებია, ან „ნაცმოძრაობასთან“ პოლიტიკურ თანხვედრაშია მისი შეხედულებები. გაითვალისწინეთ ისიც, რომ სოფო შევარდნაძე რუსეთში მოღვაწე ცნობილი ჟურნალისტია და დასკვნები მერე გამოიტანეთ.

ამას წინათ, რამდენადაც ვიცი, ბევრს ეწყინა და ბევრსაც გაუკვირდა, რომ ვთქვი, კომუნისტურ-სოციალისტური წყობის რეკონსტრუქცია საქართველოში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა-მეთქი. ძველი კგბ-ს კაგებეშნიკური მეთოდებით მოქმედება დღესაც ჩვეულებრივი ამბავია 21-ე საუკუნის საქართველოში, სადაც „შევარდნაძისტებიც“ და „ნაცებიც“ დღემდე ერთად „ძოვენ“ უბრალო ქართველების არაერთხელ სისხლით მორწყულ „მინდორზე“. ასე რომ, არაფერიც არ შეცვლილა...

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**



# გრიგოლ გაგნიძე: სასამართლო ხელისუფლების კონტროლიდან ნამდვილად გათავისუფლებულია, მაგრამ ნაცებისგან არა!

**გვესასუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე.**

— მიუხედავად 2012 წლის ფართომასშტაბიანი ამნისტიისა, კრიმინალი გაზრდილი არ არის, თუმცა „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებს, რომ გაზრდილია, რა თქმა უნდა, ცრუობს, როგორც ყოველთვის. ვიმეორებ, ქვეყანაში კრიმინალი არ გაზრდილა. ასევე თვალშისაცემია მედია-საშუალებები, რომლებიც 2012 წლის შემდეგ უფრო მძაფრად აშუქებენ კრიმინალურ ქრონიკას, ვიდრე წინა წლებში. კატეგორიულად ვემიჯნები იმ აზრს, რომ კრიმინალმა 2012 წლიდან იმაზე მეტად მოიმატა, ვიდრე მანამდე იყო. ეს არის ტყუილი და მეტი არაფერი. ამასთანავე, შევახსენებთ ამ გადაცემების ინიციატორებს ნაცმოძრაობიდან, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს 300 000-ზე მეტი ადამიანი გასამართლდა, რითაც პარტნიორი ქვეყნების





წინაშე ქვეყანა კრიმინალურ ერად შერაცხვის საფრთხის წინაშე დააყენა. ახლა ამ აგიტაციამ არ უნდა გამოიწვიოს სამართალდამცავების ზომაზე მეტი გააქტიურება, რათა საზოგადოებას უსამართლობის განცდა არ გაუჩნდეს. რა თქმა უნდა, კრიმინალს ნებისმიერი ხელისუფლება უნდა ებრძოლოს, მაგრამ არა იმ მეთოდებით, როგორც ამას წინა ხელისუფლება ეწეოდა — ქუჩებში ჩაცხრილვები, სატელევიზიო დაკავებები პატივისა და ღირსების შელახვის ფონზე და ა.შ. კრიმინალის არგაზრდის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო ამნისტიის შედეგად გამოსულების მასიურად ქვეყნიდან გადინება უცხოეთში სამუშაოდ. დღევანდელი ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის ფონზე, „ნაცმოძრაობა“ უარყოფითად აფასებს კრიმინოგენურ მდგომარეობას. გაუგებარია, თუ კრიმინოგენური მდგომარეობა არ მოსწონთ, რატომ ითხოვენ ნარკოდანაშაულზე ლიბერალიზაციას? რა კრიმინოგენური მდგომარეობის გაზრდა სურთ? თავადვე მოდიან წინააღმდეგობაში. ერთის მხრივ ითხოვენ, კრიმინალის მომატების გამო ბრძოლის გამკაცრებას, მეორეს მხრივ, კანონმდებლობისა და ნარკოდანაშაულის ლიბერალურ პოლიტიკას.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ლიბერალური პოლიტიკის ფონზე დანაშაულთან ბრძოლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მკაცრი დიქტატორული ტენდენციების დროს, რაც უახლოეს წარსულში ხდებოდა.

**— კატეგორიულად ემიჯნებით იმ აზრს, რომ კრიმინალმა 2012 წლიდან იმაზე მეტად მოიმატა, ვიდრე მანამდე იყო, რის საფუძველზე აცხადებთ ამას, შსს-ს სტატისტიკის? იქნებ ციფრებით გვესაუბროთ...**

— სამწუხაროდ, ციფრები ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ზემოთ რაც გითხარით, ის მაძლევს ასე ფიქრის საფუძველს. ზოგისთვის შეიძლება, შს სამინისტროს სტატისტიკა არ იყოს სანდო, მაგრამ მე ნდობას ვუცხადებ, შსს სტატისტიკას, რადგან უწყებაა თვითონ დაინტერესებული, რომ კრიმინოგენური მდგომარეობა არ იყოს დაძაბული ქვეყანაში, მით უმეტეს, როდესაც წინა საარჩევნო პერიოდები იყო და არის. მინდა გითხრათ, რომ არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას და არც ერთ ელჩს არ გაუკეთებია განცხდება იმის თაობაზე, რომ საქართველოში კრიმინოგენური მდგომარეობა დაძაბულია. მხოლოდ ნაციონალები ამბობენ ამას. თვითონ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ ეს ბატონები, აცხადებდნენ, რომ კრიმინალს ებრძოდნენ, ცხრილავდნენ ადამიანებს ქუჩაში, კრიმინალები არიანო, მე მათ კრიმინალებს ვერ დავარქმევ და რომც ყოფილიყვნენ, არანაირი უფლება არ ჰქონდათ კრიმინალური მეთოდებით გასწორებოდნენ მათ. ფასადური დემოკრატიის შუქურა იყო სააკაშვილი, რა. დიახ, ნულოვანი ტოლერანტობის მიუხედავად მაინც ხდებოდა ისეთი კრიმინალი, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ვთქვათ, რომ მკაცრმა ხელმა მაინც ვერ აღმოფხვრა ბოლომდე. ასე რომ, სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებონ. ერთი სიტყვით, ვინც და რაც მათი კონტროლის ქვეშ არ ექცეოდა, ყველას დატერორებაზე იყვნენ გადასულნი. დღევანდელი სასამართლოც იქცევა აბსოლუტურად იგივე ტენდენციით, როგორიც სააკაშვილის დროს იყო იგივე პრესასთან მიმართებაშიც. აჯარიმებენ პრესას არჩევნების წინ, რათა ეს ქართულ ოცნებას დაბრალდეს უცხოელების თვალში. ვითომდა სასამართლოს ხელისუფლება აკონტროლებს, რაც აბსურდია.

**— თქვენ გქონდათ იმის ილუზია, რომ კუბლაშვილის ამ თანამდებობაზე დარჩენის შემთხვევაში სასამართლო ნაცების მხრიდან დამოუკიდებელი იქნებოდა?**

— როდესაც ბიძინა ივანიშვილი კუბლაშვილს შეხვდა, განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე არანაირი ზეწოლა და კონტროლი არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან გათავისუფლებულია სასამართლო, მაგრამ სასამართლო ხელისუფლება არ არის გათავისუფლებული „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლისგან. სამწუხაროდ, ვერ იქნა შემუშავებული ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გამოიწვევდა სასამართლოს სრულ გათავისუფლებას. წარმოიდგინეთ, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ასევე არის მოსამართლეების დისციპლინარული საბჭოს თავჯდომარეც. არ შეიძლება ასე იყოს. წარმოიდგინეთ, პროკურატურის გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი რომ იყოს თვითონ მთავარი პროკურორი. ახლა ეს როგორ შეიძლება?! ასეთი სქემაა მანდ. ვფიქრობ, „ოცნება“ ცვლილებების მტკივნეულად ჩატარებას ფრთხილობს. მაგალითად, კუბლაშვილს თავჯდომარეობის ათწლიანი ვადა უთავდება მომავალი წლის თებერვალ-მარტში და იმედია, ისეთი კანდიდატი შეირჩევა პარლამენტის მიერ და იქნება დანიშნული, რომელიც ღირსეულად გაართმევს თავს სასამართლო რეფორმას.

**— მანამდე ბევრი დროა, ასე რომ, ბატონი კუბლაშვილის ატანა მოგვიწევს... ისე, საინტერესოა, ვინ იქნება პარლამენტის რჩეული...**

— ვფიქრობ, კუბლაშვილის თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს თავჯდომარედ სასურველი იქნებოდა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ღირსეული ქალბატონი ნინო გვენეტაძე, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტი. იმედია, პარლამენტი ღირსეულ ადამიანს აირჩევს და სასამართლო საბოლოოდ გათავისუფლდება და აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც ნაციონალების მმართველობის დროს იყო. სასამართლო და პროკურატურა ნაციონალების დროს გადაბმული იყო ერთმანეთზე, ნოტარიუსებივით იყვნენ, ეს ყველას გვახსოვს. და პროკურატურას აქებდა ხოლმე კუბლაშვილი, დღეს კი რატომღაც აღარ აქებს. ხვდებით, ალბათ, რატომაც. ამჟამად, ჩვენ ვიცით ათამდე საქმე, რომელიც დღევანდელმა სასამართლომ გადაწყვიტა, ვგულისხმობ იმას, რომ მოხელეები გარეთ დატოვა, ანუ ციხეში არ გაუშვა. ბრალი აქვთ პროკურატურის მიერ წარდგენილი და გირაოთი არიან გარეთ. რაც არასწორია, ეს პოლიტიზირებული თემებია, ციხეში მხოლოდ ვიღაც რიგითი რჩება, მერაბიშვილისა და ახალაიას გარდა ყველა გარეთაა თითქმის. რატომ ვიძახი ამას, იცით, „ნაციონალური მოძრაობა“ სამოხელეო მუხლებით, ვისაც ბრალი ჰქონდა წაყენებული და სასამართლო მიმდინარეობდა, არავის ტოვებდა გარეთ, დღეს კი ახალი ხელისუფლების ლიბერალური პოლიტიკიდან გამომდინარე და იქედან გამომდინარე, რომ სასამართლო არ არის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, ასე არ ხდება. სხვათა შორის, თავად კუბლაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლო თავისუფალია (აბა, თავად, რომ აკონტროლებს არაერთ მოსამართლეს ამას ხომ არ იტყვის) და ნაციონალებიც ამბობენ, რომ სასამართლო თავისუფალია, მაგრამ, როდესაც მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ამ გახმაურებელ პროცესებზე, მაშინ უკმაყოფილოები არიან, ხოლო, როცა პირიქით ხდება, მაშინ კმაყოფილები. დიახ, როცა მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ ამბობენ, სასამართლო თავისუფალიაო, ხოლო, როცა მათ საწინააღმდეგოს — არ არის თავისუფალი და ეს მოსამართლე ხელისუფლების მონააო. არადა, თავისივე შექმნილ სისტემას იწუნებენ. ვიმეორებ, კუბლაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ გავლენის ქვეშაა სასამართლო, ამაზე ბევრი რამ მიუთითებს, თუნდაც ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

**— პარალელურად ვრცელდება ინფორმაციები, რომ სააკაშვილამა კრიმინალები სპეციალურად შეიწყალა, რათა კრიმინოგენური ვითარება დაძაბულიყო ქვეყანაში?!**

— რაც შეეხება სააკაშვილის მიერ შეწყალებულ ხალხს, მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ხალხს დაავალონ რომელიმე თავიანთი პოლიტიკური ლიდერის ცემა სპეციალურად, რათა ამ ფაქტმა აურზაური გამოიწვიოს. დიახ, სააკაშვილმა გამოუშვა ციხიდან ის ხალხი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთებს შეასრულებდა. ამასთანავე იმასაც ვერ გავაკონტროლებთ, ხელისუფლებაზე 9 წლის განმავლობაში განაწყენებული ხალხი როდის რას მოიმოქმედებს და „ნაციონალური მოძრაობის“ რომელ ლიდერს რას დამართებს, ამას შს სამინისტროს



ვერც ერთი ანალიტიკური სამსახური ვერ გამოიცნობს წინასწარ. გამწარებული ადამიანი რა დროს როგორ მოიქცევა, ამას ვერავინ ამოიცნობს. ამის გამო ნაიონალური მოძრაობის მოწოდებები — ხელახლა გავავსოთ ციხე, არასწორია, ამიტომაც ითხოვენ ამას, როგორც ჩანს.

**„კატეგორიულად ვემიჯნები იმ აზრს, რომ კრიმინალმა 2012 წლიდან იმაზე მეტად მოიმატა, ვიდრე მანამდე იყო, ეს არის ტყუილი და მეტი არაფერი“.**

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# ევროპელთა დიდი ღალატის ისტორია, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა

**გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი შოთა ვადაჭკორია**

**— ბატონო შოთა, მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს ისტორიაში — ქართულმა მხარემ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. როგორია თქვენი, როგორც ისტორიკოსის შეფასებები?**

— ნებისმიერმა პოლიტიკოსმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ, როგორც ნოე ჟორდანია ამბობდა, „პოლიტიკა განიზომება მისი შედეგებით და მისაღებია მხოლოდ ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ქვეყნისთვის საუკეთესო ნაყოფს იძლევა.“ ამ შემთხვევაში, ჩვენს წინაშე პრინციპულად ისმება კითხვა: ევროპული დაპირებები რამდენად შესრულებადია და იგი საქართველოს ხვალინდელი დღისთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის იძლევა თუ არა საუკეთესო ნაყოფს. ამ შემთხვევაში პასუხი ცალსახად უარყოფითია. მით უმეტეს, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების დაპირებები და შეთანხმებები შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დღემდე, სიტყვის გატეხაზე იყო და არის დაფუძნებული. ჩემი ეს განცხადება ზედაპირული ხასიათის ბრალდებად რომ არ ჩამეთვალოს, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით რამდენიმე ფაქტს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს მისი ავ-კარგი. მაგალითად, საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასა და გიორგი V ბრწყინვალეს (1314– 1346 წწ.) აქტიური მიმოწერა ჰქონდათ. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ფილიპე VI-მ გიორგი ბრწყინვალეს პალესტინა — იერუსალიმის „წმინდა მიწების“ ეგვიპტის სულთნისგან გამოსახსნელად დახმარების მიზნით ლაშქრის დაუყოვნებლივ გაგზავნა სთხოვა. ბრძენმა ქართველმა მეფემ ამ „მიპატიჟების“ ყველა გარემოება საფუძვლიანად შეაფასა და საფრანგეთის მეფეს შემდეგი სახის წერილი მისწერა: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მიდიან, სტოვებენ რა მათ ამ ტანჯულ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოხვალთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად 30 ათასი ჯარისკაცით.“ ამ უნიკალური დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რა მაღალ დონეზე ქონდა გიორგი ბრწყინვალეს შესწავლილი დასავლეთ ევროპის მეფეთა ორპიროვანი ბუნება.



ნოე ჟორდანია და მისი მთავრობა

ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია; საფრანგეთის მეფემ აღნიშნული ლაშქრობა არ განახორციელა. გიორგი ბრწყინვალე სატყუარ ანკესზე რომ წამოგებულიყო, იგი გამძვინვარებული მტრის წინაშე მარტოდმარტო აღმოჩნდებოდა და 30 ათას ქართველ მხედარს ამოწყვეტა ემუქრებოდა. თუ რა შედეგის მომტანი იქნებოდა ეს კატასტროფა საქართველოსათვის ადვილი წარმოსადგენია. აქ გიორგი მეფის სიბრძნემ, პოლიტიკურმა გამჭრიახობამ და რაც მთავარია, ევროპელი ლიდერების სიტყვის შეუსრულებლობის ტრადიციული ტენდენციის სიღრმისეულ ცოდნაზე დაყრდნობით გაკეთებულმა გადაწყვეტილებებმა გაიმარჯვა.

**— რამდენადაც მახსოვს, ევროპელ ლიდერებთან ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკის პირველ ხელისუფლებასაც ჰქონდა XX ს-ის დასაწყისში.**

— დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარების მოიმედე საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წლებში იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი გასაბჭოებული რუსეთის პირისპირ შიშველი ხელებით აღმოჩნდა. მხედველობაში მაქვს ევროპის სახელმწიფოებისგან შეპირებული იარაღის მიყიდვის (საბრძოლო შაშხანები, შორსმსროლელი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ვაზნები, ყუმბარები, ფინანსური დახმარება...) მიზანმიმართულად გაჭიანურების პროცესი. ეს ფაქტორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების დროულად გადაიარაღებისა და ახალი სამხედრო შენაერთების შექმნისათვის ხელშემშლელი ბარიერი გახდა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა იმ მოახლოებულ საფრთხეს, რომელიც აისბერგივით იყო დაძრული ქართველთა დამოუკიდებელი პირველი რესპუბლიკის წასალეკად. ამის დადასტურებას ნოე ჟორდანიას მიერ 1920 წლის 20 მარტს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის და იტალიის წარმომადგენლებისადმი გადაცემული ოფიციალური განცხადება წარმოადგენს. ეს დოკუმენტი, აღნიშნული სახელმწიფოების ხელისუფალთ, საქართველოსადმი 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული საბრძოლო იარაღის, ამუნიციის, სურსათისა და ფინანსური დახმარების შესრულების აუცილებლობას შეახსენებდა. „ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — თანხმობის ქვეყნების ჩვენდამი დამოკიდებულებამ... ჩვენ არაერთხელ აღვძარით შუამდგომლობა ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისათვის. მხარდაჭერას დაგვპირდნენ, ჩვენ ველოდით მოთმინებით მაგრამ ვერ მივიღეთ თქვენგან ვერც ერთი ვაზნა, ვერც ერთი ფუნტი პური. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მეტი ლოდინი შეუძლებელია და დაპირებებით ვერ დავკმაყოფილდებით.“

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ასეთი მკაცრი მხილების მიუხედავად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებს დანაპირების შესრულებაზე თავი არ შეუწუხებიათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თავდაცვის უწყებისადმი იმ ეტაპზე დაქვემდებარებული თბილისის არსენალი, რუსული წარმოების ვაზნების დეფიციტს განიცდიდა. 1918-1920 წლებში მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებული თავდასხმების მოგერიებამ, ბოლშევიკების შეიარაღებული აჯანყებების ნეიტრალიზებამ, სეპარატისტების წინააღმდეგ და ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით გაწეულმა საბრძოლო მოქმედებებმა, იარაღის საწყობებში არსებული რუსული წარმოების ვაზნების მარაგი მაქსიმალურად ამოწურა. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მისი შევსება შეუძლებელი ხდებოდა. ჩემს მიერ არქივ-საცავებში მიკვლეული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის ზემოაღნიშნული დაპირების შესრულების გადაწყვეტილება საფრანგეთის მთავრობამ 1921 წლის 14 თებერვალს მიიღო, რომლის პრაქტიკული ამოქმედება მხოლოდ 11 დღის შემდეგ, 25 თებერვალს გაცემული ბრძანების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

ამ დოკუმენტის მიხედვით, სტამბოლში არსებული ფრანგების საწყობიდან, ვრანგელის ნაქონი იარაღი უნდა მიეღო საქართველოს. თუ რას წარმოადგენდა ეს იარაღი, ამის შესახებ სრულ ინფორმაციას სტამბოლში მყოფი საქართველოს გენერლური კონსულის გოგოლაშვილის მიერ 1921 წლის 28 თებერვალს აკაკი ჩხენკელისადმი პარიზში გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. „სტამბოლში აქ ფრანგების მხოლოდ თხუთმეტი ათასი თოფი და ორი ათას სამოცი პულემიოტი დაჟანგულია. ეხლავე ბრძოლისთვის გამოუსადეგარია. არც პატრონები და არც ყუმბარებია. მდგომარეობა კრიტიკულია.“ მომდევნო იარაღის საწყობი, რომელიც ფრანგებმა ქართველებს შესთავაზეს, იქ არსებული იარაღიც უვარგისი აღმოჩნდა. ამის შესახებ იმავე ი.გოგოლაშვილის მიერ სტამბოლიდან პარიზში აკ. ჩხენკელისადმი 1921 წლის 6 მარტს გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „იარაღი დაჟანგულია, შეკეთება სჭირია. გამოდგება სამი მეოთხედი. საჩქაროდ საჭიროა სათანადო ნაწილები ლულების პულემიოტებისათვის. პარიზიდან ნებართვის გარეშე არ გვაძლევენ. აქ მეტი არაფერია. ძლიერ საჭიროა საჩქაროდ რუსული თოფების პატრონები და სამ დიუმიანი ყუმბარები.“

ამ დოკუმენტების მიხედვით კარგად ჩანს, რომ 1919 წელს შეპირებული იარაღიდან, 1921 წლის 25 თებერვალს საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოსთვის მხოლოდ უვარგისი, ჯართად ქცეული „იარაღი“ გაიმეტა. ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ საბრძოლო მასალის უქონლობის გამო ქართული ჯარის ნაწილები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის შესახებ კ. საბახტარაშვილის მიერ სტამბოლში მყოფი ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 28 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „მდგომარეობა კრიტიკულია. გაგრას დიდი ძალა მოაწვა. ჩვენი რაზმი აქ სულ გაწყდა... სამხედრო მასალები შემოგველია. ფრანგები აქ არაფერს გვაძლევენ. ჯარი უიარაღოდ იბრძვის.“

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის მთავრობამ, მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო საწყობებიდან საქართველოსათვის ნორმალური სახის იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილება მხოლოდ 1921 წლის 17 მარტს მიიღო. ეს ის პერიოდია, როცა ქუთაისში გრიგოლ ლორთქიფანიძესა და გასაბჭოე-

17 gv.

# „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, სამ ბილეტი პრადაიოტ“ ანუ ვარსკვლავური სკანდალი ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო

## რატომ დაუმალეს საზოგადოებას, რომ ტელეკომაპანია „იმედის“ პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გამარჯვებული მარიამ კუბლაშვილი ამავე ტელეკომპანიის მეორე პროექტის „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო?



*ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო ვარსკვლავური სკანდალი მწიფდება. მან ამ სეზონზე მაყურებელს თითქმის ერთდროულად ორი პროექტი „ორი ვარსკვლავი“ და „ცეკვავენ ვარსკვლავები“ შესთავაზა. „ორი ვარსკვლავი“ ტელე-იმედის ეთერში პირველად გავიდა, „ცეკვავაენ ვარსკვლავებს“ კი მაყურებელი კარგად იცნობს. პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უკვე დასრულდა, რომლის შესახებ სანდო წყაროს ინფორმაციით, ჩვენთვის, საინტერესო დეტალი გახდა ცნობილი, რამაც წესით, პროექტში მონაწილე ვარსკვლავებიც უნდა დააინტერესოს. როგორც ვიცით, პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად პროექტში ცნობადი სახეები მონაწილეობენ. ერთ-ერთი მათგანი, პროექტმა, როგორც პროფესიონალი ადვოკატი ისე წარადგინა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი სილამაზის ცენტრ „დეშელის“ გენერალური დირექტორია. ალბათ, იკითხავთ — მერე რა მოხდაო? — რა და ის, რომ სილამაზის ცენტრი „დეშელი“, რომლის გენერალური დირექტორი და 30%-იანი წილის მფლობელი მარიამ კუბლაშვილია, ტელეკომპანია „იმედის“ კიდევ ერთი პოპულარული პროექტის „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო. არის თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტი?! ამ მასკარადის, რომელშიც მონაწილეებთან ერთად საზოგადოებაც აღმოჩნდა ჩართული, მთავარი ინტრიგა, კითხვა — ვინ გაიმარჯვებს, იყო. საინტერესოა, ინტერესთა კონფლიქტის დადასტურების შემთხვევაში, როგორ დაიცავს ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი დაზარალებული ვარსკვლავების ინტერესებს?! სხვათა შორის, მასთან „აუთ-საიდერებში“ მდგომმა მიშა მესხის და ჯულიანა ბარგნარის წყვილმა შოუ სკანდალურად დატოვა. მიშა მესხმა წამყვანებს წამზომის ჩართვა არ აცადა და განაცხადა, რომ შოუს ტოვებს. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი ცხადია და ახლა ამ თემაზე ლაპარაკს არ აპირებს. დაბეჯითებით ვერაფერს დავამტკიცებთ, თუმცა გამორიცხული არაა მიშა მესხსაც შეეტყო ამ უსამართლობის შესახებ და პროტესტი სწორედ ასე გამოეხატა. ნახევარ ფინალში სამი ვარსკვლავი იასენია, მარიამ კუბლაშვილი და ლევან ჩიჩუა გადავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში რატომღაც ხმის მიცემის წესები შეიცვალა. ჟიურის წევრები მარიამ კუბლაშვილის მიმართ უცნაური კომენტარებით გამოირჩეოდნენ. მაგალითად რეჟისორმა ლევან წულაძემ, ნახევარფინალში აღნიშნა: ცეკვის სიუჟეტი ვერ გავიგე, მაგრამ კარგი იყო, ფინალში მინდა გნახოო. სოფო შევარდნაძემ კი პირდაპირ ფინალში გადაიყვანა: იმედია, ფინალში უკეთ იცეკვებთო. გოჩა ჩერტკოევმა კი პროდიუსერ ნოე სულაბერიძეს მადლობა გადაუხადა ასეთი ადვოკატის პოვნისთვის. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, რომ ნოეს დიდი ძებნა არ დასჭირვებია — „ორი ვარსკვლავის“ სპონსორობიდან, იგი პირდაპირ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გადმოსვა. წინა კვირას კი ფინალისტების ვინაობა გაირკვა. საზოგადოება შოკში ჩააგდო აფხაზი მონაწილის იასენიას გავარდნამ, რომელსაც ბევრი გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. სამაგიეროდ, ერთ-ერთი ფინალისტი და სმს ლიდერი კვლავ მარიამ კუბლაშვილი გახდა, რომელმაც ფინალისტობა ძალიან ხელოვნური სიხარულით გამოხატა. ჩვენ ვცადეთ გაგვერკვია რაში იმალება მარიამ კუბლაშვილის „წარმატების“ საიდუმლოება და „საერთო გაზეთი“ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით „ორი ვარსკვლავისა“ და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერს ნოე სულაბერიძეს დაუკავშირდა:*

**— ბატონო ნოე, გამარჯობა, „საერთო გაზეთიდან“ გაწუხებთ, თუ შეიძლება რამდენიმე შეკითხვაზე რომ მიპასუხოთ?**

— კი ბატონო გისმენთ.

**— ბატონო ნოე, ჩვენი ინფორმაციით „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული მარიამ კუბლაშვილი „იმედის“ მეორე პროექტის „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო. რატომ შეარჩიეთ იგი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილედ?**

— ეს თითიდან გამოწოვილია. მარიამ კუბლაშვილი არაფრის სპონსორი არ არის. მაპატიე, მაგრამ ასეთ არასერიოზულ თემაზე კომენტარსაც არ გაგიკეთებ.

**— ანუ ბატონო ნოე, თქვენ ამბობთ, რომ მარიამ კუბლაშვილს სილამაზის ცენტრ „დეშელთან“, რომელიც „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო, შეხება არ აქვს?**

— მარიამ კუბლაშვილი კონკრეტულად არაფრის სპონსორი არ არის. თქვენ თუ რამე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობთ, მე არ ვიცი. მარიამ კუბლაშვილი არის ადვოკატი და კიდევ სადღაც მენეჯერი. მარიამ კუბლაშვილის მფლობელობაში არაფერი არაა.

**— ბატონო ნოე, თქვენ მგონი სათანადოდ არ ფლობთ ინფორმაციას. მარიამ კუბლაშვილი სილამაზის ცენტრ „დეშელის“ გენერალური დირექტორია. სწორედ იმ „დეშელის“ რომელიც „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო.**

— ბოდიში, რა, რაღაც შეხვედრაზე შევდივარ ახლა უბრალოდ და ვეღარ დაგელაპარაკები.

*„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერი ნოე სულაბერიძე უარყოფს, რომ მარიამ კუბლაშვილი „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო. გასაგებია, რომ ბანკის მენეჯერი ან დამლაგებელი სპონსორად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში მარიამ კუბლაშვილი „კიდევ სადღაც მენეჯერი“ კი არა სილამაზის ცენტრ „დეშელის“ გენერალური დირექტორი და ამავე კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელია. სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავ, რომ რამდენიმე დღის წინ სილამაზის ცენტრ „დეშელში“ შემთხვევით მოვხვდი. როცა ხელშეკრულება მომიტანეს და ვიკითხე ეს რომელი მარიამ კუბლაშვილია, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ რომ არის-მეთქი?! კონსულტანტმა მარომ გახარებულმა მითხრა, დიახ, ქალბატონი მარიამი ჩვენი უფროსიაო. მან „ორ ვარსკვლავის“ სპონსორობაც დამიდასტურა. მკითხველს რომ არ ეგონოს, თითქოს „საერთო გაზეთი“ მარიამ კუბლაშვილს ცილს სწამებს და მენეჯერის ნაცვლად 30%-ის მფლობელობას სწამებს, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც მოვიპოვეთ, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წარმოვადგენთ. სხვათა შორის, წინა კვირას როცა იასენიამ პროექტი დატოვა, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ცნობილმა ტელე-სახემ ინგა გრიგოლიამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნავს, რომ ძალიან დაწყდა გული იასენიას გავარდნის გამო და ამას აუცილებლად გააპროტესტებს. სტატუსში ასევე აღნიშნული იყო, რომ მისთვის უკვე გასაგებია ვინ გაიმარჯვებს (!!!) „საერთო გაზეთი“ ინგა გრიგოლიას დაუკავშირდა:*

**— ინგა, თქვენ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრი იყავით. თუ იცოდით რომ მარიამ კუბლაშვილი „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო?**

— უი, მართლა? არა, ნამდვილად, არ ვიცოდი. „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი იყო?

**— დიახ.**

— უი, ნამდვილად არ ვიცოდი, პირველად მესმის თქვენგან ეს ინფორმაცია.

**— იგი „დეშელის“ გენერალური დირექტორია.**

— მარიამი ჩემი ფავორიტი არ ყოფილა. ჩემი ფავორიტები თიელ-ი და იასენია იყვნენ. ამას ახლა ვამბობ როცა პროექტი დასრულდა. მაგრამ ეგ ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი. ამ პროექტის სპონსორებზეც კი არ მაქვს ინფორმაცია. არა, ნამდვილად არ ვიცოდი, ახლა, დავიბენი ცოტა. ეს რამე პრობლემაა?

**— ბუნებრივია, აქ უკვე სადაო აღარ ხდება ვინ გაიმარჯვებს და მან გაიმარჯვა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძლიერი კონკურენტები გაცილებით ადრე ჩამოსცილდნენ პროექტს.**

— მე იურისტი არ ვარ და ამიტომ მართლა არ ვიცი სამართლებრივად ერთმანეთთან მოდის თუ არა წინააღმდეგობაში. ნამდვილად არ ვიცოდი „ორი ვარსკვლავის“ სპონსორები ვინ იყვნენ, ან აქ ვინ იყო ყველა სპონსორი არც მახსოვს.

**— ანუ მარიამი კომპანია „დეშელის“ დირექტორი რომ იყო არ იცოდით?**



— ვაიმე, წარმოდგენა არ მქონდა. ვიცოდი, რომ არის ადვოკატი. ჟიურის წევრებს რა ინფორმაციაც მოგვაწოდეს, ესაა ის, რომ იგი იურისტია. თუ ის, როგორც თქვენ ამბობთ, „ორი ვარსკვლავის“ ერთ-ერთი სპონსორი იყო, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამაზე ალბათ, იურისტები გიპასუხებენ.

**— თქვენ იასენიას გავარდნის შემდეგ „ფეისბუქზე“ პოსტი დადეთ: „... მაზიანს დავდებ უკვე ზუსტად ვხვდები ფინალის შედეგს“. ამ შედეგს გულისხმობდით?**

— ეს იმიტომ დავწერე, რომ პირდაპირ ვამბობ, ჩემი ფავორიტები პროექტში იასენია და თიელი იყვნენ. მერე ისე განვითარდა მოვლენები იასენია გავარდა. ჩემი ინტუიცია იყო ეს მხოლოდ მეტი არაფერი.

**— ეს უსამართლობა იყო?**

— ეს მაყურებლის არჩევანი იყო. მე, ამ შემთხვევაში, ჩემს ფავორიტებზე ვსაუბრობ. მარიამმა „პოსადობლე“ არაჩვეულებრივად შეასრულა. რაც შეეხება თიელ-ის თემას, უბრალოდ, ფინალში გული იმაზე დამწყდა, რომ მარიამს სანახაობრივად ძალიან ემოციური ცეკვა დაუდგეს, შედარებით ცოტა უფრო უსახური მომეჩვენა ის ცეკვა, რაც თიელ-ისთვის იყო დადგმული. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, გულწრფელად გეუბნებით. მარიამს ვულოცავ. თუმცა ჩემს შვილს გეფიცებით, ეს ინფორმაცია ახლა პირველად თქვენგან გავიგე.

„საერთო გაზეთი“ ერთ-ერთ მონაწილეს ჟურნალისტ ნუგზარ რუხაძესაც დაუკავშირდა, რომელიც კონკურსს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა:

**— ბატონო ნუგზარ, თქვენ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იღებდით მონაწილეობას. თუ იცოდით მარიამ კუბლაშვილი ამავე კომპანიის მეორე პროექტს „ორ ვარსკვლავს“ რომ სპონსორობდა?**

— არაფერი ვიცოდი, ასეთი რამ არასოდეს გამიგონია. ახლა, თქვენგან მესმის პირველად. იმდენად იშვიათად დავდივარ ეგეთ რაღაცებს არავინ მეუბნება. ამის შესახებ აბსოლუტურად არაფერი ვიცი.

არის თუ არა ყოველივე ეს მაყურებლის მოტყუება, ამის გასარკვევად ბოლოს იურისტს მივმართეთ.

**ნათელა გოდერიძე, იურისტი:**

— თავისთავად, ეს ინტერესთა კონფლიქტია იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, ცხადია, ინტერესი სპონსორზე მოდის. თავისთავად ცხადია, ტელეკომპანიის სიმპატიები, ამ დროს, გადაცემა „ორი ვარსკვლავის“ სპონსორისკენაა გადახრილი. ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ ვინც მუსიკას უკვეთავს, ის ცეკვავს. თუმცა, გაჩნია რა თანამდებობაზე იყო ეს მონაწილე სპონსორ კომპანიაში?

— ეს მონაწილე მარიამ კუბლაშვილი მაყურებელს, მონაწილეებს და ჟიურის როგორც ადვოკატი ისე წარუდგინეს, მაგრამ ამავდროულად სილამაზის ცენტრ „დეშელის“ გენერალური დირექტორია და 30% წილის მფლობელი. ითვლება თუ არა იგი უშუალოდ სპონსორად?

— რა თქმა უნდა. კომპანიაში გენერალური დირექტორი თუ არის და თანაც წილის მფლობელი, უშუალოდ თავად გამოდის დამფინანსებელი, ამაზე მაღალი რანგი აღარ არსებობს. ამას უკვე მუხლიც აღარ სჭირდება.

— მონაწილეებს და ჟიურის ამის შესახებ არ უნდა სცნობებოდათ?

— საერთოდ, როცა პროექტი დგება, ყველა მონაწილის ავტობიოგრაფია გამოქვეყნებული უნდა იყოს. ინფორმაცია ხელმიუწვდომელი იყო?

— მათ იცოდნენ რომ მარიამი ადვოკატი იყო, მაგრამ „დეშელის“ გენერალური დირექტორი რომ იყო, როგორც ირკვევა, ამ ინფორმაციას ბევრი არ ფლობდა.

— ეს არ შეიძლება. რა თქმა უნდა ეს ინტერესთა კონფლიქტია.

„საერთო გაზეთმა“ მოსახლეობაშიც ჩაატარა გამოკითხვა და აღმოჩნდა რომ ძირითადად, საზოგადოებას გული დაწყვიტა ძლიერი მონაწილეების, კატო კვიციანის, ნინი ნუცუბიძის და ბოლოს იასენიას გავარდნამ. უმეტესობა გამარჯვებულად იასენიას მოიაზრებდა. ფინალში კი გამოკითხულთა დიდი ნაწილი თიელ-ის და მზია ორველაშვილის წყვილს გულშემატკივრობდა.

***P.S.** გამოდის რომ, ტელეკომპანია „იმედმა“ მარიამ კუბლაშვილი ისე შემოაპარა პროექტში, რომ მასზე სრულყოფილი ინფორმაცია არც მონაწილეებს და არც ჟიურის წევრებს არ ჰქონდათ. ბუნებრივია, არაფერი იცოდა მაყურებელმაც, რომელიც გულმხურვალედ გულშემატკივრობდა საკუთარ ფავორიტებს, თუმცა საბოლოოდ მოტყუებული დარჩა და ხელთ გამარჯვებულად გადაცემა „ორი ვარსკვლავის“ სპონსორი შერჩათ.*

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# გოგიტა მჭედლიშვილი, რომელსაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი და უკვე 16 წელია ციხეში ზის, ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა და მისი საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვს, თუმცა, როგორც ირკვევა, მისი საქმე დაკარგულია...

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოცუზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციაში“ შემოვიდა უვადო პატიმრობამისჯილი გოგიტა მჭედლიშვილის განცხადება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ არის უკანონოდ და უდანაშაულოდ მსჯავრდებული. პატიმარი მიუთითებს, რომ იგი 1998 წლის 8 აპრილს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ ერთი ირიბი მოწმის ჩვენების საფუძველზე დააკავეს და იმავე წლის აგვისტოში უვადო პატიმრობა მიუსაჯეს“, განუცხადა „საერთო გაზეთს“ ხსენებული ორგანიზაციის პრეზიდენტმა, უფლებადამცველმა და ადვოკატმა გიორგი თევზაძემ. გოგიტა მჭედლიშვილი სამი ადამიანის განზრახ მკვლელობაშია მსჯავრდებული და სასჯელს რუსთავის №6 საპყრობილეში იხდის. იგი დიდი ხანია განაჩენის გადახედვას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ. მან ამ მიზნით მიმდინარე წლის 27 მაისიდან უვადო შიმშილობა გამოაცხადა. პატიმრის განცახდებაში ვკითხულობთ, რომ იგი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს, რადგან 16 წელი ციხეში უდანაშაულოდ ყოფნას, სიკვდილი უჯობს. ამით მეც დავისვენებ და ჩემი ოჯახის წევრებიცო. გოგიტა მჭედლიშვილი სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსთავის №6 საპყრობილის ბინადარი იყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სამუდამო პატიმრობამისჯილები გლდანის №8 საპყრობილეში გადაიყვანეს. გოგიტა მჭედლიშვილი შიმშილობის დაწყების შემდეგ „საერთო გაზეთსაც“ დაუკავშირდა და განაცხადა, რომ თუ მთავარი პროკურატურა მისი საქმით არ დაინტერესდებოდა, კიდურებს მიიჭედებდა, ამ საუბრის შემდეგ იგი სასწრაფო წესით გადაუყვანიათ რუსთავის ციხეში, თუმცა მან დანაპირები მაინც შეასრულა, ჭრილობების დაჩირქების შემდეგ მას იძულებითი მკურნალობა ჩაუტარდა. ბოლო ხანს იგი აღარ დაგვკავშირებია, მაგრამ მას მოთხოვნა არ შეუცვლია და დახმარებისთვის გიორგი თევზაძეს მიმართა.

გოგიტა მჭედლიშვილმა დახმარებისთვის წინამდებარე წერილის ავტორს 2008 წლის ზაფხულშიც მიმართა. მაშინ გაზეთ „კრიმინალში“ დავბეჭდე ვრცელი სტატია სათაურით „მაწამებდნენ, ფრჩხილები სულ დამაძვრეს“. პატიმარი აცხადებდა, რომ მისი საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა, მიუხედავად იმისა, რომ მას დანაშაული არ ულიარებია, მხოლოდ ერთი სასამართლო სხდომა ჩატარდა, მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა და დაადგინეს, რომ განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. როდესაც ეს განაჩენი დადგა იმ პერიოდში საქართველო ევროსაბჭოს წევრი არ იყო, საქმის არსებით განხილვას მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლო (რაიონული და უზენაესი) ახორციელებდა, რაც შეეხება მკვლელობის საქმეებს, მას მხოლოდ უზენაესი სასამართლო იხილავდა. მოგვიანებით ხსენებული საქმე ევროსასამართლოში უნდა გასაჩივრებულიყო, თუმცა რამდენადაც ვიცი გასაჩივრება არ მომხდარა. ევროსასამართლოში მჭედლიშვილის ინტერესები ადვოკატ ლია მუხაშავრიას უნდა დაეცვა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება პროფესიონალი იურისტის მაშინდელი (2008 წელი) კომენტარი ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით. ლია მუხაშავრიას განცხადებით, ეს საქმე სერიოზულად იყო „შეკერილი“. „ათი წლის წინათაც პანტაპუნტით უშვებდნენ ხალხს ციხეში. თუკი დღეს ეს ფულის გამოძალვისთვის კეთდება, შევარდნაძის მმართველობისას სამართალდამცავები ასე იმიტომ ირჯებოდნენ, რომ არ უნდოდათ გაუხსნელი დანაშაული „დასწეროდათ“. ამიტომ „უპატრონო“ ადამიანებს ცემა-წამებით ნებისმიერ დანაშაულს ალიარებინებდნენ, თუმცა გოგიტა მჭედლიშვილს მაინც არ ულიარებია დანაშაული. 1998 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი არ იყო, 1999 წელს გახდა. ევროკონვენციის თანახმად, არ შეიძლება ასეთი უმძიმესი კატეგორიის დანაშაულის საქმე მხოლოდ ერთი ინსტანციის სასამართლომ განიხილოს და სასჯელიც მხოლოდ მან გამოიტანოს. როდესაც ევროსაბჭოს წევრი გავხდით, ჩვენი სახელმწიფოს მიმართ იყო მოთხოვნა, რომ შექმნილიყო სააპელაციო სასამართლო (რაც მოხდა კიდეც), მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ გარდამავალ დებულებაში მიუთითა, რომ მანამდე მიღებული განაჩენები არ უნდა გადასინჯულიყო, არადა ევროკონვენცია ამ საქმეების გადასინჯვას ითხოვს. ჩვენ ევროსასამართლოში სწორედ იმის გასაჩივრებას ვაპირებთ, რომ მჭედლიშვილის საქმე მხოლოდ ერთი ინსტანციის სასამართლომ განიხილა, რითაც ევროკონვენციის შესამისი მუხლები დაირღვა. თავის დროზე მჭედლიშვილს ადვოკატი არც ჰყავდა (ამის მიზეზი უსახსრობა გამხდარა – მ.ს.). ამ საქმეში უამრავი პროცესუალური დარღვევაა, მჭედლიშვილს სამი ადამიანის განზრახ მკვლელობას ედავებოდნენ, თუმცაღა ერთხელ არ ჩაუტარებიათ სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რაც უდიდესი დარღვევაა. საქმეში ბევრი სხვა საეჭვო გარემოებაცაა, რაც წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მაგრამ ასე არ მომხდარა. ყველაზე საგულისხმო ფაქტი კი ის არის, რომ მჭედლიშვილის სს-ის საქმე დაკარგულია, ის ვერც პროკურატურაში მოიძიეს და ვერც უზენაესი სასამართლოს არქივში“, აცხადებდა ლია მუხაშავრია.



რა მოხდა 1998 წლის 7-8 აპრილს, რატომ ჩათვალა პოლიცია-პროკურატურამ 22 წლის გოგიტა მჭედლიშვილი უმძიმეს დანაშაულში ეჭვმიტანილად, როგორ ცდილობდნენ მისგან არჩადენილი დანაშაულის (როგორც თვითონ აცხადებს) აღიარებას, ამ ყველაფერს მის მიერ ციხიდან გამოგზანილი წერილებით შევიტყობთ. გოგიტა მჭედლიშვილის ოჯახი წარმოშობით დუშეთის რაიონის სოფელ მჭედლიანიდან არის, თუმცა ჟინვალში ცხოვრობენ, სადაც მიწის ნაკვეთი ჰქონდათ.

**გოგიტა მჭედლიშვილი:** „მამაჩემმა მითხრა, 7 აპრილს სოფელში ტრაქტორი უნდა მოვიდეს, შენც წადი და ჩვენი ფართობი მოახვნევინეო. ჟინვალიდან ჩვენს სოფლამდე 15 კილომეტრია, გზა ტყეზე გადის, ამიტომ ჩემზე გაფორმებული თოფი წავიღე, წავინადირებ-თქო. სოფელში ასულმა თოფი ბიძაჩემის (ვაჟა მჭედლიშვილი) სახლში დავტოვე და ტრაქტორისტთან შესახვედრად წავედი. საღამოს ხუთი საათისთვის ხვნა დავამთავრეთ, ტრაქტორისტთან ერთად ვისადილეთ და ამის მერე ბიჭებმა სანადიროდ წასვლა გადავწყვიტეთ. შებინდებულზე დავბრუნდი, თოფი ისევ ბიძაჩემთან დავტოვე და მეზობელთან გავედი ტელევიზორის საყურებლად, მაგრამ მალევე მოვბრუნდი, ბიძაჩემმა მთხოვა ღორების საჭმელი გამითავდა და იქნებ ჟინვალიდან ჩამომიტანოო. მაშინვე წამოვედი ჟინვალისკენ, ალბათ შუა ღამე იქნებოდა ჩემს სახლთან რომ მივედი. ეზოსთან ცოფიანი ძაღლი შევნიშნე, რომელსაც ჩემი მეგობარი დაეკბინა, ის ბიჭი ამის გამო გარდაიცვალა, ძაღლი ორი გასროლით მოვკალი, სახლში შევედი და დავიძინე. მეორე დღეს, დილაადრიან პირუტყვის საკვები ჩავყარე ჩანთებში და სოფელში წავედი, იქ მისულმა თავშეყრილი ხალხი და ავტომანქანები შევნიშნე. ჩანთა დავტოვე ბიძაჩემთან და ამბის გასაგებად წავედი, ხალხში პოლიციელებიც რომ დავინახე, მომხდარით დავინტერესდი, ერთ-ერთმა თანასოფლელმა მითხრა, წუხელ ვიღაცამ მარიამ ლიქოკელი და მისი შვილიშვილები, ზურა და ზვიად ჩანადირები დახოცაო. პოლიციამ ყველა იქ მყოფი დაგვკითხა და გაგვიშვა, თუმცა 2-3 საათის შემდეგ ბიძაჩემის სახლში მომაკითხეს და დუშეთის პოლიციაში წამიყვანეს, პოლიცილებმა მითხრეს, ეს მკვლელობა სავარაუდოდ თოფით არის ჩადენილი, რახან შენ სოფელში თოფით იყავი ასული, დამატებით უნდა დაგკითხოთო. ის ღამე საკანში გავატარე, დილით სარდაფში ჩამიყვანეს და უმოწყალოდ მცემეს, მაძალებდნენ მეთქვა რა ვიცოდი ამ მკვლელობის შესახებ, არაფერი ვიცოდი და რა მეთქვა? ერთ-ერთმა პოლიციელმა მითხრა, შენისთანებისთვის „შეგვიტენია“ საქმეები, ისე გცემთ, ამ მკვლელობას კი არა, სხვა დანაშაულებსაც დაიბრალებო. თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა ჩემი ცემა დუშეთის პოლიციაში, ელექტრო შოკითაც მაწამეს, სახეზე აირწინაღის ნიღაბს მიკეთებდნენ, სასუნთქ მილში სველ „გუბკას“ ტენიდნენ და სანამ გული არ წამივიდოდა, იქამდე არ ხსნიდნენ. მერე მცხეთაში, რეგიონალური პოლიციის სამმართველოში გადამიყვანეს და სასტიკი წამება დამიწყეს. თვეზე მეტ ხანს მცემდნენ და მაწამებდნენ, ფეხზე ფრჩხილები დამაძვრეს, ფრჩხილების გადაყლაპვა რომ ვცადე, მომცვივდნენ, პირი რომ ვერ გამაღებინეს, კბილები რკინის ნაჭრით ჩამიმტვრიეს, თუმცა ცარიელ ფურცლებზე ხელი მაინც ვერ მომაწერინეს“.



მსჯავრდებულის განცხადებით, თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა მისი ცემა-წამება, ციხეში გადაყვანილი უკან დამაბრუნეს მცხეთის პოლიციაში და წამება გაგრძელდა. იგი თავის წერილში მიუთითებს, რომ მის ცემა-წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე და დუშეთის პოლიციის უფროსი. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ. მჭედლიშვილის განცხადებით, შს მინისტრის მოადგილემ წიხლებით სცემა და უთხრა, რომ საამაყოდ ჰქონდა საქმე, რადგან ასეთმა მაღალჩინოსანმა ძვირფასი ფეხსაცმელი გააფუჭა მის ცემაში, კარგად მოქცევა თუ არ გინდა, რიგითი პოლიციელები გადაგივლიან „ქირზის“ ჩექმებითო. რაც შეეხება პოლიციის უფროსს, მან სკამის ფეხით მცემა, რომელსაც „ხმალს“ ეძახდაო. სხვათა შორის, 2008 წელს, ამ მაღალჩინოსნების გვარებსაც ვასახელებდი, გაზეთის გამოსვლისთანავე დაუკავშირდა რედაქციას შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და განაცხადა, რომ მისი დადანაშაულება ამ საქმეში იყო სრული აბსურდი. რაც შეეხება დუშეთის პოლიციის უფროსად მოხსენიებულ პიროვნებას, მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ თანამდებობას 1997 წლის შემოდგომიდან აღარ იკავებდა და მისი დადანაშაულებაც აბსურდული იყო. ამ საუბრების შემდეგ ციხიდან დაგვიკავშირდა გოგიტა მჭედლიშვილი და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია და დასძინა, რომ მართალია დუშეთის პოლიციის უფროსი აღარ იყო ის პიროვნება და საგზაო პოლიციაში მუშაობდა, მაგრამ სპეციალურად

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მოვიდა მის საწამებლად და ცრუ ჩვენების გამოსაძალად. რომელი მხარე ცრუობს, ამის დადგენა ნამდვილად არ არის ჩვენი კომპეტენცია, სჯობს ამ თემაზე შესაბამისმა უწყებებმა იმსჯელონ, რომლებიც რატომღაც თავს არიდებენ ამ საკითხის შესწავლას. როგორც მსჯავრდებული აცხადებს, ის ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ ერთი ირიბი მოწმის საფუძველზე გაასამართლეს.

**გოგიტა მჭედლიშვილი**: „სასამართლო პროცესი 1998 წლის 20 აგვისტოს დაინიშნა, სხდომა სულ ორ საათს გაგრძელდა და მოსამართლემ სამუდამო პატიმრობა მომისაჯა. სასამართლოს ისტორიაში ალბათ არ არსებობს ასეთი შემთხვევა, რომ პროცესი ერთ დღეში დამთავრებულიყოს და ერთი ირიბი მოწმის ჩვენებით ადამიანისთვის უვადო პატიმრობა მიესაჯათ. ეს მოწმე ივანე მჭედლიშვილია, რომლისთვისაც თურმე მითქვამს, რომ სამი ადამიანი მოვკალი. ეს ის პიროვნებაა, ვინც დუშეთის პოლიციას ხსენებული მკვლელობის შესახებ შეატყობინა. ჩემი დუშეთიდან მცხეთაში გადაყვანის შემდეგ ეს ადამიანი დააკავეს, დაუწყეს ცემა, აიძულებდნენ ეთქვა, რომ მასთან ვაღიარე დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში გოგიტას გავათავისუფლებთ და შენ წახვალ „სროკზეო“. ექვსი დღე ჰყავდათ ივანე მჭედლიშვილი დაკავებული, რა დროსაც მიმდინარეობდა ცემა და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ბოლოს მან ველარ გაუძლო ასეთ ზეწოლას და ხელი დამადო, რომ თითქოს მასთან მიველი მკვლელობის ღამეს 23 საათიდან 24 საათამდე მონაკვეთში და სამი ადამიანის მკვლელობა „ვაღიარე“. სხვათა შორის, არსად არის დაფიქსირებული მისი დაკავება-გათავისუფლება, ფაქტობრივად, ეს ადამიანი ექვსი დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დატყვევებული. არც გამომძიებას და არც სასამართლოს არ დაუკითხავს ის ადამიანები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ხსენებულ პერიოდში ჟინვალში ვიყავი და ცოფიანი ძაღლი მოვკალი. ამის მოწმე ორი ხუთსართულიანი კორპუსის მცხოვრებნი არიან, მაგრამ მოსამართლემ მათი დაკითხვა საჭიროდ არ ჩათვალა. ჩემი სოფელი ჟინვალიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული და ამ ე.წ. მოწმის მიერ დასახელებულ პერიოდში მასთან მისვლას როგორ შევძლებდი? უამრავჯერ მივწერე სხვადასხვა უწყებებს, თავიდან პასუხის გაცემის ღირსადაც არ მთვლიდნენ. 2001 წელს ადვოკატი ავიყვანე, იგი უზენაეს სასამართლოში რომ მივიდა საქმის მასალების გამოსათხოვად, უთხრეს, ეს საქმე ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, პროკურატურას მიმართეთო, ამ უკანასკნელმა კი მოგვწერა, თქვენი საქმე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა და მისი აღდგენა მიმდინარეობსო, უკვე რამდენი წელი გავიდა და ჯერაც არ აღუდგენიათ. როდესაც საქმეზე დასაბუთებულად დავიწყეთ ჩივილი, ვფიქრობ, ამ საქმის გამომძიებელმა და პროკურორმა შეგნებულად მოიპარეს ჩემი საქმის მასალები უზენაესი სასამართლოდან და გაანადგურეს, რათა მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარიყო. დღემდე ვერ დადგინდა ვინ გააქრო ეს საქმე, მე კი არ მეძლევა საშუალება, რომ ჩემი უდანაშაულობა დავამტკიცო“.

სხვათა შორის, 2008 წელს, როდესაც გოგიტა მჭედლიშვილის საქმესთან დაკავშირებით სტატიას ვამზადებდი, დავუკავშირდი უზენაესი სასამართლოს პრესცენტრს, პრესცენტრის მაშინდელი ხელმძღვანელის განცხადებით, საქმის მასალები გენპროკურატურამ გაითხოვა და აღარ დაუბრუნებია. დავუკავშირდი გენპროკურატურის პრესსამსახურსაც და ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ მხოლოდ ის შევიტყვე, რომ საქმე მართლაც გამქრალია, რაც დამეთანხმეთ, მართლაც ბადებს საფუძვლიან ეჭვებს.

**გიორგი თევზაძე**: „სამწუხაროდ, არის ფაქტები, როდესაც პიროვნება მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, ყოველგვარი მტკიცებისა და დასაბუთების გარეშე იხდის სასჯელს. ასეთი ფაქტები ძალზე ბევრია და ამ კატეგორიის ადამიანები სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას, რომელიც შეისწავლიდა მათ საქმეებს. ეს ახალი ხელისუფლების დანაპირებიც იყო, მაგრამ ჯერჯერობით ცარიელ სიტყვებად რჩება, სხვა დაპირებებზე აღარაფერს ვამბობ. ერთადერთი, რაც ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა, ეს იყო ფართო მასშტაბიანი ამნისტია, მაგრამ ის რატომღაც არ შეეხო იმ ადამიანებს, რომლებიც დღესაც ითხოვენ მათი განაჩენების გადასინჯვას. პოლიტპატიმართა სია შედგა, რომელშიც რატომღაც არ მოხვდა ირაკლი დოკვაძე, ყველა ხელისუფლების პოლიტპატიმარი. პირდაპირ ვთქვათ, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდანაც არასწორი მიდგომებია. ზემოხსენებული კატეგორიის პატიმარია გოგიტა მჭედლიშვილიც, რომელიც, როგორც თვითონ მიუთითებს, ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით, ერთი ირიბი მოწმის ჩვენების საფუძველზე გასამართლდა. ჩვენ მის საქმეს სრულად არ ვიცნობთ, ამიტომაც მივმართავთ მთავარ პროკურატურას, რომ შეისწავლონ ეს საქმე, მითუმეტეს, რომ მათ მიმართა იუსტიციის მინისტრმა, პარლამენტარებმა, გამოყონ კომისია, დაავალონ შესაბამის სამსახურებს, რომ თუნდაც გამონაკლისის სახით იყოს შესწავლილი ეს საქმე. არ შეიძლება ადამიანი სასჯელს იხდიდეს ვიღაცის აკვიატების, ან ვიღაცის უსაფუძვლო ბრალდების გამო. ამისთვის არსებობს სამართლიანი სასამართლო. თუ ეს ადამიანი სიმართლეს ამბობს, მის მიმართ დარღვეულია ევროკონვენციის მე-6


გიორგი თევზაძე

მუხლი სამართლიანი სასამართლოს შესახებ, ის ამასთანავე მიუთითებს იმ არაადამიანური მოპყრობის, წამების შესახებ, რაც მის მიმართ ხორციელდებოდა, წინა ხელისუფლების, კერძოდ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ე.ი. დაირღვა ხსენებული კონვენციის მე-3 მუხლიც, რომლის შესრულებაც საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებაა. მჭედლიშვილის მიმართ უკანონობა მემკვიდრეობით მოდის, არც წინა ხელისუფლებას და როგორც ვხედავთ არც დღევანდელს არ მიუქცევია ყურადღება ამ ადამიანისთვის, რომელიც მხოლოდ მისი საქმის შესწავლას და სამართლიან სასამართლოს ითხოვს და ამ მოთხოვნით თვეზე მეტია შიმშილობს, მიიყენა თვითდაზიანებები. ვფიქრობ, ამ საკითხს აუცილებლად უნდა მიაქციოს საზოგადოებამ ყურადღება, პირველ რიგში კი ხელისუფლებამ. მოსახლეობამ წინსვლაზე, ცვლილებებზე გააკეთა არჩევანი და ამიტომ მისცა ხმა „ქართულ ოცნებას“. ვადასტურებ, რომ გარკვეული ცვლილებები მოხდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სისტემური ხასიათი აღარ აქვს ცემა-წამებას, არაადამიანურ მოპყრობას. პატიმრები ძირითადად რასაც აპროტესტებენ, ეს მათ მიმართ გამოტანილი განაჩენებია, პრეტენზია აქვთ უკანონო გასამართლებასთან, არაადექვატურ სასჯელებთან დაკავშირებით. ახალი ხელისუფლება მათ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას დაპირდა, რაც მათ პრობლემებს მოაგვარებდა, კომისიის შექმნის გაურკვეველი ვადით გადადება, ბუნებრივია, ამ ადამიანების, ვგულისხმობ პატიმრებს, რომლებიც თავს უკანონო მსჯავრდებულებად მიიჩნევენ, გაღიზიანებას და სამართლიან პროტესტს იწვევს“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24


აკაკი ჩხენკელი

14 gv.

ბული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ბრძოლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება შედგა და საქართველოს კანონიერმა მთავრობამ 17 მარტს საქართველოს ტერიტორია დატოვა.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ დასავლეთ ევროპამ საქართველოსათვის 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული იარაღი, ამუნიცია, სურსათი და ფულადი დახმარება დროულად ვერ გაიმეტა და უიარაღოდ დარჩენილი საქართველო, ჩრდილოეთის ვეშაპს ჩასაყლაპად მიუგდო. დოკუმენტური მასალით ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების „აღშფოთებამ“ ევროპული პრესის ფურცლებზე გრიგალივით გადაიქროლა. ამ შემთხვევაში, ევროპელმა ლიდერებმა ორპიროვანი იანუსისა და პოლიტიკური მეძავის მანტია შესანიშნავად მოირგეს.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაშინდელი და დღევანდელი ლიდერების უმეტესობას, აღნიშნული ტერმინი რომ სრულად მიესადაგება, ამის დამადასტურებლად, წარსულისა და დღევანდელობის ფონზე, შემდეგ ფაქტს შევახსენებ საზოგადოებას. მხედველობაში მაქვს 1920 წლის 16 დეკემბერი. ამ დღეს ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობამ (ინგლისმა და მისმა სატელიტმა ქვეყნებმა) საქართველოს პირველ რესპუბლიკას ერთა ლიგაში მიღებაზე უარი უთხრა. იმავდროულად, შესაბამისი პირობაც „დაადევნა“– საქართველოსთვის ერთა ლიგის კარები 1921 წლის შემოდგომაზე გააიღებოდა და იგი ამ ორგანიზაციის წევრი აუცილებლად გახდებოდა. ასეთი ქმედებით, ევროპის ქვეყნებმა საბჭოთა რუსეთს პირდაპირ მიანიშნა; თუ საქართველოსთან მიმართებაში რაიმე სახის პრეტენზიები გააჩნდა, 1921 წლის შემოდგომამდე მოეგვარებინა. ეს გამოწვევა, საბჭოთა რუსეთმა მიიღო და ევროპისგან უიარაღოდ მიტოვებული საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალში განახორციელა.

**— სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, თქვენ 1920 წლის ერთა ლიგის სესიასა და 2008 წლის 2-4 აპრილის ბუქარესტის სამიტს შორის პარალელებზე საუბრობდით. რა პარალელებია ეს?**

— საინტერესო ისაა, რომ ***ერთა ლიგის სესიის სხდომაზე და ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედებული ფაქტორები იდენტურია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთა ლიგაში არმიღების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი, მეზობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში მოსალოდნელი ტერიტორიული პრეტენზიები იყო; ბუქარესტის სამიტზე, საქართველოსთვის MAP-ის მიუცემლობა ისევ ტერიტორიულმა ფაქტორმა (კონფლიქტური რეგიონები: აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და რუსეთთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ წამოწევამ განაპირობა. მეორე ძირითადი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ 1920 წლის 16 დეკემბერს და 2008 წლის 2- 4 აპრილს, საქართველოს წარმომადგენლობებს შეპირდნენ: ერთა ლიგისა (1921 წელი) და ნატოს (2008 წელი) კარები საქართველოსათვის შემოდგომაზე გაიღებოდა.*** მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ინგლისის მაშინდელი ხელისუფლებისა და სატელიტი ქვეყნების ძალისხმევით, ერთა ლიგაში საქართველოს არმიღებით, საბჭოთა რუსეთს 1921 წლის შემოდგომამდე მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა. ხოლო იმავე ევროპის ნატოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურად გამეძავებულმა მაღალჩინოსნებმა, ბუქარესტის სამიტზე დამსწრე პუტინის თვალწინ, საქართველოსათვის **MAP**-ის მიუცემლობით და ჩვენი ქვეყნის დელეგაციის „გაშავებით,“ პუტინს აშკარად მიანიშნეს, რომ ევროპისათვის საქართველო მესამეხარისხოვან ქვეყანას წარმოადგენდა და ენერგორესურსებით, დასავლეთ ევროპის მარჩენალი რუსეთისადმი, განსაკუთრებულ დაპირისპირებას ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები არ მოახდენდნენ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

ქართველ იუნკერთა რაზმი



# ფხოვის საკრალურ დროთა მისტერია

## ქრისტეს დრო ფხოვის ხეობაში (წერილი XIII)



კობა არაბული

ფხოვის საკრალური დრო მოიცავს ქრისტეს დროსაც, რომელიც პირველივე საუკუნეებში ჩამოდგა აქ და, რასაც დიდი დემოგრაფიული და რელიგიური „აფეთქება“ ახლდა. მერე ეს „დრო“ თითქოს თანდათან მინელდა: და III ათასწლეულის დამდეგისთვის სრულიად გაუსახურდა (თითქოს გაქრა) —ეტყობა, ეს ასე იქნება უფლის ახალ შემოხედვამდე... ახლა კი აქედან ცოცხალი კაცნიც წავიდნენ, რომელნიც „ჯვართ აჯვარებენ და ჯართ აჯარებენ...“ რომელთაც რაღაც უხარიათ და რაღაც სტკივათ“... („ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ იცინის, ცოცხალ ტირის“ (ფოლკ.)).

მაინც რა მოხდა ფხოვის თემში, რა დრონი და მოვლენანი ჩადგნენ იქ, რა გაიგო საზოგადოებამ ამ ესეებიდან და რა მოისმინეს ჩემმა სტრიქონებმა ჩემგან: რა ინფორმაცია შემოვიდა საყმოს კარიდან. როგორ იდგა ჩემი გაუცხოვებული “მე” აყრილი თემის კარზე, როგორც ამანათი, და ისმენდა ანდრეზულ დროთა „მუსიკას,“ შეიძლება ითქვას - ტირილს, ანუ “გვრინების“ ხმას...

* * *

რაკი ანდრეზული ცოდნის “საიდუმლო კარავში” ვიხედებით – (“ღვთისკარზე მოკარვე კვირაეს“ საყმოში)... მინდა ყურადღება მივაქციოთ ხევსურთა იმ საკულტო-საკრალურ მისტერიას, როდესაც მიცვალებული, რომელსაც სულის ცხენი მიაცილებს შუბლზე დამაგრებული “ბორჯყალით“ (მზის ემბლემა), პირველად დედულეთში შედის, მისი პირველი “მგებბრნი” დედულნი არიან და ისინი ასწავებენ სულეთში “ცხოვრების” და ყოფა-ქცევის წესს. ფოლკლორიც გვეუბნება, რომ: “დისწული დედიძმათასა სკამს უკრძალავად დაჯდება”: ეს “უკრძალავი“ სკამი მას სულეთშიც ხვდება!...

თუკი ეს ასეა და, მართლაც, ანდრეზული სიბრძნე ყოველთვის შეიცავს დაფარულ საიდუმლოს: შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ანდრეზით ქრისტეს კვართი დედულეთში შემოდის...

ასევე, სვანური ლეგენდის მიხედვით, ქრისტემ უდაბნოში გამოცხადების წინარე პერიოდი სვანეთში დაჰყო: იქ არის მისი წყარო – სადაც წყალი დალია, და ბოლო “ნამუხლარი” ადგილი (ქვა) – საიდანც დაბრუნდა და...სადამდეც ვაზი ხარობს!..

ეს სვანური გადმოცემა და ხევსურთა ანდრეზი ერთი და იმავე ინფორმაციის შემცველია: ქრისტე სიკვდილის წინ დედულეთიდან გავიდა და ჯვარცმის მერე კვლავ დედულეთში ბრუნდება(!) ანუ მცხეთაში მოდის მისი კვართი.

ხოლო შემდგომ იბერია “ღვთიშობლის წილხვედრი”ქვეყანა ხდება!...

მანმადე კი გოლგოთის ზარი პირდაპირ რეკავს მცხეთაში: ქრისტეს ჯვარცმის და დროთა ფატალური ნგრევის განცდა პირდაპირ იბერიის დედაქალაქზე გადმოდის!.’:.

ბებერი ელიოზის დედა – ქრისტესთვის პირველივე სამსჭვალის დარტყმაზე კვდება!

სიდონია ქრისტეს კვართთან ერთად იმარხება! – ეს საკრალური მოვლენანი სულთა ნათესაურ კავშირზე მიუთითებს...

რასაც მე ამ წერილში ვაცხადებ, ეს ქრისტეს წარმომავლობის ანდრეზული (ჰიპოთეტური) ვერსიაა, ვწერ იმას, რასაც მითი მიგვანიშნებს, ხოლო რას და როგორ ხედავენ ისტორიის მკვლევარნი და ეთნოლოგნი ეს სხვა თემაა...

* * *

ერთ მომენტში სამყაროში დგება ადამიანთა მითოსური “გარინდების” და “გაუცხოვების” წამი, ისე ჩაგივლის დრო, როგორც მდინარე – არაფერი დაგრჩება, არც დაგამახსოვრდება...

ბუნებაში ხდება ისეთი რამ, რომ აცდები მეტად მნიშვნელოვან მოვლენას, ვერც შენ შეამჩნევ “მას“ და, ვერც “ის ” შეამჩნევს შენს არსებობას...უყურებ და— ვერ ხედავ! გიყურებენ და— ვერ გხედვენ!...

ასეთი რამ მოხდა ფხოვის ანდრეზთა (მითთა) სივრცეში: მკვლევარნი აცდენ მითთა სიცხადეს: მათი დანახვა და გაცნობიერება ვერ მოასწრეს!.. მითი მირაჟივით ჩნდება და ქრება, გეცხადება და გეკარგება: ფორმას იცვლის და სხვადასხვა დროს განსხვავებული სახით დგება დროში, როგორც ვირტუალური ჰოლოგრამა...



ჩვენ ვერ შევამჩნიეთ “ქაჯავეთს“ მეომარი “უხორცო გახუას“ შემოხედვა, ისე ჩავუარეთ მის “ასტრალურ სხეულს” — თაგვის გახვრეტილ ნიღაბს შავი ხვრელით— ქაჯავეთზე საომრად წასული სულის ანაბეჭდს!...ვერც წიგნი დავწერეთ მასზე და ვერც ფილმი გადავიღეთ...

ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მითიდან ჩვენს დროში ჩამომდგარი “გაბურთ ეშმაკის” ლანდი, – მაგრამ სამწუხაროდ მან შეგვამჩნია ჩვენ და “მწარედ გაგვილიმა“...



თუ რამდენად ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია დროიდან ამოვარდნილი, “პარასკევ დაკარგული” თემის ფილოსოფია ჩვენს “დიფუზიურ” დროში, ანდაც “ცალთვალა გუგულის” პარადიგმული პორტრეტი, რომელსაც თვალი “ხოგაის მინდიამ გამოსთხარა” – ჯერ კიდევ ჩვენი ცნობიერების გარეთ რჩებ!

თუმცა ჩვენთვის ისიც უცნობია, თუ როდის და როგორ ჩამოდგა ქრისტეს დრო ფხოვის ხეობაში...

* * *

მაინც ვინ არის ეს გუგული, ან ხოგაის მინი გუგულს თვალი რომ ამოსთხარა? — გუგული მზის ფრინველია, — სულეთიდან დაბრუნებული მზის ჰიპოსტასი, განახლებული მზის განმასახიერებელი, რომელსაც გაზაფხული მოჰყავს, მისი ლამაზი კაბაც წითელი მზის კოპლებით არის შემკული, რომელი თბილი ნეშოდან გაზაფხულზე ამოჰყავს მზეს,—ასეთია ამ მოვლენის არსი, ძველ აღმოსავლურ-ქალდეურ კოლხურ-იბერიული ხედვა;

“შენ ჯურღმულიდან გამოხვალ მზეო, ვითარცა გუგული ოქროსი“(კალევალა 49-რუნი“) და ა.შ.

ხოგაის მინდი უძველეს “მზეთა სამყაროდან“ გადმოსული მოძღვარია ქრისტეს დროში(მცნებათა ცვლის პროცესში), იგი ხორცს არ მიირთმევს-ნადირს არ კლავს, არც ხეს ჭრის, მაგრამ სვამს რძეს, ანუ “მზის ცვარს“—ეს მისი რწმენის “მზის წილია“! იგი მზის შვილია და საკრალური დროის შუა გულში (“სოლარულ წრეში“) დგას, როგორც მედიუმი... თუმცა მას გუგული მწარედ საყვედურობს: “რას მერჩოდი თვალი რომ გამომთხარე, მე ხომ გაზაფხული მომყავდა თქვენთვის?!“-ო□

მართლაც “რას ერჩოდა“ გუგულს ხოგაის მინდი?..

როგორც ვთქვით, გუგული მზის სიმბოლოა და მინდიმ “თვალი“ დაუზიანა მზეს, ანუ გადაიხარა რწმენა-წარმოდგენათა სხვა განზომილებისკენ... შემდგომ, მოვლენათა გრადაციაში მინდი სულიერ წონასწორობას კარგავს, მერყეობს და იღუპება...

აქედან ჩანს, რომ ხოგაის მინდია და თემი-სადაც ის ცხოვრობს, რთული მეტამორფოზის და კათარზისის გზას გადის ქრისტეს დროში: მიმდინარეობს “ფხოვურ მზეთა“ შერწყმის პროცესი ქრისტეს სულის ღვთაებრივ ნათებასთან... აამ ტიპის მოვლენათა და რელიგიათა ცვლის მოზაიკური სურათი შრეებად ლაგდება ფხოვის ანდრეზულ დროში, მითების სახით, რაც საგანგებო კვლევას ითხოვს...

* * *

აქვე უნდა ვთქვა, რომ ვაჟა-ფშაველაც ანდრეზულ დროში მდგარი მედიუმია, იგი უძველესი საკრალური ცნობიერებიდან შემოსულია ქრისტეს დროში და ისიც გადის იმ მეტამორფოზის დრამატულ გზას, რასაც თემი და მისი ყველა პერსონაჟი ერთად და ცალცალკე...ვაჟა ორივე დროში დგას-ქრისტემდელში და ქრისტეს შემდგომში, მისი ხედვა სმყაროს ერთიანი მისტერიაა, გაუმიჯნავი და გამთლიანებული ანდრეზული დროით.

შეიძლება ითქვას, რომ გველის-მჭამელი თავად ვაჟას პროტოტპია, ვაჟა თვითონ არის გველისმჭამელი და მისი ფატალური ბედისწერის მონაწილე...

ჩემი სურვილია, თუ ღმერთი შემაძლებინებს, დავხატო დროთა მითოლოგიურ ტიხარში მდგარი ფშაველი მოგვის პორტრეტი, რომელმაც პოეზიის მზეთა უანდრეზო ნათება მოუვლინა ქვეყანას, და შეხსნა „რამექნას“ ციხის “ კარი.

. . . . . . . . . . . . .

ხოგაის მიდი გველის სისხლთან ზიარებით იღებს სიბრძნეს,-ეს სულ სხვა კოდირებული ენერგიაა; ვაჟა ქრისტეს ეპოქის შვილია,“ბიბლიამდელი ბიბლიელი“ და “ქრისტემდელი ქრისტიანეთა“ გადმონაშთი და თავადაც გარკვეული “კათარზისის“ გზას გადის,-ეს დრამა მის შემოქმედებას გასდევს, როგორც სოფლმხედველობათა კოლიზია და კონფლიქტი, მაგალითად:

ალუდა ქეთელაური და თემი...

ჯოყოლა და თემი...

ხელის მოჭრა-არმოჭრა...

მცნებათა შეცვლა-არ შეცვლა...

გაურჯულებელის გარჯულება...

აგრეთვე: ქრისტიანულის და ქრისტემდელის სინკრეტიზაცია — (“სიკვდილი თვითონ უფალსა...“ ან - “სხვას რომ კვლენ ცქერა გვწადია!?“ და ა.შ.)

ვაჟა მზის და მთვარის მისტერიებს ალასულებს თავისი პოეზიით, იგი მნათობთა

ბრდღვიალა "ბურთებით ბურთაობს" კარატის, ლაშარის, ბორბალოს მწვერვალებზე, ვითარცა ხვთიშვილნი "ბურბულეთის მთაზე!!!"–აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ: ვაჟა ფხოვის იმ საკრალურ სივრცეში შემოვიდა, როგორც მითოსური გამოცხადება, სადაც, ქრისტეს დრომ მოვლენებს და ფოლკლორს, რიტუალებს თუ რჯულის ნორმებს განაცდევინა გარკვეული ცვლა, პაგანიზაცია და კათარზისი, აღმოაცენა სხვა თვისებანი.

***

ქრისტეს დროში ყალიბდება საღვთო მეომართა კასტა, მათი მორალი, როდესაც მეომარი–"კაცს მოჰკლავს ხელსა არ მოსჭრის ხევსურის წესი არ არსა!" (მტრისთვის ხელის მოკვეთის ნორმა, თემმა დაუშვა ხაზარულ- ისლამური ბარბაროსების წინააღმდეგ, რომლებიც სხეულის სხვადასხვა ნაწილებს აჭრიდენ ადამიანს(და მიირთმევდენ კიდეც).

მოკლულისთვის სახეში ჩაშტერება მკვლელის მიერ, იკრძალება და ისჯება- "ჯურუმით";

ფხოველთა რჯული არბილებს კაცის სიკვდილით დასჯის ადათს– ცვლის "მოკვეთით", ანუ თემიდან განდევნით, ხოლო უფრო უწინარეს დროში, თემი უშვებს დამნაშავის დასჯის არაორდინალურ ფსიქოლოგიურ წესს: დასასჯელის მზეზე დაყენება, მისი ჩრდილისთვის ისრის, ან თოფის დაკვრა: "მკვდარი ხარ, მკვდარი ხარო!"–ამ ფრაზის სამჯერ თქმა, ანუ "დასამება" და ცოცხლად გაშვება!...

ეს, ქრისტეს დროშ "გაჩენილი"სათემო სამართლის ნორმა შუმერულ-ქალდეური ცოდნის ნაწილი უნდა იყოს (იხ. ,,კრამერი).

"დასამება"!!!–მტრისთვის და ეშმაკისთვის, დევისთვის, მაძახურასთვის, მზემომსწვრალი მიწრიელისვის (ჯვრით, სიტყვით, თუ მახვილით ბრძოლის) წმიდა სამების ქრისტიანული ელემენტია.

ხოგაის მინდის დაბადებისას ცაზე "ორი მზე" დგება, ესენი მისი საწუთროს და სულეთის მზეებია: ერთი უფლის თვალით უნათებს სიცოცხლის დროს, მეორე სულეთში მიჰყვება...

როცა მინდის ქაჯავეთიდან გამოყოლილი, ქაჯის ქალის ხელით "წალმაუკუღმა ნაქსოვი" სამოსელი აცვია და უხილავს ხდის, ეს ინფორმაცია უძველესი ცოდნის ნაწილია... ხოლო, როდესაც ბერდიათ გაგას არხოტის სალოცავი, ან ხირჩლა ბაბურაულს "სალმთო გუდანის ჯვარი" ,,ნისლის კოტორს" გამოაყოლებს და "საფარველს ადებს", ანუ მტრისთვის უხილავს ხდის — ეს ქრისტეს დროის მოვლენაა.

ცროლის სანება ხევსურეთზე მოსული მტრის ლაშქარს, თეთრ ცხენოსანი მხედარის იერიშით ანადგურებს, (როგორც"ბახტრიონში"), ესეც ქრისტეს დროის ანარეკლია.

მოხიბლულის განხიბვლა, ავადმყოფის განკურნების რიტუალი დღესაც აღესრულება კარატის ჯვარის მედროშეთა მიერ, ავადმყოფის სორალურ წრეში მოქცევით და დაკოჭვით — ეს მზის რიტუალია.

ხარის სისხლით ქვებზე ჯვარის გამოსახვა და ჯვარში მიბარებული ყრმის გაწმიდება, უძველესი რიტუალის ნაწილია — შემონახული გუდანის ჯვარისა და ფშავ-ხევსურთა თემის სხვა ქრისტიანულ სალოცავებში და ა.შ...

* * *

მითებმა ჩაიარეს და ერთ მომენტში "საფარველი დაიდეს". ადამიანთა რამდენიმე თაობისთვის სრულიად შეუცნობნი გახდნენ (გაუცხოვდნენ) და გადაიხვეწნენ რომელსამე დრომდე– "მეორ მოსვლამდე", თუ ზოგადად "ყვავთ აღვსებამდე"... ჩვენ ჩამოგვიდგა "უჟამო ჟამი," ანუ საკუთარი თავის და მოვლენათა ვერ შეცნობის მწარე დრო.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ შესაძლოა კვლავ ბრუნდება მითთა "მირაჟული გამოცხადების" ჟამი – იხსნება "რა მექნას ციხის" საიდუმლო კარი რომელიმე თაობისთვის და, შესაძლოა ჩვენთვისაც...

შესაძლოა ჩამოიაროს მდინარემ, რომელსაც "ღიჭი ჩამოაქვს" — "მზის სხივთა ყვავილოვანი გვირგვინი" – ანუ იღბალი და საიდუმლო ცოდნა, ჩვენ უნდა შევიცნოთ იგი და შევიდეთ ამ მდინარეში!

ჩვენ უნდა დავდგეთ სინათლის "სოლარულ წრეში", როგორც ანდრეზული დროის მედიუმნი და დავინახოთ სამყარო "უფლის თვალით", ჯვრით და მზის ბორჯღალით(!!!) როგორც ქრისტეს პირველი შემოსვლის ჟამს იყო.

აგრეთვე, ფხოვის საკრალურ დროში დგას მელექსეთა და მეომართა კასტა: რომლებიც თვითონ ქმნიან და ავსებენ ამ დროს, მაგრამ როცა დრო ჩერდება და მხოლოდ მოლოდინი რჩება, მათი მოქმედებაც ჩერდება... რაზედაც ცალკე მექნება საუბარი.



***

რაკი სიტყვა უფლისაა და თვით სიტყვაა უფალი: როგორც ითქვა, ერთ მომენტში ფხოვის ანდრეზულ დროთა სივრცეში "ქრისტეს სიტყვა" დგება, ანუ ქადაგის ენით– აქ "ჩამოდის "ჰაო-ხოხი" (ანი და ჰოე!?) და ღვთის კარზე "კარავს იდგამს!.". ამ ქარაგმული სახელით ქადაგი საფარველს ადებს ქრისტეს ქარიზმულ სახეს (...) და, ეტყობა, ამას თავისი მიზეზი აქვს, რაც ასევე ცალკე ანალიზის თემაა.

**(გაგრძელება იქნება)**

# ხელები შორს თავისუფალი პრესისაგან!

აღშფოთებით შევიტყვეთ, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმის მიერ ნაშობმა ,,ბიზნესმენმა", ვინმე მამუკა ხაზარაძემ, არც მეტი არც ნაკლები, ქართული თავისუფალი პრესის ერთადერთ ფლაგმანს, გაზეთ ,,ასავალ–დასავალის" წინააღმდეგ დღევანდელ მაფიოზურ–ოლიგარქიული გაბატონებული კლანის დაკვეთით სარჩელი შეიტანა. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალება, ანუ არ არსებობს თავისუფალი პრესა, არაფერს ვამბობთ სამარცხვინო ელექტრონულ მედიაზე, და როდესაც ჩვენს დაბეჩავებულსა და დამცირებულ ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთებისა და მართალი და პატიოსანი სიტყვისათვის სრულიად დაიხშო კარი და ე.წ. მასმედია ფაქტობრივად ბხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში არსბეულ რეჟიმებს ემსახურება, ასეთ სიტუაციაში, სულ რამოდენიმე გაზეთია დარჩენილი, რომელიც არ ზღუდავს ეროვნული და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პრობლემატიკის გაშუქებას საკუთარი პრესის ფურცლებზე, რომელთა შორის ძირითადია გაზეთი ,,ასავალ–დასავალი", უფრო მეტიც, გამოირჩევა საინტერესო და მრავალფეროვანი პუბლიკაციებით და არაორდინარულია ქართულ მედია სივრცეში, იგი არ ჯდება შაბლონურ გაბატონებულ მაფიოზურ ჩარჩოებში.






ჩვენს კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს არის შეგნებული ბრძოლა გაზეთის წინააღმდეგ და ეს არაერთხელ გამოუცხადებია სააკაშვილის მამათმავლურ–სადისტური რეჟიმის წარმომადგენლებს და წითელ ინტელიგენციას, და ე.წ ლიბერალ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს. არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის, რომ ჩვენს დამცრობილ სამშობლოში არ არსებობს სამართლიანი მართლმსაჯულება და არც სასამართლო ხელისუფლება; როდესაც ქვეყნის დამაქცევრები, დაწყებული ედ. შევარდნაძით, დამთავრებული სააკაშვილის სადისტური რეჟიმით, რომლებიც არათუ წარსდგნენ მართლმასაჯულების წინაშე, არამედ პირიქით, სწორედ ისინი გვევლინებიან ე.წ. სასამრთლო ხელისუფლების შემქმნელებად, რომელთაც ყველა ბერკეტი შექმნეს ქვეყანაში სამართლიანობის აღმოსაფხვრელად. ცინიზამია ისიც, რომ საქართველოში გაბატონებული მაფიური კლანის ანუ ,,ბიზნესმენთა" კასტის ერთერთი მნიშვნელოვანი ,,კოლორიტული" სუბიექტის გალაშქრება თავისუფალი პრესის წინააღმდეგ, ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს სამართლებრივ–მორალური ზნეობრივი საფუძველი და რომ ეს ეროვნული სულის კრიზისია, და რომ ეს ყველაფერი მართალი სიტყვის საბოლოოდ აღმოფხვრის საწინდარია.

ჩვენ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს მიგვაჩნია, რომ 1989 წლის 18 თებერვალს, ე.წ. გპი-ს წინ, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით გამართული საპროტესტო აქცია, რომელიც სასტიკად იქნა დარბეული მაშინდელი სუკ–ის, მილიციის და ,,გპი"-ში მოკალათებული ახალგაზრდა კომკავშირლების მიერ. ეს იყო ჯალათ პატიაშვილის მეთაურობით ჩატარებული მიკრო – 9 აპრილის წინარე, მოსამზადებელი, სადისტური ოპერაცია, რომელიც საუბედუროდ 9 აპრილის გაუგონარი ტრაგედიით დამთავრდა.

უნდა ასევე აღინიშნოს, რომ მაშინდელი ეროვნულ– გამათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტაციის წარმომადგენლებმა კარგად უწყიან, თუ ვინ მონაწილეობდა ამ მხეცურ დარბევაში და არსებობს ვიდეო-ფოტო მასალაც, რომელიც გამოამზეურებს და ამხელს ხაზარაძეებისა და სხვა კომკავშირლების ბოროტმოქმედებას.

აქვე დავძენთ, რომ 1991–92–93 წწ-ში, ერის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის – სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს წინააღმდეგ , საქართველოს რესპუბლიკა გამოსულია სამართლებრივი სივრციდან და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ამ საზარელი დანაშაულის ორგანიზატორები, პუტჩის ძირითადი შემსრულებლები არ წარმდგარან სამართლიანი დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. ჩვენს სამშობლოში სახეზეა ოცდასამწლიანი სამართლებრივი ვანდალიზმი და ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე საქართველოში არ აღსდგება კონსტიტუციური სამართლიანი, კანონიერი ხელისუფლება და ქვეყანაში სამართალი არ იზეიმებს. აი, ასეთ მძიმე ფონზე, როდესაც ბოროტების ზეობაა ჩვენს ქვეყანაში, მიმდინარეობს გაზეთ ,,ასავალ–დასავალის" წინააღმდეგ ,,სამართლებრივი"დევნა.

საგანგებოდ ავღნიშნავთ ,,ასავალ-დასავალის" აქტუალობას ჩვენი ტრადიციებისა და ზნეობრიობის სფეროში. მიუხედავად შავ-ბნელი ძალების შეტევისა ჩვენი ტრადიციებისა და ქრისტიანული ღირებულებების წინააღმდეგ, თამამდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გაზეთი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამხელს ამ ძალების შეტევას და ილაშქრებს სოდომ-გომორული ცოდვებისა და მათი მათი შემსრულებლების წინააღმდეგ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ანტიქრისტიანული ძალები ერთობლივად ებრძვიან სიმართლის გაჟღერებას ,,ასავალ-დასავალის" ფურცლებზე და ეს ფაქტი ჩვენს კომიტეტს, ქართველი ერის წინააღმდეგ გაჩაღებულ გეგმაზომიერ ბრძოლის ფორმად მიაჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებს აღნიშნული გაზეთის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის ფაქტის გამო და სრულ სოლიდარობას უცხადებს მას. ამასთანავე, ქართველ ერთან ერთად მოითხოვს აღსდგეს კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობა და სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ედუარდ შევარდნაძე, პუჩისტური რეჟიმის მსახურნი – მ. სააკაშვილი და მისი სადისტური რეჟიმის ყველა წარმომადგენელი და ყველა ის მაფიოზურ–,,ბიზნესმენური" კლანები, რომელთაც გაძარცვეს და დღესაც ძარცვავენ საქართველოს მოსახლეობას, მის ეკონომიკას და ერის ხელშეუხებელ, ფიზიკურ და სულიერ საგანძურს.

მოგიწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, ხმა აღიმაღლოს არნახული უსამართლობის წინააღმდეგ, რათა დავიცვათ თითოეული ქრთველი კაცის ღირსება და ამ შემთხვევაში გაზეთი ,,ასავალ-დასავალი", თავისი მამხილებელი პუბლიკაციებით და მთლიანად მისი რეპუტაცია.

**P.S. მივმართავთ საქართველოს მედიის წარმომადგენლებს, რათა გაითვალისწინონ ამ გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებული აღნიშნული არასამართლებრივი ქმედებების შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში დომინოს პრინციპის თანახმად, უკლებლივ ყველა სიმართლისმოყვარული გაზეთი, იგივე ბედს გაიზიარებს.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო:**

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი) – კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ბესო (ბესარიონ) მიქავა – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;**

**მღვდელი – მამა ილარიონი (ჯანელიძე);**

**ნანა კახიანი – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის პრეს–მდივანი;**

**გოჩა ხარებავა – ჟურნალისტი;**

**ზურაბ ქობალია – ჟურნალისტი;**

**გრიგოლ ბოგვერაძე – მოძრაობა ,,ძლევაი საკვირველის" დამფუძნებელი;**

**თბილისი, 5 ივლისი, 2014,სიმართლისათვის შეწირული ჟურნალისტის ნაზი შამანაურის დაბადების დღე.**

# „ოკუპაციის მუზეუმი“ — არშემდგარი სახელმწიფოს ატრიბუტი, ანუ გებელსარიუმი „ნაც-ანალურად“

ნაპრეზიდენტალ სააკაშვილის „პირმშოს“ — „ოკუპაციის მუზეუმის“ დათვალიერების უფლებას ხუთ ლარად ვიძენ და ეროვნული მუზეუმის მეოთხე სართულზე ავდივარ.

ესეც „საბჭოთა ოკუპაციის“ მუზეუმი! როდესაც კონკრეტულ ისტორიის მონაკვეთს ასეთ პატივს დადებ, ანუ შექმნი მუზეუმს მუზეუმში, მისმა ექსპონატებმა დამთვალიერებელს თმები ყალყზე უნდა დაუყენოს, რა თქმა უნდა, თუ იგი მელოტი არაა. საინტერესოა, დამიდგება თმები ყალყზე თუ არა? — ვეკითხები საკუთარ თავს და ერთგვარი მოწიწებით ვაბიჯებ მუზეუმის ზღურბლს. აღმოვჩნდი შედარებით მცირე მოცულობის დარბაზში. ხელმარცხნივ დაცხრილული ვაგონია. მსმენია ეს ამბავი, 1924 წლის აჯანყების შემდეგ, სამტრედიასთან ასეთ ვაგონში ბოლშევიკებმა გამოამწყვდიეს მეამბოხეთა ჯგუფი და ტყვიამფრქვევი დაუშინეს... მასზე მიმაგრებული წარწერა მამცნობს, რომ ეს ზუსტად ის სასწაულებრივად გადარჩენილი ვაგონია, რომელშიც ბოლშევიკი ჯალათები ხოცავდნენ აჯანყებულებსო. ამ ფაქტს მე ვერ ვუარყოფ, მაგრამ ექსპონატის ორიგინალობაში ეჭვი მეპარება. ტყვიამფრქვევის ჯერი ვაგონის თხელ ხის კედელს ნაფოტებად აქცევდა, ამაში კი მხოლოდ ნახვრეტებია. გვერდით კედელზე თვალი მოვკარი ეკრანს, რომელზეც კრემლის პალატებში მოსიარულე პუტინსა და მედვედევს „ვაფიქსირებ“. მათ ცვლიან შვეულმფრენები, ტანკები, გორის დაბომბვის კადრები, ომის საშინელებები და ა. შ. მუზეუმის ამ კუთხეს „დესარტად“ დავიტოვებ.

„ოკუპაციის მუზეუმის“ დიდი ძირითადი დარბაზი იდუმალ ბინდბუნდშია „გახვეული“. შთაბეჭდილებას ამძიმებს ზედა განათება, რომელსაც საექსპოზიციო სტენდები და ექსპონატები თითქოს ისტორიის ჯურღმულიდან გამოჰყავს სინათლეზე. დახვეწილი კომპოზიციისთვის რაღაც აკლია. ნეტავ, რა? ყვავილებში ჩაფლული პოზუმენტებიანი კუბო ჩეკისტის ქურთუკში გამოწყობილი მიცვალებულით?

წითელ, საკმაოდ ფართო, ვარდისფრამდე გახუნებულ ფიანდაზს მივყავარ მასიური მაგიდისკენ, დახუნძლულს „ადამისდროინდელი“ შავი ტელეფონით, მარმარილოს დაფით, სამელნით, საწერი კალმებით, მასიური მელნის საშრობით და ტრადიციული ღამის ლამფით, შხამიანი სოკოს ფერის აბაჟურით. ფიანდაზის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოკიდებულია ერთმანეთის შემყურე სამ-სამი რკინის კარი პატარა სათვალთვალო სარკმლით. ამ კომპოზიციის შემქმნელის ჩანაფიქრში, სახაზინო მუხის მაგიდამ თავისი განუყრელი ატრიბუტებით, ალბათ, ყოვლისშემძლე ლავრენტი პავლოვიჩის ან შინსახკომის უფრო პატარა გასაქანის მოხელის კაბინეტის ასოციაცია უნდა გამოიწვიოს. დანაშაულის ჩასადენად აქ ყველაფერი მზადაა. დარჩენილია: „ხალხის მტრის“ დაკითხვაზე შეყვანა, უმოწყალო ცემა, შამფურის ყურში გაყრა, დახვრეტა და, ბოლოს, სიკვდილმისჯილის ოჯახში ქვითრის გაგზავნა მოთხოვნით, რომ სახელმწიფოს აუნაზღაუროს ვაზნის საფასური!..

„ოკუპაციის მუზეუმში“ სამოცდაათწლიანი კომუნისტური პერიოდი მკვეთრად დაყოფილია. თითოეული პერიოდის სტენდთან პატარა მონიტორია, რომელზეც კინოქრონიკის კადრებს ატრიალებენ. აგერ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია აღლუმზე. ყველაფერი ევროპულ დონეზეა, გაუთავებელი ძვირადღირებული აღლუმებისა, ბანკეტებისა და მეჯლისების ჩათვლით. დაკვირვებული დამთვალიერებელი უნებლიეთ გაავლებს პარალელს „მენშევიკ“ ჟორდანიასა და „ნაციონალ“ სააკაშვილს შორის. ორივეს ქვეყანა თავზე ენგრეოდა, ისინი კი ტაშფანდურით იყვნენ დაკავებულნი! ორივე ევროპისკენ მიისწრაფვოდა, ევროპელობას იფიცებოდა, მაგრამ, ევროპელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. ორივენი „დასავლელმა პარტნიორებმა“ თხებივით გაყიდეს: პირველი — 1921 წლის 25 თებერვალს, მეორე — 2008 წლის აგვისტოში... ევროპული ღალატის სცენარი საოცარი სიზუსტით მეორდება, ანუ „დასავლურ კუზს“ სამარე თუ გამოასწორებსო...

37-ის მოვლენები ფართოდაა წარმოდგენილი, ძირითადად, რეპრესირებულთა სურათებით, მათ შორის, რეჟისორ სანდრო ახმეტელის და მხატვარ დიმიტრი შევარდნაძისა. გამოყოფილია, აგრეთვე, სტალინის სიკვდილის შემდგომი პერიოდი.

რაც უფრო და უფრო მეტ დროს ვარ აქ, სულ უფრო და უფრო მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს მუზეუმი კი არა, მოძრავი გამოფენაა ძალზე სუსტი თემატიკით და ექსპოზიციით. სულ ცოტა, აქ არაფერია ისეთი, რაც არ მსმენია. მოკლედ, თმები ყალყზე არ მიდგება!

ისე, რა მაკვირვებს? ჩვენთან პროფესიონალიზმს „ნაციონალებმა“ დაუნდობელი ომი გამოუცხადეს უკლებლივ ყველა სფეროში. სამუზეუმო საქმეც არაა გამონაკლისი. მართლაც, რაში სჭირდებათ სოროსის მოჯამაგირეებს პროფესიონალი ისტორიკოსის მომსახურება? მათთვის ისტორიაში ხომ „ყველაფერი გასაგებია“! რა უნდა მოსთხოვოს ომათ, ვინც საქართველოს ყოფს „ნაციონალებად“ და „ჩარეცხილებად“, ვინც მარტო შავ-თეთრ ფერებში აღიქვამს წარსულს, ვინც დღეს ხალხებს ყოფს „ოკუპანტებად“ და „ოკუპირებილად“ და ამგვარი პროვოკაციებით შუღლს, მტრობას თესავს ორ მართლმადიდებელ ერს შორის!

მართლაც, რა საჭიროა „ოკუპაციის მუზეუმები“? რა დანიშნულება აქვთ მათ? მაგალითად, ინგლისელები რატომ არ „უძღვნიან“ მუზეუმს ნორმანელ დამპყრობლებს? ან ფრანგები — ინგლისელ ან გერმანელ ოკუპანტებს? თავის მხრივ, გერმანელები მუზეუმების გახსნით რატომ არ „ახარებენ“ შვედ, დანიელ და სხვა მოძალადეებს?

ან „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის“ სულისჩამდგმელს — სააკაშვილს, რატომ არ მოუვიდა იდეა ტვინგამოცლილ თავისქალაში, როცა ბათუმს „ალამაზებდა“, შეექმნა „თურქების მიერ აჭარის სამასწლიანი ოკუპაციის მუზეუმი“? რამ ან ვინ შეუშალა ხელი? მისი წლოვანების თურქმა მამინაცვალმა?

სერიოზული სახელმწიფოები ამგვარ მუზეუმებს არ ქმნიან, რადგან ეს მეზობლის გაღიზიანებას, მტრობას გამოიწვევს! გინდა-არგინდა, მეზობელს პატივი უნდა სცე და, თუ იყო მისი მხრიდან ძალადობა, აპატიე, მაგრამ მისი ჩადენილი არ დაივიწყო. ასე მოგვიწოდებს ჩვენი სულიერი მამა — პატრიარქი.

ამგვარი „დაწესებულებების“ შექმნა მხოლოდ არშემდგარი სახელმწიფოების ხვედრია, რომლებსაც საერთაშორისო ასპარეზზე არავითარი წონა, ავტორიტეტი და ღირსება არ გააჩნია!

მაგრამ, გაოცება წინ მელოდა, როცა რკინის კიბით დარბაზის მეორე სართულზე ავედი. აქ 20-30 წლების საარქივო დოკუმენტებია გამოფენილი. მათში ერთ-ერთი ხელმომწერი ლავრენტი ბერიაა. ეს საბუთი დათარიღებულია 1924 წლის 6 სექტემბრით და დაგზავნილია აჭარის, აფხაზეთის და ა. შ. შინსახკომებში. საქართველოს შინსახკომი წინადადებას იძლევა, ჩატარდეს აჯანყების მონაწილეთა ფილტრაცია. კერძოდ: „პირველი, ორი დღის ვადაში გათავისუფლდნენ გლეხები — აჯანყების რიგითი მონაწილეები, პატიმრობაში დატოვეთ აჯანყებულთა ჯგუფების ხელმძღვანელები და მეთაურები; მეორე, გათავისუფლდეს ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც არ მონაწილეობდა გამოსვლებში და შემჩნეული არაა აგიტაციაში და ისინი. ვისზეც არაა ბრალეულობის მასალები... მეოთხე, ყველა თავადი და აზნაური, რომლებიც არ გახლავან მავნეები და ვის წინააღმდეგ არაა ბრალეულობის მასალები — გათავისუფლდნენ... და მერვე, დახვრეტილთა, ასევე გაქცეულ აქტიურ მონაწილეთა ქონება ექვემდებარება კონფისკაციას, იმათი გამონაკლისით, ვისაც ოჯახები დარჩათ“.

დაუჯერებელია! „პირსისხლიანი ბოლშევიკები“, როგორც მათ დღევანდელი „ლიბერალური ინტელიგენცია“ უწოდებს, თავისი დახვრეტილი მტრების ოჯახებზე ზრუნავდნენ! თუ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია, მაშ, შევადაროთ ბოლშევიკები და „ნაციონალები“. რას ვხედავთ? ერთის მხრივ, ბოლშევიკები თავიანთი პოლიტიკური მტრების ოჯახებს ინდობენ, ხოლო „ნაციონალები“, როცა „ფული მოშივდებოდათ“, მომხრეებსაც ოჯახიანად აწიოკებდნენ. ამის მაგალითი უამრავია!.. და კიდევ, ერთი საინტერესო დეტალი: თუ არქივიდან ამოღებული საიდუმლო საბუთებიც ბოლშევიკების ხელისუფლებას წარმოგვიდგენდნენ საკმაოდ ლმობიერ ხელისუფლებად, საინტერესოა, როგორც გამოჩნდება „ნაცპარტია“ და მისი მეთაური, როცა მზის შუქს იხილავს მათი ყველა „საქმენი საგმირონი“. „ნაცხროვის“ სამაგალითოდ დასჯისთვის ის კადრიცაა საკმარისი, რომელშიც ერთი უწიგნური ახალციხელი გორსალა მოითხოვს „ორ გვამს“!..

მოგახსენებთ, ისტორიაში არ გამიგია სხვა მაგალითი, როდესაც ოკუპირებულ სახელმწიფოში იქმნება ფუნდამენტური სამეცნიერო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, კვლევითი ინსტიტუტები; ადრე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ხდება განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულად. აყვავებულია ხელოვნება: მუსიკა, კინემატოგრაფი, თეატრი! „საბჭოთა ოკუპაციის“ ხანაში თბილისში შენდება მეტრო, რომელიც ბევრ მრავალმილიონიან დედაქალაქს დღემდე მხოლოდ ესიზმრება! აგრეთვე, სანაპირო, საცხოვრებელი მასივები თავისი უფასოდ გადაცემული ბინებით! არაა კაპიტალიზმის განუკურნებელი საშინელი სენი — უმუშევრობა; ადამიანი არ იქექება ნაგვის ბუნკერში!

„ოკუპაციის“ დროინდელი მიღწევების სია შემიძლია გავაგრძელო, მაგრამ, ესეც საკმარისია! აბა, რით შეუძლია იტრაბახოს აწ უკვე ხელისუფლებას ჩამოშორებულმა „ნაცმოძრაობამ“? განათლების მოშლით, სამეცნიერო სკოლების მოსპობით, კვლევითი ინსტიტუტების დახურვით, ინდუსტრიის განადგურებით, უმუშევრობით, უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტით, ზნეობის დაცემით, უცხოელ „ბიზნესმენთა“ და მათი ადგილობრივ მფარველთა თარეშით, საქართველოს მოსახლეობის სოციალური ჩაგვრით, 2008 წლის სისხლიანი ავანტიურით, ბათუმის თურქულ ბორდელად და ტრეფიკინგის ცენტრად გადაქცევით, მათხოვრობით, საქართველოს მიწების უცხოტომელთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემით, ძვირადღირებული მშენებლობით, თანაც უხარისხოდ აშენებული და ისიც დთითზე ჩამოსათვლელით; უაზრო ქანდაკებებით; შემდეგ, გზებით, რომელთაც ექსპლუატაციაში ჩაბარებიდან მალევე კაპიტალური რემონტი ესაჭიროება! ყოვლად გაურკვეველია, ასევე, რატომ გააუქმეს „ნაცანალებმა“ სანეპიდსაგური!.. ამ სიის გაგრძელებაც შეიძლება, მაგრამ კმარა.

დიდი დარბაზიდან ვბრუნდები „დესერტზე“ დატოვებულ მცირე დარბაზში. ისევ ვუმზერ კედელს, კადრები ერთიმეორეს ცვლის: კრემლის პალატები, პუტინი, მედვედევი, ვერტმფრენები, გორის დაბომბვა, სისხლი... საზარელი კადრები მთავრდება სენატორ ჯონ მაკკეინის არანაკლებ საზარელი (თავისი ფარისევლობით) სიტყვებით: დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართო. ვისზეა ეს გათვლილი? ვის აუჩუყებს გულს? ვის წასკდება მადლიერების ცრემლი? უპირველეს ყოვლისა, გამოუსწორებელ ქართველ პროვინციალს, რომლისთვისაც ყველაფერი კარგი მხოლოდ „საუცხოოა“...

და რატომ არ ჩათვლის მაკ-კეინის თავს ქართველად, როცა „ქართველობა“ პირადად მისთვის დიდად სარფიანია. ჯონი ხომ ამერიკელია, ამერიკელი კი ისეა გაკადნიერებული, რომ მარადიულ, იუცვლელ,. ადამიანის გონებისთვის აუხსნელ ფენომენს — დროს, პრიმატის დონეზე „მწვანე“ ქაღალდით — დოლარით ზომავს!.. სხვათა შორის, დღემდე ვერ გამირკვევია, სად წავიდა ის ერთი მილიარდი დოლარი, რომელიც ამერიკელმა გადასახადის გადამხდელმა უბოძა ქართული ჯარის მოდერნიზაციას? სწორედ იმ ჯარს, რომელსაც სახელმწიფო ბოროტმოქმედ სააკაშვილის ავანტიურის დროს რაციებიც არ აღმოაჩნდა? ჰმ... მაშ, რა გასაკვირია, რომ ამ უზარმაზარი თანხის გაქრობის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში „ქართველად“ საკუთარი თავი ჩათვალეს: დიკ ჩეინიმაც, ჯორჯ ბუშმაც, კონდოლიზა რაიზმაც და ეშმაკმა უწყის, კიდევ რომელმა ვაშინგტონელმა მოხელემ.

„ოკუპაციის მუზეუმიო“ — ერთხმაში ყროყინებენ „ნაც-ანალები“ და ლიბერასტების „ელიტა“ ლაშა ბაქრაძის, ნინია კაკაბაძის, თეა თუთბერიძის, გია ნოდიას, გიგი თევზაძის, ნოდარ ლადარიას და სხვების ხორხი. საინტერესოა ძალზე, ვინაა ოკუპანტი? ომისა და შრომის ვეტერანები? რომლებმაც თავისი სისხლით და ოფლით „საბწოთა ოკუპაციის“ დროს საქართველო ერთ-ერთ უმდიდრეს რესპუბლიკად აქციეს?! და რომელთა ნაამაგარზე თქვენ, მავნე ორგანიზმებო, სააკაშვილის თამადობით, დღემდე პარაზიტირებთ?!

სიცრუე, სიცრუე და არაფერი სიცრუის გარდა! ამ ნაცოდვილარით სააკაშვილმა მარტო ის დაამტკიცა, რომ იოზეფ გებელსის მემკვიდრეა! ჩვენ გვაქვს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთი. რა არის „საბჭოთა ოკუპაცია“, სულიერად და ფიზიკურად გახრწნილი, აწ ემიგრანტის — სააკაშვილის გაგებით, ეს მე არ მაინტერესებს. მაგრამ, ჩემი აზრით, აუცილებელია, შეიქმნას ექსპოზიცია „საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდი“. ამ საქმისთვის უნდა მოიწვიონ სერიოზული, უცხოური გრანტებით არნაყიდი ისტორიკოსები და არა სვიმონა მასხარაშვილის მსგავსი ვულგარიზატორები; უნდა გამოქვეყნდეს დოკუმენტები, რომლებიც აუწყებენ დამთვალიერებელს, მაგ დროს რა გაკეთდა კარგი და რა — ცუდი. დაე, თვითონ მან, შედარების შემდეგ, გააკეთოს სწორი დასკვნა. იდეალური დრო კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობდა, არ არსებობს და არც იარსებებს ერთი „უბრალო“ მიზეზის გამო — დედამიწა სამოთხე არაა!

**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95









# „ასკანელო ძმებო“, ძმები არ ხართ? დაგვიბრუნეთ ასკანელებს სკოლის შენობა!

რთულია ქართველობის ხვედრი და გულისგულში გვეამაყება კიდეც, რომ ამ ღვთაებრივად სამძიმო ჭაპანში ჩვენი სახელოვანი სოფელი ასკანაც იგულისხმება. აქ, როგორც მთელ იმერ-ამერში, სათანადოდ ბრწყინავდა მეზობლობის, მეგობრობის, გვარიშვილობისა და ერიშვილობის შეურყვნელი ურთიერთობა. გურიაში ფართოდ გავრცელებული გამოთქმა „ასკანელი კაი კაცი“ მემკვიდრეებს უფრო მეტს გვავალდებულებს. ასკანას ჰყავდა არათუ სოფლის, არამედ რაიონის მასშტაბითა და ზოგჯერ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ბიძგს აძლევდნენ სოფლის წინსვლას; ასეთები დღესაც მოღვაწეობენ, მაგრამ ეპიდემიასავით მოდებული გაუკულმართებული პოლიტიკის პირობებში, მხოლოდ მათი ძალისხმევა საკმარისი არ არის. კაცი თუ საკუთარი სოფლის მოყვარული არაა, ის არც ქვეყანას გამოადგება რამეში და, ვფიქრობთ, დროულია ზარის დარისხება, მით უფრო, როცა საკითხი მომავალ თაობებს ეხება.

მამულის ჭირისუფალნო! დემოკრატია ბევრს ალვირახსნილობა ჰგონია და პირდაპირ თუ ირიბად მავანი ისე სარგებლობს შექმნილი სიტუაციით, როგორც მოეპრიანება. ჩვენში ერთგვარი პატრონყმობის მაგალითები გაჩნდა და თუ ასე გაგრძელდა და ეს ტენდენცია გაღრმავდა, მალე „პირველი ღამის“ უფლებაჩამორთმეულ იჯახებსაც შეგვიქმნიან. ეკონომიურად შეჭირვებული თანასოფლელებისთვის „კაპიკების წამგდები“ მშველელის მანტიამოსხმული ადამიანი თავისი მიზნის განსახორციელებლად თავზე გვამხობს სოფელს, და ამას ამართლებს ზოგიერთი დოყლაპია ვაიხელმძღვანელი, დუმს აკაკის „გამზრდელის“ უარმყოფელი (ზოგი) პედაგოგი, სადღაც გამქრალან ოცნებაში ჩაძირული ჩვენი თაობის პატრიოტები და რაც ყველაზე ავისმომასწავებელია, ამ ადგილობრივ „წარღვნას“ მხარს უჭერს და აღფრთოვანებული რჩება ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე.

საქართველოში კარგადაა ცნობილი ჩხაიძეების — „ძმები ასკანელების“ კომპანია. ისინი წარმოშობით ჩვენი თანასოფლელები არიან. მათთან უარყოფითი დამოკიდებულება არასოდეს გვქონია. კომპანიის საქმიანობას ჩვენში მათი მამა, ბატონი ზაურ ჩხაიძე უძღვება. ჩვენი წერილის ერთ-ერთი ადრესატი ისიც გახლავთ. მასთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა შევაწუხოთ „სანთლით საძებარი“ პარლამენტარი ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე და შევეცდები, მისი მხდალი პოზიცია დავანახოთ მკითხველს.

2014 წლის 14 მარტის „ლიტერატურული საქართველო“, 2 აპრილის „საერთო გაზეთი“ (სათაურით „რაღად გვინდა განათლება, თუ გვაქვს გზა და განათება“), გაზეთი „ქრონიკა+“ საზოგადოებას აუწყებდა ასკანის სოფლის ტერიტორიის უკანონო, მაქინაციურ გასხვისებას და შველას სთხოვდა შესაბამის ორგანოებს. პუბლიკაციებში გამოტანილი თემა, იმის გარდა, რომ იურიდიულად კანონის ქვემდებარეობას განეკუთვნება, ჩვენ შევეცადეთ იგი ზნეობრივ ასპექტში — ტრადიციულ თანხმიერებაში გადაგვეყვანა. დრო გადის და პასუხის გამცემი იგვიანებს. სანამ სკოლის ადგილს ქარხანა „დაამშვენებს“, გადავწყვიტეთ მედიაკავშირით „ობიექტივით“ მიგვემართა ყველა მტერ-მოყვარისადმი. თანასოფლელთა სახელით მადლობას (ზემოთ ჩამოთვლილ რედაქციებთან ერთად) ვუხდიდით ქალბატონ მანანა ნიკოლაიშვილს ჩვენი პრობლემის (და არამარტო ჩვენი) გათავისებისთვის. ამ საკითხისადმი მისი პრინციპული მიდგომის შედეგად ღირსი გავხდით, გადაცემის ბოლოს ჩართული ბატონი ზვიად კვაჭანტირაძის სატელეფონო „გაკვირვება“ მოგვესმინა, რომელსაც, სამწუხაროდ, საეთერო დროის უქონლობის გამო ვერ ვუპასუხეთ.



პატივცემულმა დეპუტატმა „ტყუილი“ უწოდა ჩვენს მონათხრობს.

ხალხის რჩეულის სისუსტე აშკარად ჩანდა მისი მოუმზადებლობა. ჩვენთან ერთი წლის წინათ შემთხვევით შეხვედრის შემდეგ საკმაო დრო ჰქონდა საკითხის სათანადო შესწავლისთვის, მაგრამ პასუხი ვერ გასცა კითხვებს: როდის? რომელი ხელისუფლების დროს გაიყიდა? ან ნამდვილად ჩატარდა თუ არა ტენდერი? არის თუ არა ამის სათანადო დოკუმენტაცია? აი, აქ „ასკანელი ძმების“ მეხოტბე განერიდა სიღრმეს, მისგან ისმოდა: — „წელს ვერ გეტყვით“, „ჩავხედავ“, „არ არის ჩემი საქმე“, „კომპეტენტურ ორგანოებს მიმართონ“.

ბოდიშმოუხდელად შევნიშნავთ: რაც შეიძლება წასცდეს ქცევით ან ენით უბრალო კაცს — ამომრჩეველს, არაფრით ეკადრება ისეთ თვალსაჩინო პირს, როგორიც პარლამენტარია. ერთი წლით ადრე შეთანხმებული დეპუტატი მართლაც ამობრძანებულია ასკანაში, ოღონდ „პარტიზანულად!“ ამ, შეიძლება მისთვის მიუღებელ შეფასებას გვიძლიერებს ის ფაქტი, რომ იგი ეახლა სკოლის გასხვისებული ტერიტორიის „მომკვარახჩინებელთა“ ჯგუფს, რომელთაც სოფლის „ჭკუასაკითხავი“ ხალხი უწოდა მან. რატომ გადავავიწყდით პატივცემულ სტუმარს პრობლემით შეწუხებული ხალხი? რამ აიძულა „ასკანელი ძმების“ ბანაკში დავანებულიყო? შე ამომრჩეველ-შერჩეულო, ქალბატონ მანანა ნიკოლაიშვილს სუპერმენტორულად რომ შესძახე: სხვასაც ჰკითხე აზრიო, ასკანაში მოსულს „ადესამ“ გაგიწყალა სხვისი აზრის გაგება?! ალბათ, სოფლის მაშენებლებმა დაგარწმუნეს, არაფერია, თუ სკოლის ეზოს მრავალწლიანი ნარგავები (ნაძვებიანად) მოითხრება, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სტადიონები გადაიხვნება, ეკონომიურად შეჭირვებული ხალხი ჩაჩუმათდება და სოფლის სახედაკარგული ცენტრი ერთი კაცის „შეიხად“ ქცევას მიესადაგოსო.



პარლამენტარმაც წარმოიდგინა ღვინისა თუ კონიაკის ქარხანა სოფლის ცენტრში, „ჭკუასაკითხავ“ ხალხთან შეხვედრამ გაუძლიერა დათაფლულ ბურანში გადასვლა: მუნიციპალიტეტი წყალს გაიყვანს, საგზაო გზას დააგებს და ეს ყველაფერი მისი დეპუტატობის ხანაში? მაგარია, თუ თავის პიარსაც წააშველებს, ლენტსაც საზეიმოდ ის გაჭრის... აბა, აქ, ამ იდილიის დარღვევა იქნებოდა ჩვენისთანებთან შეხვედრით? — ადგა და დეპუტატურად გაუჩინარდა.

ბატონ ზვიადს სოფლის დონეზე მაინც ეთქვა, რომ განათლებაზე იერიშის მიტანა ქვეყნის დამაქცევართა წამოწყებაა და ის „ნაციონალთა“ მზაკვრული გეგმის თანამონაწილედ ხდის.

პირდაპირ გეტყვით: პირადი, ოჯახური კეთილდღეობისთვის ზრუნვამ ისე არ უნდა დაგვაბრმავის, რომ ეროვნული განათლებისა და კულტურის მდევნელ სეპარატისტულ რუსეთის მოხელეებს დაგვამსგავსოს. კეთილი ვინებოთ, ბატონებო და ჩამოვაშოროთ სკოლასა და პედაგოგებს ჩვენი პოლიტიკური და საქმოსნური ზრახვები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსალოდნელი დაშანტაჟების გამო არ ჩანს სკოლის დირექტორის ქალბატონ ნინო მამალაძის პოზიცია და, ზოგადად, კოლექტივის ხმაც. ისმის კითხვა: უნდა იყოს თუ არა მასწავლებელი (დირექტორი) ამა თუ იმ ხელისუფლების მსხვერპლი, რომელიც მუდმივად სამსახურის დაკარგვის შიშით იძულებულია ზნეობრივ დათმობაზე წავიდეს? ვერავინ გვიწყენს, ვინც თაობებს ვზრდით, უპირველესი — მორალური პასუხისმგებლობაა. ჩვენი უმოქმედობით ზოგჯერ უპატიებლად ვავნებთ საერთო საქმეს, რითაც ხელს ვუწყობთ ადამიანთა ვიწრო ჯგუფს, სათავისოდ მოიხმარონ მატერიალური და ადამიანური რესურსი.

სხვათა შორის, რესურსმა, ამ ტევადმა სიტყვამ გაგვახსენა დეპუტატის მიერ სატელევიზიო გამოსვლაში განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელთან შეხვედრის გაჟღერება; ცენტრის ხელმძღვანელი, თურმე, შეუძლებლად თვლის უახლოეს მომავალში ახალი სკოლის აშენებას. ჩანს, რომ ეს სამსახური „განათლებაზე ზრუნვას“ ოსტატურად უხამებს ზემდგომი ორგანოების, მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთებს, ვისი ზეწოლითაც, აშკარაა, ხელი მოაწერინეს ან უარი ათქმევინეს სკოლის დირექტორს; თუ რაზე, ეს მათ უკეთ მოეხსენებათ. ჰოდა, ტუფის ქვით ნაშენები სამსართულიანი შენობა თავისი რკინის კონსტრუქციებით ცამ ჩაყლაპა, ბაღნარი — მიწამ, ხოლო სკოლის მოლოდინი — ხალხმა... იმ ხალხმა, რომლის პიროვნული და საზოგადოებრივი ცნობიერების ბრბოს ინსტინქტამდე დაყვანას ცდილობენ.

ბოდიში მოიხადეთ მოაზროვნე, განათლებული და კულტურული ასკანის ჭირისუფალთა წინაშე დეპუტატმაც, სახელმწიფო მოხელეებმა და „ოცნებაში“ გადაბარგებულმა პოლიტასტეროიდებმა იმისთვის, რომ სოფელი თვალებში ნაცრის შეყრით თავს არ აიგდებს და სამარცხვინოდ არასოდეს გადაუდგება წინ შვილებსა და შვილიშვილებს.

წერილ-წუხილის ბოლოს ბატონ ზაურ ჩხაიძესაც შევეხმიანებით თხოვნით: თუ ღმერთი გწამთ, ბატონო ზაურ! ეგებ შეძლოთ და სკოლის ძველი სხვათა და სხვათა ჩარევის გარეშე დაუბრუნოთ სოფლის მომავალს. თქვენი მხრიდან ეს იქნება თვალსაჩინო ქრისტიანული ნაბიჯი, რითაც მთელ საქართველოს ეტყვით, რომ თანასოფლელთა ხელშეწყობით „ასკანელი ძმების“ მიერ აგებული ეკლესია ნამდვილ მორწმუნეთა სახატეა და არა მხოლოდ ბიზნესმენთა სალოცავი.

**ასკანელების სახელით:**
**მერაბ სადღობელაშვილი, ილია თალაკვაძე, გიგა დოლიძე, ავთანდილ ხიმშიაშვილი, შაკო დოლიძე**

# რახატის თავგადასავალი – გაკვეთილი გაუგებრებისთვის

ყაზახეთის ოლიგარქი, გაქცეული დამნაშავე, ყოფილი მაღალჩინოსანი რახატ ალიევი-შორაზი, ამ წლის 19 მაისს პროკურატურის მიერ გაცემული ორდერის თანახმად დააკავეს ვენაში. ევროპულ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს გაუმკლავდეს ვენის დაკავებულს და წერტილი დაუსვას ამ სკანდალურ ისტორიას.

თუმცა, ეს სასამართლოს საქმეა. საინტერესოა, როგორ გრძნობს იგი თავს ციხეში, ხუმრობისთვის.აავსტრიული გაზეთის „**Der Falter**"-ის გადმოცემის თანახმად, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ზოგიერთი დელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შეცდომა მოხდებოდა, ბევრს ეს კარიერის ფასად უჯდებოდა. ამიტომ, ავსტრიის ხელისუფლებამ მოქმედება დაიწყო მაშინ, როცა ევროპაში ჩაიარა სასამართლო პროცესების ტალღამ, გაქცეული დამნაშავე-ოლიგარქების წინააღმდეგ და მოხდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. რაც ყველაზე მთავარია, გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ ალიევის დანაშაულებრივ დევნას პერსპექტივა ექნება.

სამართლებრივი თვალსაზრისით, პრევენციული ზომა ოლიგარქის წინააღმდეგ- ეწოდების სერიაში და მიიქცია საგამოძიებო ორგანოების ყურადღება. 2013 წელს იძულებული გახდა დაეტოვებინა მალტა, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა თავის ახალ ოჯახთან ერთად. იმ დროს პოლიცია აქტიურად ატარებდა გამოძიებას ალიევის წინააღმდეგ, ადამიანების გატაცების და წამების ბრალდებით. ცოტა ხნით ადრე, ადგილობრივმა სასამართლომ დააკავა ოლიგარქის ქონება და გაუყინა ანგარიშები და ასევე მასზე ეჭვი ქონდათ ფულის გათეთრებაზე. სხვათაშორის მოთხოვნა მოვიდა გერმანიიდან, სადაც ალიევი იმალებოდა 2010 წლამდე.



პრესაში ასევე აქტიურობს სკანდალი დღევანდელ ავსტრიის იუსტიიციის მინისტრისა და ალიევის კავშირებზე. მინისტრი ამ თანამდებობის დაკავებამდე მუშაობდა ოლიგარქის ადვოკატად და აქტიურად იცავდა მის ბევრ ინტერესს. შემდეგ მან მასთან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა, მაგრამ ასეთი თანამშრომლობის ძაფი დღესაც გაჭიმულია.

რა ღირს ისტორია დაკარგული მილიონების შესახებ? თქვენ წარმოიდგინეთ, „**Austria Creditanstalt AG**" ბანკის კედლებში ალიევს დაავიწყდა დიდი რაოდენობით ფული. ახალმა ***დამქირავებელმა*** იპოვა რამდენიმე დალუქული პაკეტი 100 დოლარის ბანკნოტებით, ხოლო სულეს თანხა შეადგენდა ერთ მილიონ დოლლარს. "გაუგებარია თუ როგორ შეიძლება ამხელა თანხის არ შემჩნევა და დავიწყება სეიფში"-ასეთი კითხვა უჩნდება საზოგადოებას. არ არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება ფულის გათეთრებას.

მაგრამ ვის სასარგებლოდ დაავიწყდა ალიევს მილიონი? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. მაგრამ ეს ფაქტი მაინც შეინიშნება. თუმცა ეს შესანიშნავი გზა არის მოსყიდვისთვის. თუ ვინმე უარს იტყვის, რომ აიღოს "თათზე", ქრთამის მიმცემს ყოველთვის შეუძლია მიმართოს ***ამნეზიას. სხვათა შორის, ალიევს, პედანტურმა ავსტრიელებმა ფული უკან დაუბრუნეს.***

ტალი, რომ ციხეში ის არაერთხელ ექვემდებარებოდა თავდასხმას და დარღვევებს. შორაზის თქმით, მას ქურდავდნენ და აშანტაჟებდნენ, რის გამოც ციხის ადმინისტრაციამ ის გადაიყვანა დახურულ კამერაში. ***მაგრამ, ჩვენ მას სამაგიერო უნდა გადავუხადოთ***, ამ სიტუაციაში იგი არ დაიბნა და თავისი ადვოკატების მეშვეობით მან პატიმრებს რამდენიმე ათასი ევრო გადაუხადა. გამოცდილება კი გააჩნია, ოღონდ ადრე მას უხდიდნენ, ახლა კი ის იხდის. ***მართმსაჯულების ზეიმი საყოფაცხოვრებო დონეზეა***. ადრე ხომ მიუთითებდა, თუ სასამართლო არ დასჯის, მაშინ ღმერთი დასჯის. აი ხომ იხდის, მაგრამ ეს მთლად იმის შესაბაისი არ არის, რაც ჩაიდინა ყაზახეთში, რითიც ჩამოართვა ბიზნესმენებს ფული და საქმე, ბავშვებს მამები და დედები, ხალხს სამართლიანობის არსებობა და კიდევ სხვა მრავალი. ***გაზეთის ზოლები არ არის საკმარისი ჩამონათვალისთვის.***

დღეს ალიევი იმყოფება ***ჟოსეფსტადტის*** ციხეში, რომელიც განთავსებულია ვენის სასამართლოს გვერდით. და ეს ფაქტი თავისთავად ბერვრ რამეზე მეტყველებს. რადგან, რომ განთავსდეს დაკავებულთა რიგებში ასეთი გავლენიანი პიროვნება გარკვეულ წრეებში, რომელსაც შეუძლია დაიქირავოს საუკეთესო ადვოკატები, საჭირო იქნებოდა ძალიან კარგი მიზეზი მისი ბრალდებულების დასამტკიცება საგამოძიებო დაკავებას, რადგან, ის იყო ეჭვმიტანილი ყაზახეთის "ნურბანკი"-ს ტოპ-მენეჯერების მკვლელობაში.

***თვითონ ალიევი, უარყოფს დანაშაულს, თან ათამაშებს პოლიტიკური დევნილის და სისტემური ოპოზიციის ლიდერის ნაცნობ კარტს.***

მართალია, მას არ აქვს "კრედიტი" პოლიტიკური საქმიანობის ისტორიაში და მან თავის თავს მხოლოდ მაშინ უწოდა დემოკრატი, როცა ის სამშობლოდან გაიქცა. მანმადე კი, ადამიანს მთლიანად აკმაყოფილებდა მაღალი თანამდებობის პირის სტატუსი. მაგრამ, ეს ხომ გაუგებარია, არ არის მართალი? რაც მთავარია, ალიევი გულწრფელად, ყოველ შემთხვევაში საჯაროდ, აზიარებს ლიბერალურ ფასეულობებს. ხოლო ევროპაში მიღებულია, რომ ასეთ საქმეებს უნდა მოეპყრონ ძალზედ ტოლერანტულად. დღეს სიტუაცია ცოტა შეიცვალა, როდესაც ირკვევა, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური პოზიცია ამა თუ იმ პოლიტიკოსების და ამასობაში ძებნაში მყოფი დამნაშავეები და ოლიგარქები, ნაკარნახები ერთადერთი მიზნით, რომ გაექცნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ეს აიძულებს ძველ სამყაროს უფრო კრიტიკულად მოეპყროს ფულიან ლტოლვილებს.

თუ ვსაუბრობთ ალიევზე, მაშინ ევროპის აზრზე მოსვლა დაიწყო მაშინ რის შემდეგაც, ჩათრეული აღმოჩნდა სკანდალე-

ჯერ არ არის ნათელი, როდის იქნება მზად საბრალდებო დასკვნა და რამდენი ხანი დასჭირდება სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ გაეცნოს ამ საქმის მასალებს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ პროცესი იქნება საჯარო და სავარაუდოდ ეს არ მოხდება 2015 წლამდე.

მინდა მჯეროდეს, რომ მსგავსი ბედი ელის ჩვენიანებსაც. ისინი ფიქრობენ, რომ ევროპა ყველას მიიღებს, ***მაგრამ არა.*** სარკოზსაც კი შეახსენეს თავისი ცოდვები.

**ზაზა მეზვრიშვილი**

## `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

**–ჩემი შვილი სასჯელდ იხდის განსაკუთრებით მძიმე დანასაულის ჩადენისათვის. წესით, უკვე უნდა მომხდარიყო მისი პირობით ვადამდე გათავისუფლება, მაგრამ არ ათავისუფლებენ. რატომ უნდა ხდებოდეს ასე? რა შემთხვევებში ხდება პირობით ვადამდე გათავისუფლება?**

–პირველ რიგში, მოგახსენებთ, რომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება არ გახლავთ. კანონში გამოყენებული სიტყვა „შეიძლება" ნიშნავს იმას, რომ საკითხი, შესაძლოა, გადაწყდეს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად, გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინებით.

რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, მას სრულად პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285– ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

–მუხლი 285. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებადა სასჯელის მოუხდელი ნაწილის ნაკლებად მკაცრი სასჯელით შეცვლა

1. ის, ვისაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან თავისუფლების შეზღუდვა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო თუ პირს სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

2. სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინებით.

3. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მსჯავრდებულად ყოფნის პერიოდში მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის (გარდა პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოთხოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

41. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი თავისუფლების შეზღუდვით, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

5. გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

6. თუ სასამართლო უარს იტყვის ამ მუხლით გათვალისწინებული წარდგინების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელია ყოველ 3 თვეში.

# ოქრუაშვილის მეტამორფოზა

„ნაცებისგან“ „მინიჭებული“ დაძაბული, გაძალღებული ცხოვრებისგან დაღლილი და აგვისტოს ომში ბედის ანაბარად მიტოვებული გორელები, განსაკუთრებულად დიდი ენთუზიაზმით შეეგებნენ ბატონი ირაკლი ოქრუაშვილის დაბრუნებას და, მართალია, ახსოვდათ ათიოდე წლის წინათ გავრცელებული მითი მისი მძიმე ხასიათისა თუ ნულოვანი კომუნიკაბელურობის შესახებ, რის გამოც ბევრი გაურბოდა მასთან ურთიერთობას, დღეს პირიქითაა. გორის ქუჩებსა თუ სოფლებში ფეხით მოსიარულე ოქრუაშვილი ისეთი გულწრფელი პატივისცემისა და საერთო მშობლიური სიყვარულის საგანი ხდება, ხანდახან თვითონაც გაკვირვებული და უფრო



რომ დღეს შიდა ქართლის მოსახლეობა სულით და გულით ანდობს ოქრუაშვილსა და მის მოძმეთ ბატონ კახა ერგემლიძესა და ბატონ ბონდო ვათიაშვილს მის პატრონობასა და წინამძღოლობას, რადგან ბატონი ოქრუაშვილის საამომრჩევლო საბრძოლო ასპარეზი ალალი, გულქართული წესებით შემოიფარგლება და თუ ოცნება შორსაა, იციან, ბედისწერაა ახლოს! სიმართლე თვალის სინათლეო და სხვა კანდიდატებს რაღა აქვთ საოცნებო, ისინი ყოველთვის კარგად იყვნენ „გათავსებულნი“, როგორც გორისთვის დამახასიათებელ „ზედა ეშელონებში“, ისე სახელისუფლო შტოებში, ასე იყო კომუნისტებისა და „მოქალაქეთა კავშირის“ პირობებში, ხოლო „ნაცების“ ბატონობისას საუკეთესოდ გრძნობდნენ თავს ოქრუაშვილისგან განხვავებით! რაც შეეხება „ზედა ეშელონელ“ მეგობართა წრეს, აქაც დადგენილი პრინციპით ხელმძღვანელობენ. აი, ისე, ნათქვამი რომ არის: „რასაც დამიდებ ხელზედაო, იმას წაგისმევ წვერზედაო!“ ფუფუნებისგან მოყირჭებულ გულში არასოდეს ჰქონიათ ადგილი სასიცოცხლო მძიმე პირობებით სავსე მოძმეთათვის, არც უკითხავთ მათი უბედურება. აბა, მაგაზე მოსცდება ფულისმშოვნელი კაცი? და დღეს თუ ქართლი ოქრუაშვილისთვისაა მოზიდული, რომ არა შიში მისი რისხვისა, გორელებისთვის საყვარელ „საერთო გაზეთის“ მკითხველს, მოვახსენებდი მისგან გაწვდილი „ჭიქა წყლის“ მაგალითებს, გორში რომ ასე კარგად ახსოვთ! ან თუნდაც იმის მაგივრად, პარიზული ცხოვრებით დამტკბარიყო, ნოსტალგიის უმაღლესი დონით, მოთმინების ფიალაავსებულმა, ყველაფერი გააკეთა, გორში რომ დაბრუნებულიყო! დაბრუნდა და, როგორ ფიქრობთ, საათივით აწყობილი ცხოვრებით დაიწყო არსებობა? ათასი მოღალატისა თუ „ჩანერგი-

მეტად, შეწუხებულია. არც ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს იძლევა, ისიც ყველამ იცის, რომ არც საიმისოდ მდიდარია, ვინმეს მისი ნაჩუქარი ფულის წყალობით უზრუნველი ცხოვრების იმედი მისცეს, არც ქარიზმაა გამწარებული ხალხისთვის რაიმეს მიმცემი, ერთადერთი მხოლოდ მისი გულწრფელი, ადამიანური დამოკიდებულებაა ყველას მიმართ, მთავარი, რაც ასე რთული გასაგებია სხვისთვის თუ სხვებისთვის. რომელთა „მჭევრმეტყველება“ ამომრჩეველთა მიმართ მხოლოდ ადგილობრივი სატელევიზიო ეთერითა და რადიომაუწყებლობითი კომუნიკაციებით მყარდება და იწყება იმ დაპირებებით, არჩევნების მერე შარშანდელი თოვლივით რომ ყველას თვალწინ ქრება! ბატონი ოქრუაშვილი კი დაუზარლად, ერთ ან ორ უერთგულეს მეგობართან ერთად, ყოველგვარი დაცვის გარეშე, თითოეულ გორელთან, შიდა ქართლის, სოფლის თითოეულ მოსახლესთან პირადად მიდის და ისმენს, როგორც მათ სუბიექტურ აზრსა და დარიგებას, ისე უსამართლობით გამოწვეულ გულისტკივილსა და ბეჩავ მდგომარეობას. მათთან პირობის მიცემისას ფრთხილია და წინდახედული. ფაქტია,

ლი“ ფარისევლის გარერმოცვაშია და, მადლი უფალს, საკუთარი ძლიერი ხასიათის წყალობით სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მოსახლეობამ ღირსება დაიბრუნოს და მას ისე ადვილად ვერ გადაუარონ, როგორც ეს წლების განმავლობაში ხდებოდა.

დღეს ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს მოსახლეობა არ მისცემს უკან დახევის უფლებას, ახლა გორი და გორის რაიონი ისევ ღელავს – კანონიერი, დადგენილი წესებით ბრძოლისთვის ემზადება, მისი ერთგული შვილის წინამძღოლობისთვის. რა არის, ბატონებო, აქ გასაკვირი?! დაიღალა ხალხი ულუკმაპურობით, ომით, უსამართლობითა თუ იმის ძალდატანებით, „არარსებული“ რომ ჩათვალონ კვლავ არსებულად!

მგონი, ძნელი არ არის ამის გაგება.

ჩვენ ცივილიზებული გზებით ვიბრძოლებთ! ჩვენი ფავორიტი ირაკლი ოქრუაშვილია!

**ნატო ხუციშვილი**
**გორი**



ძვირფასო მეგობრებო, ჩემო ამომრჩეველო, გულადო და სამართლიანო ადამიანებო! უდიდეს მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის, შემართებისთვის, ჩემი იდეების გაზიარებისა და ვაჟკაცურად მხარში ამოდგომისთვის. შედეგი, რომელიც თქვენი დახმარებით დაიდო, დიდი წარმატებაა ადამიანისთვის, რომლის ცნობადობაზეც ცოტა ვინმემ თუ იზრუნა. ქუჩებში თავად ვაკრავდი საკუთარ საარჩევნო გზავნილს, რომლისაც იწამა საზოგადოებამ, დავდიოდი შეხვედრებზე და ვესაუბრებოდი ამომრჩეველს, რომელმაც დაიჯერა, რომ გულწრფელად მწადია თითოეულის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა.

მე ვაგრძელებ მუშაობას ჩემი რაიონისა და ჩემთვის ძვირფასი ადამიანების პრობლემების გადასაჭრელად, რადგან ვიცი, მრავალი ოჯახი, რომლის წევრებსაც პირადად შევხვდი და რომელიც მენდო და ხმა მომცა, ჩემგან ყოველდღიურ ზრუნვასა და თანადგომას მომავალშიც ელის. ჩემი მამა–პაპისგან, რომლებიც საზოგადოების ღირსეული წევრები იყვნენ, ადამიანის სიყვარული, მასზე ზრუნვა, ტოლერანტობა და ქვეყნისათვის თავდადება გამომყვა საგზლად. ანდრონიკაშვილთა სახელოვანი გვარის საქმეებზე დღემდე მოწიწებით ლაპარაკობენ ადამიანები, რომლებსაც მათთან ოდესმე შეხება ჰქონიათ. მე და ჩემს ოჯახს არც დღეს გვაქვს უფლება ზურგი ვაქციოთ ხალხს, მით უფრო, როდესაც ამდენი უმუშევარი, ამდენი გაჭირვებული, ამდენი ლტოლვილი, ქვეყნიდან გადახვეწილი, სამშობლოს დანატრებული ქართველი გამამხნევებელ სიტყვასა და რეალურ ქმედებას ელის ჩვენგან.

კიდევ ერთხელ გმადლობთ ნდობისა და თანადგომისთვის. გულითადი მადლობა პარტია „დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“, მედია კავშირ „ობიექტივს“, ჟურნალისტებს, ყველას ვინც მხარში ამომიდგა და ჩემი შეხედულებები გაიზიარა. მადლობა ჩემს მეგობრებს, ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს შვილებს გაგებისა და მოთმინებისთვის.

პატივისცემით,
თქვენი **ნინო ანდრონიკაშვილი**




* * *

*ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა, მისი საპატიო პრეზიდენტის, ბერი დავითის (ჭაბუა ამირეჯიბი) სახელის უკვდავსაყოფად, ჩაატარა დედაენის დღისა და წლისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი ღონისძიება – „ერს წიგნიერება გადაარჩენს“.*

*პროექტი ითვალისწინებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ლიტერატურული უნარების გამოვლენას.*

***პრემიის საბჭომ განიხილა შემოსული ნამუშევრები და გამოავლინა გამარჯვებულები.***

**პირველი ადგილი:**

**ნატო ფეიქრიშვილი,** 211-ე საჯარო სკოლა;

**ნათია ფორჩხაძე,** 99-ე საჯარო სკოლა;

**ნინო ჭილაშვილი,** 186-ე საჯარო სკოლა.

**მეორე ადგილი:**

**ნანა ბენიაიძე,** 107-ე საჯარო სკოლა;

**ნიკა ცერცვაძე,** 128-ე საჯარო სკოლა;

**მარიამ გედევანიშვილი,** 157-ე საჯარო სკოლა.

**მესამე ადგილი:**

**მარიამ ღარიბაშვილი,** 191-ე საჯარო სკოლა;

**გიორგი მეშველიანი,** 186-ე საჯარო სკოლა;

**ნანა შამათავა,** 47-ე საჯარო სკოლა.

***პროექტის მონაწილეებს შორის გამოვლინდა კიდევ ექვსი საუკეთესო ნაშრომის ავტორი:***

**საბა ელიზბარაშვილი,** 143-ე საჯარო სკოლა;

**ნინო მიქაძე,** მე-14 საჯარო სკოლა;

**სალომე ალავიძე,** 191-ე საჯარო სკოლა;

**არჩილ ჯავახიშვილი,** თბილისის კლასიკური გიმნაზია;

**სოფიო კოკოლაშვილი,** 47-ე საჯარო სკოლა;

**გიორგი ყუშიტაშვილი,** 143-ე საჯარო სკოლა.

გამარჯვებულები და საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, ხოლო მათი ნამუშევრები გამოქვეყნდება ალმანახის სახით. ფონდის დიდი სურვილია, რომ აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად ჩატარდეს და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდეს წლის განმავლობაში.

* * *

ფონდის იაკობ გოგებაშვილის პრემიის საბჭოს დაგეგმილი აქვს (პრემიის საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ გაჩეჩილაძე) 28 აგვისტოს ჩაატაროს ღონისძიება „ერს წიგნიერება გადაარჩენს – პატარა თაბუნი“ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შორის.

* * *

ივლის-აგვისტოს თვეებში თბილისში იფუნქციონირებს ფონდის ისტორიულ-ლიტერატურული-შემოქმედებითი ბანაკი „თბილისის დედაციხე“.

* * *

ფონდის თბილისის ეკლესიების ბედის სერიალის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს (ხელ-ლი ვიქტორ დოლიძე) ჩაშვებული აქვს გამოსაცემად I ტომი „კლდისუბნის წმიდა გიორგის ეკლესია“ და II ტომი „ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მამათა მონასტერი“, ისტორიულ-არქეოლოგიური მონოგრაფიული ნაშრომი.

* * *

ფონდის პოეტურ ცენტრს „ქართული ტაძარ-მონასტრები“ (თავმჯდომარე გენო კალანდია) გამოსქვეყნებლად მზად აქვს I ტომი.

* * *

ფონდის ქართული სამართლისა და საეკლესიო სამართლის (ხელ-ლი შალვა შავგულიძე) სამეცნიერო საბჭოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული აქვს I ტომი.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
saadgilmamulo@gmail.com

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ გური ოტობაიას ძმის — ომარ ფეტელავას გარდაცვალების გამო.**

# 100 წლის შემდეგ კაცობრიობა გადაშენდება?



2110 წლისათვის კაცობრიობა აღიგვება პირისაგან მიწისა, ამტკიცებს ცნობილი ავსტრალიელი მკვლევარი ფრანკ ფენერი.



უძველესი ცივილიზაციის საზოგადოებები განვითარებისა და უფრო მეტი დახვეწისკენ მიისწრაფოდნენ, ახლანდელი გლობალური ცივილიზაცია პირიქითაა, - ამბობს იგი.

მეცნიერის შეხედულებით, კაცობრიობის არსებობის ყველაზე დიდ საფრთხეს პლანეტაზე ადამიანთა გამრავლების არანორმალური სიჭარბე, კლიმატის სწრაფი ცვლა, გლობალური დათბობები და მსგავსი მოულოდნელობები იწვევს. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა ეპოქა, რომელიც თავისი მკაცრი ზემოქმედებით გამყინვარების პერიოდამდე მიგვიყვანს ანდა დედამიწას უზარმაზარი კომეტა დაეჯახება.

ფრანკ ფენერს, რომელიც ახლა 95 წლისაა, მიღებული აქვს მსოფლიო აღიარება მიკრობიოლოგიაში მიღწეული მეცნიერული წარმატებებისთვის. ახლა ის მუშაობს ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე. თავის ბოლოდროინდელ გამოსვლაში მეცნიერი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, კაცობრიობა შეუჩერებლად მიექანება ბიოლოგიური კრახისკენ, მიუხედავად მისი და არა მარტო მისი მრავალჯერადი გაფრთხილებებისა.

# მიწიერი „ღმერთები"



ეს ის ხალხია, რომელთა სული სავსეა ხელოვნებითა და მგრძნობელობით. ადამიანები ღმერთების სამყაროდან, მომხიბვლელები და მრავალმხრივ ნიჭიერები არიან, მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები, უბრალო მეოცნებენი და ფანტაზიორები სწორედ ღმერთების გამოგზავნილები არიან.

,,ადამიან-ღმერთებს" არ უყვართ სხვის საქმეებში კირკიტი, ამა თუ იმ ადამიანის განსჯა და განკითხვა, ინტრიგები, ისინი ლოგიკური დასკვნების საფუძველზე მსჯელობენ და ყველაზე მეტად ირაციონალურ საკითხებზე, მათ ფართო მსოფლმხედველობა აქვთ.

,,ადამიანი-ღმერთების" შინაგანი სამყარო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგნული. როცა ისინი ერთობიან, მათი შინაგანი სამყარო დეგრადირდება, იცვლის სახეს, ამიტომაც რამდენიმე ხნის შემდეგ წუხილი და შინაგანი ქანცგაწყვეტა ეუფლებათ.

,,ადამიანი-ღმერთები" სოციუმის უმაღლეს კლასს განეკუთვნებიან — ისინი სუფთა სისხლის ინტელიგენტები არიან, ხელოვნების მოღვაწენი, მწერლები. მათი ხასიათი ეს არის სულის არისტოკრატია, რასაც ბევრი გარეგნულად ვერც კი ამჩნევს. მათ უყვართ ღია ტონები. საყვარელი ფერებია — თეთრი, ოქროსფერი, ნაზი იისფერი, ვარდისფერი. ეს ადამიანები, როგორც წესი, ყოველთვის კოხტად იცვამენ.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

**ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი**



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
**0 901 500 540**
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001



30 ივნისიდან 4 ივლისამდე ახალგაზრდულ ცენტრში მხატვარ **ვახუშტი რომელაშვილის** გამოფენა გაიმართა. წარმოდგენილი იყო ცნობილ ადამიანთა პორტრეტები.

მხატვარმა მის მიერ შესრულებული ნახატები გამოფენის შემდეგ იმ ადამიანებს გადასცა, რომელთა სახეები ვერნისაჟზე იყო წარმოდგენილი.



გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა.

პერსონალური გამოფენა მხატვრის ინიციატივით და ძალისხმევით გაიმართა.

ეს ვახუშტი რომელაშვილის მეთოთხმეტე გამოფენაა.

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** — მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.



**კურო** — თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.



**ტყუპები** — მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.



**კირჩხიბი** — შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.



**ლომი** — დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.



**ქალწული** — გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.



**სასწორი** — იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.



**მორიელი** — კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.



**მშვილდოსანი** — მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.



**თხის რქა** — მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.



**მერწყული** — ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიმამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.



**თევზები** — ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001